ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები
II (VII)

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2017

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

THE QUESTIONS OF SOUTHERN-WESTERN GEORGIA HISTORY AND ARCHEOLOGY II (VII)

Publishing House
«Batumi Shota Rustaveli State University»
Batumi − 2017

БАТУМСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ ШОТА РУСТАВЕЛИ

ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ

ВОПРОСЫ ИСТОРИИ И АРХЕОЛОГИИ ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ II (VII)

Издательство
«Батумский Государственный университет Шота Руставели»
Батуми – 2017

UDC (უაკ) 94(479.22)
ს-249

კრებულში შეტანილი სტატიები ეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის, ნუმიზმატიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის პრობლემებს. მკითხველი გაეცნობა, აგრეთვე, ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების 2016 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და ჩატარებულ საველე ექსპედიციათაგან ერთ-ერთის ანგარიშებს, რეცენზიებს, ანოტაციებს ახალ წიგნებზე და სხვა საკითხებს. კრებული საინტერესო იქნება არა მარტო სპეციალისტ-ისტორიკოსთათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვისაც.

მთავარი რედაქტორი: **ბიჭიკო დიასამიძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
Editor-In-Chief: **Bichiko Diasamidze**
Doctor of Historical Sciences

პასუხისმგებელი რედაქტორი: ოლეგ ჯიბაშვილი, ისტორიის დოქტორი
Responsible Editor: **Oleg Jibashvili,** PhD in History

რეცენზენტები: **ლელა სარალიძე,** ისტორიის დოქტორი
ჯემალ კარალიძე, ისტორიის დოქტორი
ნანა ხახუტაიშვილი, ისტორიის დოქტორი

Reviewers: **Lela Saralidze,** PhD in History
Jemal Karalidze, PhD in History
Nana Khakhutaishvili, PhD in History

ISSN 1987-524X
© "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" – 2017

სარჩევი – Contents

ისტორია – History

აბესალომ ასლანიძე – ზოგიერთი ტერმინის განმარტებისთვის ისლამში 7
Abesalom Aslanidze – Explanation of Several Terms in Islam 14

ბიჭიკო დიასამიძე – ქობულეთის მხარე XVII-XVIII საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში 15
Bichiko Diasamidze – Kobuleti District in Cultural and Political Life of South-West Georgia in XVII-XVIII Centuries 29

ოთარ თურმანიძე – სახალხო მღელვარეებები და ანტისაბჭოთა გამოსვლები XX საუკუნის 20-იან წლების პირველ ნახევარში 30
Otar Turmanidze – People's Anxieties and Anti-Soviet Rallies in the first half of the 20th Century 52

უჩა ოქროპირიძე – კიდევ ერთხელ „თურქი-მესხების“ პრობლემის შესახებ 53
Ucha Okropiridze – Once again about the Problem of „Turk-Meskhetians“ 73

ოლეგ ჯიბაშვილი – სომეხთა სუბეთნიკური ჯგუფის – ჰემშილების ისტორიიდან 74
Oleg Jibashvili – From the History of the Armenian Sub-Group Hemshilis 87

არქეოლოგია – Archeology

ირინე ვარშალომიძე – ანტიკური მონეტები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან (აჭარა) 88
IrineVarshalomidze – Antique Coins from Eastern Black Sea Coast (Adjara) 98

ეკოლოგია – Ecology

პაატა გიორგაძე – საქართველოს სასმელი წყლის რესურსების კონკურენტუნარიანი ეკონომეტრია და მისი გამოყენება ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის 99

Paata Giorgadze – Georgian Drinking Water Resources and the Use of the Country's Rapid Development of Competitive Econometrics 110

სამეცნიერო ანგარიშები
Scientific Reports

ბიჭიკო დიასამიძე, ოლეგ ჯიბაშვილი – ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების 2016 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში 111

უჩა ოქროპირიძე – მაჭახლის ხეობაში ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციის ანგარიში 191

რეცენზიები – Reviews

ირაკლი ბარამიძე – რეზენზია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ემერეტუსი პროფესორის ბიჭიკო დიასამიძის წიგნზე „სამი ისტორიული მხარე ერთი თანამედროვე მუნიციპალიტეტის ფარგლებში“ 214

ახალი წიგნები – New Books

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ 2017 წელს გამოცემული წიგნები 218

ქრონიკა – Chronicles

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ 2017 წელს ჩატარებული ღონისძიებები 220

გახსენება – Memoris

უჩა ოქროპირიძე – მეგობრის ხსოვნას 228

ავტორები – Authors 231

აბესალომ ასლანიძე

ზოგიერთი ტერმინის განმარტებისთვის ისლამში

ისლამი ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიაა, რომელსაც წილად ხვდა ბედი კაცობრიობის ისტორიაში ეთამაშა უმნიშვნელოვანესი როლი. ამ რელიგიამ, ერთი მხრივ, თავისი აღმოცენებისა და განვითარება-გავრცელების პროცესში არა მარტო ასახა საკუთარ თავში რთული ისტორიული და პოლიტიკური პროცესები, რომელთაც ადგილი ჰქონდა არაბეთის ნახევარკუნძულზე VI-VII საუკუნეებში, მეორე მხრივ, შემოგვინახა ისლამამდელი პერიოდისთვის დამახასიათებელი ინფორმაციები. ისლამმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არა მარტო არაბების ისტორიაში, არამედ მან მოახდინა უამრავი ახალი პროცესის ინიცირება კაცობრიობის ისტორიის შემდგომ პერიოდებშიც. ისლამი იქცა სხვადასხვა ხალხების ცხოვრების წესად.

თანამედროვე ეტაპზე, ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარე საქართველო იქცა მსოფლიოში, განსაკუთრებით კი მუსლიმურ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში, ერთგვარ ხიდგამტარად იმ ადამიანებისთვის, ვინც სირიაში მიდიან საბრძოლველად. ამ მხრივ საქართველო მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ქვეყნის შიგნით ცხოვრობს ნახევარ მილიონამდე ქართველი და არაქართველი მუსლიმი და სირიაში მებრძოლთა სიაში აქედან წასულების რიცხვმა 100-ს გადააჭარბა. აღნიშნულ გარემოებათა გამო, ჩვენთვის, როგორც ისტორიულად ქრის-

ტიანული ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია სწორად ვერკვეოდეთ ზოგიერთ მუსლიმურ ტერმინოლოგიაში, მით უფრო მზარდ იდეოლოგიურ ფაქტორსაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრი მისი მიმდევრისთვის ისლამი ჩანს, როგორც საუკეთესო იდეოლოგია, ცხოვრების წესი, ჩაგრულთა დამცველი, სახელმწიფოსა და საზოგადოების იდეალი, ყველა უბედურებისგან პანაცეა [Ислам, 2016:15]

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, აბსოლუტურად გაუმართლებლად, ისლამის აღორძინების მსურველებს შუა აზიის რესპუბლიკებში უწოდეს „ვაჰაბიტები“. ვაჰაბიზმი იქცა არა მარტო ისლამში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში ყველა უბედურების მკვებავ იდეოლოგიად. ამ დროს თანამედროვე ისლამში „ვაჰაბიზმი“ არის ერთ-ერთი ყველაზე ზომიერი მიმდინარეობა, რომელიც აღმოცენდა არაბეთის ნახევარკუნძულზე მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში და გამოიარა რა განვითარების ურთულესი გზა, იქცა საუდის არაბეთის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად და იდეოლოგიად.

„ვაჰაბიზმთან“ ერთად სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურ მიმოქცევაში შემოვიდა ტერმინი „სალაფიზმი“, რომელიც ასევე როგორც წესი, უარყოფით კონტექსტში განიხილება და ხშირად ამ ცნებებს სინონიმურ დატვირთვასაც აძლევენ.

აღნიშნული ცნებების სწორი გაგებისთვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ „ვაჰაბიზმი“ ისლამში აღმოცენდა, როგორც რეფორმატორული მოძრაობა, რომელიც თავისი არსებობის პირველ პერიოდში რადიკალიზმით გამოირჩეოდა, თუმცა მეოცე საუკუნეში, განსაკუთრებით კი მის მეორე ნახევარში, ისლამში და სხვა მიმდინარეობებისა თუ კონფესიების მიმართ ერთ-ერთ ტოლერანტულ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა

[**დაწვრ. იხ. ასლანიძე, 2013:68-86**]. რაც შეეხება სალაფიზმს, თანამედროვეობის ცნობილი მეცნიერის, იბრაჰიმ ტაუფიკის აზრით, სინამდვილეში ყველა რეფორმატორი სალაფიტი იყო იმ აზრით, რომ ყველა ისინი მოუწოდებდნენ ისლამის თავდაპირველ პერიოდთან ანუ სალაფთან, საფუძველთან მიბრუნებას. ესაა საერთო რეფორმატორული მიდგომა და თანაც ერთადერთი შესაძლებელი და პერსპექტიული. ამიტომაც სალაფი იყო მუჰამედ აბდოც, აფგანიც.... ამის გათვალისწინებით, ვაჰაბიტებმა არ უნდა მოახდინონ ამ ტერმინის უზურპირება. მეტიც, მუსლიმი არ შეიძლება არ იყოს სალაფიტი [**დაწვ. იხ. https://www.business...**].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, თუ ვინ არიან ისინი, ვინც ისლამის სახელით იბრძვის სირიაში, ავღანეთში, აწყობს ტერაქტებს სხვადასხვა ქვეყანაში? ვაჰაბიტები თუ სალაფიტები, რომელთა შესახებაც საუბარია არა მარტო ჩვენს მედიაში, არამედ სამეცნიერო წრეებშიც?

ჩვენი აზრით, ეს ადამიანები არ არიან სალაფიტები, მით უფრო, როგორც ისინი ხშირად საკუთარ თავს უწოდებენ - ახლ ას-სუნა ვ ალ-ჯამაა (სუნასა და თანხმობის ადამიანები). თუ ვაჰაბიზმის თანამედროვე მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ისინი არც ვაჰაბიტები არ არიან. მაშინ ვინ არიან ეს ადამიანები?

სხვა რელიგიებისგან განსხვავებით, ისლამმა აღმოცენების პროცესშივე შეიძინა პოლიტიკური ფუნქცია და დღემდე მისი მატარებელია. ისლამი ყველაზე მეტად იძლევა საშუალებას მუსლიმური ლოზუნგებით სპეკულირებისთვის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისლამი ქადაგებს ყველაფერ იმას, რაზეც საუბარია ე. წ. „ვაჰაბიტებისა“ თუ „სალაფიტების“ გამოსვლებში, რასაც ჩვენ ვხედავთ მათ ქმედებებში. ესენი არიან ჩვეულებრივი დამნაშავეები, რომლებიც უზურპაციას ახდენენ

ისლამური ლოზუნგებისა და თავიანთ ანტიადამიანურ ლოზუნგებს თავს ახვევენ რიგით მორწმუნეებს. ისინი თავიანთი რადიკალიზმით უფრო ახლოს არიან პირველ ვაჰაბიტებთან და არაფერი საერთო არ აქვთ იმ ვაჰაბიზმთან, რომელიც ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგიაა საუდის არაბეთში და მათთან ბრძოლა, როგორც თანამედროვე ეტაპზე ექსტრემიზმის მთავარ მამოძრავებელ ძალასთან აუცილებელია. ამ მხრივ უმნიშვნელოვანეს მომენტად მიგვაჩნია ტერმინოლოგიის სწორად გამოყენება, არ უნდა მივცეთ საშუალება ექსტრემისტებს ყველა მუსლიმისთვის წმინდა ტერმინების უზურპაციის საშუალება და ამ ადამიანებს ვუწოდოთ ის, რაც სინამდვილეში არიან.

ანალოგიურ შეცდომას ვუშვებთ, როდესაც ექსტრემისტთა საქმიანობას მედიაში ხშირად უწოდებენ „ჯიჰადს“ [**დაწვრ. იხ. ასლანიძე, 2013:100-112**]. ჯიჰადის მრავალი სახეობა არსებობს, მაგრამ უმთავრესია რწმენის ჯიჰადი, რომელიც გულისხმობს საკუთარ თავში რწმენის განმტკიცებას. რაც შეეხება ცნებას „წმინდა ომი“, ის სულაც არ გაჩენილა ისლამურ ცივილიზაციაში. ეს ცნება შემოღებული იქნა ევროპელების მიერ და გამოიყენებოდა ჯვაროსნებთან საბრძოლო ქმედებებისას. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ დაიწყეს ამ ტერმინის მუსლიმთა საომარი მოქმედებებისადმი მისადაგება [**Хайретдинов, 2014:61-62].** მაგრამ რა აქვთ საერთო ექსტრემისტებს ჯიჰადთან, როდესაც თვითონ დიდად არ იწუხებენ თავს მუსლიმური რიტუალების დაცვით და ამ დროს სწორედ ისლამის დაცვის მოტივით ათასობით მშვიდობიან მოსახლეს ხოცავენ? ისინი არიან ექსტრემისტები და მედიამაც ასე უნდა მოიხსენიოს ისინი.

ამ მხრივ ანალოგიური სიტუაცია გვაქვს „შაჰიდთან“ მიმართებაშიც. „შაჰიდი“ ნებისმიერი მუსლიმისთვის წმინდა ცნებად ითვლება და როდესაც ამ ცნებით მოვიხსენიებთ ტერორისტს,

მუსლიმთათვის ეს შეურაცხმყოფელია. ან რა საჭიროა „შაჰიდის ქამრის“ ხსენება, როდესაც უფრო გასაგებად შეიძლება ვიხმაროთ თვითმკვლელის ქამარი? შაჰიდის შესახებ არასწორი წარმოდგენა ქართულში შეიძლება რუსული გავლენითაც იყოს ნაკარნახევი, სადაც ცალკეულ გამოცემებში გვხდება ასეთი განმარტება: შაჰიდი – მუსლიმი, რომელიც თავს წირავს რწმენის გამო; ტერორისტი-მოკვდავი, თანამედროვე კამიკაძე...

შაჰიდზე ბევრგანაა საუბარი ყურანში: „და იმათზე, ვინც დაეცემა ალლაჰის გზაზე, არა თქვათ: „მკვდრები“, არა - ცოცხლები! ოღონდ არ გესმით თქვენ“ [**ყურანი, სურა პირველი... 2009: 2/154**[1]]. შაჰიდებს მიეტევებათ ყველა ცოდვა, შევლენ სამოთხეში: „...ხოლო იმათ, რომელნიც გადაიხვეწნენ და განიდევნენ თავიანთი სახლებიდან და ჭირნი ითმინეს ჩემ გზაზე, და იბრძოდნენ და მოიკვლნენ, დიახაც მიუტევებ ავ საქმეებს მათსას და დიახაც წალკოტებში შევიყვან, სადაც ძირს ნაკადულები რბიან, - ჯილდოდ ალლაჰისგან...“ [**ყურანი, სურა მესამე... 2009: 3/195**].

ისლამის ენციკლოპედიურ სიტყვარში შაჰიდი განმარტებულია შემდეგნაირად: „შაჰიდი - რწმენისთვის საკუთარი თავის გამწირველი, წამებულის სიკვდილით დაღუპული“ [**Ислам, 1991:296**]. ჰადისების თანახმად, შაჰიდი თავის რწმენას ამტკიცებს ურწმუნოებთან ბრძოლით, როდესაც ის იცავს საკუთრ რწმენას, სამშობლოს, ღირსებას, ოჯახს და ა. შ.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ განმარტებებში სულ სხვა შინაარსია ჩადებული, ვიდრე ის, თუ სად და რა შინაარსით ვხმარობთ ჩვენ ამ ცნებებს. ამ მხრივ მუსლიმთათვის განსაკუთ-

---

[1] აქ და ყველგან ყურანის ტექსტის ციტირებისას, პირველი ციფრი აღნიშნავს ყურანის თავს (სურა), ხოლო მეორე – ლექსს (აია).

რებით მტკივნეულია და თანაც რეალობასთან არაფერი აქვს საერთო ისეთ გამონათქვამს, როგორიცაა „ისლამური სახელმწიფო“. თუ ვამბობთ, რომ ესაა „ისლამური“, გამოდის, რომ ისლამია ის რელიგია, რომელიც უშვებს იმ ქმედებებს, რომლებსაც ჩადიან ერაყში, სირიაში და ა. შ. რაც ამ ე. წ. სახელმწიფოში ხდება, ხომ საერთო არაფერი აქვს ისლამთან? მაშინ ჩვენ რატომ ვუწოდებთ მათ „ისლამურს“? იმიტომ, რომ მათ ასე დაირქვეს? საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ უფრო საფუძვლიანი გაგებისთვის, აუცილებელია ისლამში ცალკეული გამოვლინებები გავაანალიზოთ რელიგიური ცნობიერების ტიპების ანალიზიდან გამომდინარე. მხედველობაში გვაქვს ფუნდამენტალიზმი, ამღორძინებლობა (რომლის წიაღშიც ხშირად ჩნდება რადიკალიზმი), მოდერნიზმი და ა. შ. აღნიშნული ტერმინების გამოყენებისას განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ როგორც ჟურნალისტებმა, ისე პოლიტიკოსებმა (ორიოდე წლის წინ პარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა ასეთი გამონათქვამიც იხმარა ერთ-ერთ მინისტრზე, რომ ის მთავრობაში შაჰიდის ქამრის როლს ასრულებსო....), რადგანაც ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ამ დროს საკმაოდ დიდი პროცენტია ჩვენში მუსლიმური თემის წარმომადგენლები, შესაძლებელია ასეთმა გაუაზრებელმა გამონათქვამებმა მუსლიმური თემის წარმომადგენელებს გარკვეული ტკივილი მიაყენოს, გამოიწვიოს მათი გაღიზიანება და მეტიც, გარკვეულ პოლიტიკურ რყევებამდეც მიგვიყვანოს.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი საქართველოში გავრცელებული ისლამის სხვადასხვა კულტურული ელემენტების დანამატებისგან გაწმენდაა, რომელიც მან შეიძინა ჯერ აღმოცენების პროცესში არაბეთის ნახევარკუნძულზე, შემდეგ ოსმალეთში და ასე დამკვიდრდა ჩვენში

[დაწვრ. იხ. Асланидзе, 2016:278-283]. მათ კი, ვინც მოხერხებულად ირგებს საკუთარ თავზე ზემოთ განხილულ ტერმინებს, შევახსენებთ ყურანის ერთ-ერთ აიას: „ჰოი თქვენ, რომელთაც იწამეთ! ეძიეთ საშველი მოთმინებასა და ლოცვაში, ჭეშმარიტად, მომთმენთა თანაა ალლაჰი“ **[ყურანი, სურა პირველი... 2009: 2/153].**

გამოყენებული ლიტერატურა:

ასლანიძე, 2013: – ასლანიძე ა., ისლამი და თანამედროვეობა, თბილისი.

ყურანი, სურა პირველი... 2009: – ყურანი, სურა პირველი, სურა მეორე. თარგმანი არაბულიდან და კომენტარები აპოლონ სილაგაძისა. თბილისი.

ყურანი, სურა მესამე... 2009: – ყურანი, სურა მესამე, სურა მეოთხე, სურა მეხუთე. თარგმანი არაბულიდან და კომენტარები აპოლონ სილაგაძისა. თბილისი.

Асланидзе, 2016: – Асланидзе А. Вопросы религии в писмах Тахсима Химшиашвили //Идеалы и ценности ислама в образовательном пространстве XXI века. Уфа.

Ислам, 1991: – Ислам. Энциклопедический словарь. Москва.

Ислам, 2016: – Ислам в мировой политике в начале XXI века. Москва.

Коран, 1986: – Коран. Перевод и коментарый Ю. Крачковского. Москва.

Хайретдинов, 2014: – Хайретдинов М. Джихад сквозь призму современной эпохи. Москва.

https://www.business...: – https://www.business-gazeta.ru/article/345232

Abesalom Aslanidze

Explanation of Several Terms in Islam

Summary

For the current stage, in relation to the activating of Islam, it is important to understand Islamic terms correctly. It is frequent when the separate Islamic terms are defined mistakenly, which creates non-objective understanding concerning Islam as the world Religion. Frequently, by ignorance or purposefully such contents are put in the saint terms for Muslim community, which are offensive to them, and which include “Wahhabism”, “Salafism”, “Jihadi” and so on. Moreover, the article deals with the correct definition of these terms.

ბიჭიკო დიასამიძე

ქობულეთის მხარე XVII-XVIII საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში

ოსმალთა ბატონობის დროინდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთია XVII-XVIII საუკუნეების ქობულეთის მხარეში განვითარებული მოვლენები, სადაც ნათლად ჩანს, ჯერ ერთი, აქ ოსმალთა გაბატონებამდე მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ტენდენციები და მეორე, ოსმალთა გაბატონების შემდეგ, მეზობელ სამეფო-სამთავროებთან კავშირში გადადგმული ნაბიჯები დამპყრობლების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის მიზნით.

ოსმალები XVI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს სამი მხრიდან უტევდნენ: ჩრდილო-დასავლეთიდან, ადრე დამორჩილებული ჯიქეთიდან – აფხაზეთის მიმართულებით, სამხრეთიდან – სამცხეზე გავლით ზეკარის გზით და ტრაპიზონიდან – სამხრეთ-დასავლეთი შავიზღვისპირეთის მიმართულებით **(ბერძენიშვილი, 1973:167).**

XVI საუკუნის 70-იან წლებში ომალებმა დაიკავეს სამცხე და ახალციხის (ჩილდირის) საფაშო შექმნეს (1579 წ.). 16 წლით ადრე (1563 წ.) ოსმალებს დაკავებული ჰქონდათ აგრეთვე აჭარაც (აჭარიწყლის ხეობა).

1590 წელს ირან-ოსმალეთს შორის გაფორმებული ზავით მთელი სამცხე, აჭარა და ჭანეთი ოსმალეთმა დაისაკუთრა. ასე-

ვე, XVII საუკუნის დასაწყისში დამპყრობელმა ისარგებლა იმით, რომ დასავლეთი საქართველო დაყოფილი იყო სამეფო-სამთავროებად (**იმერეთის სამეფო, აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის სამთავროები**), რომელთა შორის გაუთავებელი ბრძოლები მიმდინარეობდა, და ჯერ სამთავროები, მოგვიანებით კი იმერეთის სამეფოც მოხარკედ გაიხადა, თუმცა მათ საშინაო საქმეებში არ ერეოდა. ამ დროს ქობულეთის მხარე გურიის საზღვრებში შედიოდა და შედარებით მშვიდობიანად ცხოვრობდა. ამის შედეგი იყო, რომ XVI საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკური მოვლენები განვითარდა ქობულეთის მხარის ტერიტორიაზე. კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრად ხინოწმინდისა და სხვა ეკლესია-მონასტრები, ხოლო პოლიტიკური ცხოვრების შუაგულში ქობულეთის მმართველი საგვარეულო – თავდგირიძეები და, საერთოდ ქობულეთლები ჩანან. ხინოს საეპისკოპოსო XI საუკუნიდან ამ რეგიონის მთავარი სალოცავი იყო. საქმე იმაშია, რომ ეგრის-აფხაზეთის სამეფოში ე.წ. ,,ძველ" საეპისკოპოსოთა გაუქმების ხანაში (X საუკუნე), პეტრას საეპისკოპოსოს კათედრა ხინოში უნდა გადასულიყო (**ჯანაშია, 1949:41; ბერძენიშვილი, 1990:558**). ამ აზრის ვართ ჩვენც. მით უმეტეს, რომ ამ ვარაუდს მხარს უჭერს 1989-1990 წლებში ძეგლის გაწმენდა-შესწავლის მიზნით ჩატარებული ექსპედიციის დროს გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები (**თავამაიშვილი, 2008**). თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ხინოწმინდის ეპარქიის შექმნას XV საუკუნეში ვარაუდობს შემოქმედისა და ჯუმათის ეპარქიებთან ერთად (**სიხარულიძე, 1996; ქართველიშვილი, 2007:17**)

ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, ხინოს ეკურთხა ეპისკოპოსი ,,მწყემსი ხინოსწყლის სამხრეთით ჭოროხამდე" (**ბატონი-**

შვილი, ვახუშტი, 1904:322). ხინოს საეპისკოპოსო ფუნქციონირებდა XVIII საუკუნის 80-იან წლებამდე, ოსმალთა მიერ კინტრიშის ხეობის დაპყრობამდე და ეპისკოპოსებს ხინოწმინდელებად მოიხსენიებდნენ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რვა საუკუნის განმავლობაში, საეპისკოპოსოს არსებობა თავისთავად მრავლისმთქმელია, რადგან იგი გულისხმობს ამ ტერიტორიაზე, მომლოცველთა ინტენსიურ მოძრაობას, მეზობელ მხარეებთან აქტიურ თანამშრომლობას და აქაურთა ღვთისმოსავობას. ამასთან, ამით უცილობლად დასტურდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქრისტიანული ტაძრების სიმრავლე, რომელთა ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი.

სამხრეთ საქართველოს ოსმალთაგან დაპყრობის შემდეგ, კულტურული ცხოვრების მაჯისცემამ, შეიძლება მცირე მოცულობით, მაგრამ საქართველოს ეკლესია-მონასტრებში გადმოინაცვლა **(ქათამაძე, 2013:97**).

ხინოს საეპისკოპოსო კათედრაზე აქტიურად მიმდინარეობდა საგანმანათლებლო საქმიანობა. აქ და გვარას წმიდა გიორგის ეკლესიაში (თეთროსანი) უმოღვაწიათ წიგნების გადამწერთ (**სდსინ, 2009:190)**, რომელთა დამსახურებაა წინაპართა სულიერი საუნჯის შენახვა-გამდიდრება. ამ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე კალიგრაფები ამრავლებდნენ სასულიერო ლიტერატურას, რომლებიც აუცილებელი იყო ღვთისმსახურებისთვის. ქართულმა ლიტურგიულმა პრაქტიკამ შეიმუშავა ორიგინალური – ქართული კომპოზიცია – **გულანი,** რომელშიც თავმოყრილია საღვთისმსახურო წიგნები, ამიტომ ისინი დიდი ზომისა იყო და მათ შექმნაში კალიგრაფთა მთელი ჯგუფი მონაწილეობდა. იყო გულანის შემოკლებული ვარიანტები – ჟამგულანებიც. წერილობითი წყაროების მიხედვით, ხინოწმინდის ეპარქიაში, ჩაქვის

მხარეში, გადაუწერიათ **ერკეთის გულანი** აფხაზთა კათალიკოსის ექვთიმე საყვარელიძის (1578-1616 წწ) ბრძანებით **(ბაქრაძე, 1987:186).** ასევე, XVII საუკუნის დასაწყისში თეთროსნის მონასტერში ვახტანგ გურიელის (1583-1587 წწ) მეუღლის ათაბაგის ასულ თამარისა და და მისი ძის ქაიხოსრო გურიელის ბრძანებით გადაუწერიათ და შეუქმნიათ დავითნი, რომელიც თეთროსნის დავითნის სახელითაა ცნობილი **(ქართველიშვილი, 2006:51**). მოტანილი მაგალითები ცხადყოფენ ქობულეთის ტერიტორიაზე მოქმედ ეკლესია-მონასტრებში გაშლილ სამწიგნობრო-საგანმანათლებლო საქმიანობაზე, რომელთა წარმომადგენლების შესახებ (გერმანოს, ათანასე, იოანე ქავჟარაძეები, გიორგი და მისი მამა (გიორგი) კომახიძეები, გრიგოლ შუბალიძე და სხვ.) მხოლოდ ფრაგმენტული ცნობებია მოღწეული ჩვენამდე.

როგორც ჩანს, ეს მხარე ნაკლულობას არ განიცდიდა მხატვრული სიტყვის ოსტატების მხრივაც. ამ მხრივ გამორჩეულია **პეტრე ჩხატარაისძის** ღვაწლი, რომელიც **პლატონ იოსელიანის** ცნობით, ქობულეთში დაბადებულა, განათლება ტრაპეზუნდში მიუღია და იქვე აღკვეცილა ბერად. ღრმად დაუფლებია მწერლობას და ,,იქმნა მეცნიერი და წერილთა შინა გამოცდილი" **(ლოლაშვილი, 1982:174**). ანტონ კათალიკოსი მას ,,მესტვირესა და მეშაირეს" უწოდებს, რადგან მას ჰქონია დაწერილი ლექსები და შაირები, „ალექსანდრიანის" გალექსილი ვარიანტი **(ლოლაშვილი, 1982:174**), ,,ქრისტიანობა ქობულეთისა კერძოთა შინა" **(ბარამიძე, 1940:245**) და სხვა. XVIII საუკუნის ათიან წლებში პეტრე ჩხატარაისძე გურიის მთავრის კარზეა, როგორც მდივან-მგალობელი, მწიგნობარი. ერთი ცნობით, იგი გარდაიცვალა 1727 წელს და დაუკრძალავთ მცხეთის საკათედრო ტაძრის (სიონის) ეზოში.

XVII საუკუნეში ქობულეთის ,,ქვეყნის" ცნობადობისა და მნიშვნელობის მანიშნებელია ის, რომ თანამედროვე ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას XVII საუკუნეში სტუმრობდა იერუსალიმის და სრულიად პალესტინის სამი პატრიარქი (**ქათამაძე, 1997:30-32**). საქმე იმაშია, რომ XVI საუკუნიდან ოსმალთა მოძალების გამო, რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, როგორც საქართველოში, ისე პალესტინაში. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა იერუსალიმის ქართული კოლონიაც **(მეტრეველი, 1962:9-10).** ,,წმიდა მიწის" ქართული მონასტრის ვალის დასაფარავად შეზღუდული კერძო შემოწირულობანი საკმარისი არ აღმოჩნდა. ამის საბაბით ბერძენმა პატრიარქებმა ფართო მუშაობა გაშალეს მართლმადიდებელ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში ყმა-მამულების შესაქმნელად. ამ დროს ქობულეთის მხარის ტერიტორია გურიელების (გურიის მთავრები) გამგებლობაში შედიოდა. პირველი ასეთი ყმა-მამული–,,საჯვარისმამო საქონებელი" საისტორიო წყაროების მიხედვით, შეიქმნა ქობულეთის ტერიტორიაზე XVII საუკუნის ათიან წლებში, **ჩაიხედენაში**, რომელიც მდებარეობდა თანამედროვე სოფლების **ცხრაფონასა** და **სკურას** ტერიტორიაზე და გარკვეულწილად მოიცავდა **აჭისა** და **ქაქუთის** მცირე ნაწილს (**ქათამაძე, 2013:147**). 1611-1613 წლებში აქ დაარსდა იერუსალიმის მეტოქი, ანუ მონსატერზე დაქვემდებარებული ეკლესია მამულით. იგი XVII-XVIII საუკუნეებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ,,წმინდა მიწასთან" სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობებში. მით უმეტეს, რომ 60-იან წლებში კიდევ ორი ყმა-მამული გაჩნდა **ჩაქვისთავსა** და **ნაცხვატევში** – ქაქუთის ერთ-ერთ უბანში. ყმა-მამულების მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ XVII საუკუნის დასაწყისში ჩაიხედენას ყმა-მამული და აქ მამია II

გურიელის გარდაცვლილი შვილისა და მეუღლის ,,სულის სალოცად" აგებული ტაძარი აკურთხა პატრიარქმა **თეოფანემ,** შემდეგ კი გურია-ქობულეთში უმოგზაურიათ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქს: **პაისიოსს** (1645-1661 წწ) – 1659 წელს, **დოსითეოს II** (1669-1707 წწ) – 1681 წელს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია და მოსახლეობა XVII-XVIII საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან გათავისუ-ფლებისათვის ბრძოლის აქტიურ მონაწილედ ჩანს. ამ დროს ქობულეთის მხარე გურიის მთავრებს ემორჩილებოდა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ განმანთავისუფლებელი მოძრაობის შესაბამის პოლიტიკურ ღონისძიებებში (მოლაპარაკებები, ელჩობები, სამხედრო მისიები). ეს საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა იმერეთის მეფე **არჩილ II-ის** დროს XVII საუკუნის მეორე ნახევარში, რომელიც ცდილობდა მეფე-მთავართა და სასულიერო მოღვაწეთა საერთო ძალისხმევის გამოყენებას განმანთავისუფლებელი ბრძოლის კიდევ უფრო გასააქტიურებლად. ამ პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა **შემოქმედელი მიტროპოლიტის იაკობ დუმბაძის** ღრმად ეროვნული ლიტერატურული და დიპლომატიური მოღვაწეობა. მეფე არჩილ II მითითებით მიტროპოლიტის ხელმძღვანელობით ელჩობაც შემდგარა რუსეთის ხელმწიფის კარზე XVII საუკუნის 90-იან (1693 თუ 1696) წლებში, რომელშიც ზოგიერთი მკვლევარის (აბ. სურგულაძე, ფრ. სიხარულიძე) აზრით, მონაწილეობა მიუღია იოანე ხინოწმინდელს **(სდსინ, 2009:253**). მაგრამ ვფიქრობთ, აქ უზუსტობაა. საქმე იმაშია, რომ აქამდე ცნობილ ხინოწმინდელ მღვდელმთავართაგან იოანეს სახელით ცნობილია მხოლოდ ერთი პიროვნება, რომელიც XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში განუმწესებიათ ხინოწმინდას **(ქართველიშვილი, 2006:19**). XVII საუკუნის 90-იან წლებში კი, როცა ხსენე-

ბული ელჩობა შედგა, ხინოწმინდელ მღვდელმთავრად, წერილობითი წყაროებით, შეიძლება ვივარაუდოთ **ექვთიმე ართუმელაძე (ბაქრაძე, 1987: 246-247)**, ამიტომ ელჩობაშიც მხოლოდ მას შეეძლო მონაწილეობის მიღება, მაგრამ პროფ. ფრ. სიხარულიძის წერილში „იაკობ დუმბაძე-დიპლომატი“ **(სიხარულიძე, 1999: 2),** სადაც ჩამოთვლილია ელჩობის მონაწილეები (მიტროპოლიტი იაკობი, ეპისკოპოსი იოანე, იაკობის ძმა გაბრიელი და სხვები),

ექვთიმე ართუმელაძე არ ჩანს, ხოლო დასახელებული ეპისკოპოსი იოანე, ეტყობა, სხვა პიროვნებაა, რადგან იგი ხინოწმინდელად არ მოიხსენიება. როგორც ჩანს, ეპისკოპოს იოანეს ამ მოვლენებიდან ახლო დროში შემოქმედის ეპარქიის კათედრა ეჭირა.

ელჩობის მთავარი მიზანი ოსმალთაგან ქართული მიწების დაცვა-გათავისუფლებაში რუსეთის მხარდაჭერის მოპოვება იყო.

რუსეთის ხელმწიფის მეტად დაინტერესებისა და მისი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, სწორედ აქ წარმოთქვა **მიტროპოლიტმა იაკობმა** ცნობილი სიტყვები: **„ჩემი ეპარქია ახლოსაა იქ ქობულეთთანო”** (**სდსინ, 2009:253**), რადგან ოსმალთა მხვრივ საშიშროება სულ უფრო რეალური ხდებოდა. ეს ამმაფრებდა პროგრესულად მოაზროვნე ადგილობრივთა მოქმედებასაც. ეს ყველაზე მეტად გამოვლინდა 1737 წელს, როცა ქობულეთს ხანმოკლე დროით, გავლით ეწვია ათი წლით სულთნის ტყვეობაში ნატანჯი მეფე ვახტანგ VI-ის ძმა **პატრიარქი დომენტი (სდსინ, 2009:257).** მას მასპინძლობდა და მასთან ერთად აქაურ პატრიოტთა ჯგუფს მომავალ გეგმებზე ეთათბირებოდა დედოფალი **დარეჯან თავდგირიძე (სიხარულიძე, 1998:5).** დარეჯან თავდგირიძემ შეძლო თავის ირგვლივ შემოეკრიბა ქვეყნის

მომავალზე მზრუნველ პატრიოტთა ძალები, პატრიარქმა დომენტიმ კი მიაღწია იმას, რომ ამ ძალებს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში საერთო მეთაურად **იმერეთის მეფე ალექსანდრე V** ეცნოთ. ამ ძალების უახლოეს გეგმას **ქობულეთ-ჩაქვის** ოსმალთაგან გათავისუფლება შეადგენდა, მაგრამ იმხანად ეს ვერ განხორციელდა, თუმცა ქობულეთის მოსახლეობა დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მაინც მთავარ ძალად ითვლებოდა, მათი მეთაური **დარეჯან დედოფალი** კი სოლომონის დროსაც ინარჩუნებდა იმერეთის ხელისუფლებასთან სამოკავშირეო ურთიერთობას, რაც ქობულეთელ პატრიოტებს გამარჯვების რწმენას უნერგავდა.

XVIII საუკუნის შუა ხანებში ქობულეთის მხარის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აქაური მმართველი გვარის – **თავდგირიძეების** დამოყვრება შერვაშიძეთა გვართან. ძმები შერვაშიძეები ამ დროს ოსმალთა სამსახურში მყოფნი, ფლობდნენ მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს ყირიმიდან შორეულ სამხრეთამდე **(სდსინ, 2009:259)**. ეს ქორწინება, ფაქტობრივად, პოლიტიკური აქტი იყო და თუ იგი საქართველოს ინტერესებისთვის გამოიყენებოდა, დიდი საქმე გაკეთდებოდა, მაგრამ მოხდა პირიქით, **გიორგი თავდგირიძე** და მისი გარემოცვა ოსმალთა სამსახურში ჩადგა, რამაც აიძულა **მამუკა თავდგირიძე** თანამოძმეებს გასცლოდა და **აკეთში** დასახლებულიყო **(სიხარულიძე, 1998:5).** ამ განხეთქილებამ საგრძნობლად შეასუსტა ქობულეთელ ქრისტიანთა პოზიციები, თუმცა **სოლომონ პირველის** მიერ მოპოვებული წარმატებები ოსმალებთან ბრძოლაში და იმერეთის შიგნით გატარებული ღონისძიებანი (ტყვეთა სყიდვის აკრძალვა, ეკლესიის ავტორიტეტისათვის ზრუნვა), ქობულეთლებსაც მომავლის რწმენას უნერგავდა.

XVIII საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთ-

ოსმალეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა. რუსეთისთვის ქართული სამეფო-სამთავროების მხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სოლომონ I აქტიურობამ 1766 წელს ოსმალთა დიდი ლაშქრობა და იმერეთის ციხეებში ოსმალთა ჯარის ჩაყენება გამოიწვია. სოლომონიც გადააყენეს, მაგრამ მეფემ მალე დაიბრუნა ტახტი და აქტიური ბრძოლა გააჩაღა ოსმალების წინააღმდეგ. ოსმალეთის ხელისუფლება ახლა ზავის დასადებად მზად იყო და იგი შედგა კიდეც 1767 წელს, რომლის მიხედვით თურქეთმა იმერეთი სცნო არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ. ამასთან, ყოველწლიურად ერთგულების ნიშნად იმერეთს წინანდებურად 60 ქალი უნდა გაეგზავნა, მაგრამ ახლა შეიძლებოდა ისინი ქართველები არ ყოფილიყვნენ **(სინ, 1973:646)**. ახლა ორივე მხარის (რუსეთი, იმერეთი) ინტერესებში იყო ურთიერთმხარდაჭერა. საერთო ენა გამოინახა **ერეკლე მეორესთანაც**. რუსეთმა 1768-1774 წლების ომის დასაწყისშივე საქართველოში საექსპედიციო კორპუსი გამოგზავნა **გენერალ ტოტლებენის** მეთაურობით. გაჩნდა იმედი, რომ სამცხე-ჯავახეთი გათავისუფლდებოდა ოსმალთაგან, მაგრამ წინააღმდეგობის გაჩენამ გენერალსა და მეფეებს შორის, რომლის საფუძველი, როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლების **პოტიომკინისადმი** მიცემული სპეციალური დავალება იყო, მეფეთა მიზანი განუხორციელებელი დატოვა, თუმცა სოლომონმა იმერეთის შიდა ციხეებიდან ოსმალები მაინც გარეკა და ზღვისპირეთსაც შეუტია. მან გადაწყვიტა კარგად გაწვრთნილი სამხედრო ძალების შექმნა, სადაც დამკვრელი ძალის ფუნქცია გურიის ლაშქარს უნდა დაკისრებოდა, როგორც ოსმალთა მიერ დაკავებული ტერიტორიების მოსაზღვრეს. მით უმეტეს, რომ ქობულეთში მრავლად იყვნენ პატრიოტულად განწყობილი ძალები. ამის დასტურია 1771 წელს ქობულეთისა

და გურიის სოფლების: **ჭახათის, ხინოს, ასკანის, ლიხაურის** და სხვათა მოსახლეობის სოლომონ მეფისადმი მირთმეული პირობისა და ფიცის წიგნი, სადაც ისინი მზადყოფნას გამოხატავდნენ ჯარის გარდაქმნისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებასა და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის. არადა, ოსმალთა მხრივ საშიშროება სულ უფრო აშკარა ხდებოდა. მას შემდეგ, რაც 1703 წელს ოსმალებმა საბოლოოდ დაიკავეს ქ. ბათუმი და ბათუმის მხარე, შემდეგ ჩაქვის მხარე და 1723 წელს ზღვისპირა ციხეებშიც (ციხისძირი, ქობულეთი, შეკვეთილი...) ჯარები ჩააყენეს, აშკარა იყო, რომ მომდევნო ნაბიჯს მხარის დამორჩილების მიზნით გადადგამდნენ. მართლაც 1772 წლის მაისში, როცა რუსთა ჯარმა საქართველო დატოვა, თურქები ქობულეთის მხარეში ციხისძირიდან შემოიჭრნენ, ხოლო გამაჰმადიანებულმა აჭარელმა ფეოდალებმა აჭარა-გურიის ქედი და ხინოს მხარე დაიკავეს, ხინოწმინდელი ეპისკოპოსი იოანე (წუწუნავა) იძულებული გახდა სამწყსო მიეტოვებინა (**სინ, 1973:659**). ორი მხრიდან შევიწროვებული ქობულეთის მხარის მმართველი მამუკა თავდგირიძე საჯავახოში იდგა ოჯახით სოლომონ II-ისა და გურიელის დახმარების იმედით. ისღა მოხერხდა, რომ, გურიელმა მამუკას სამფლობელოდ აკეთის მიდამოები მისცა. მამუკას უფროსი ვაჟი მაქსიმე, რომელიც ახალციხის ფაშასთან ერთგულების ნიშნად მძევლად იყო გაგზავნილი, ახლა უკვე გამუსლიმანებული და სულეიმანად წოდებული, ოსმალებმა ქობულეთის მხარის გამგებლად (ბეგად) დანიშნეს.

ასე რომ, XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ოსმალებმა ქობულეთის მხარე მთლიანად დაიპყრეს, მაგრამ მათი აქ ბატონობა ნომინალური იყო, რადგან ქობულეთის მხარეს ადგილობრივი ფეოდალები მართავდნენ და იშვიათად ასრუ-

ლებდნენ თურქეთის ხელისუფლების მოთხოვნებს. აქაური პატრიოტები კვლავ მონაწილეობდნენ ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, მოსახლეობის ნაწილმა კი მიატოვა თურქთა მიერ დაკავებული სოფლები და შუა გურიაში გადასახლდა (**ჩხატარაიშვილი, 1964:129**).

1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომით საქართველომ ტოტლებენის მოღალატური მოქმედების გამო, მართალია, ტერიტორიულად ვერაფერი მიიღო, მაგრამ რუსეთის დაჟინებული სწრაფვა სამხრეთისაკენ, შავი ზღვის ნავსადგურების ხელში ჩასაგდებად, ამასთან, ასპინძასთან ბრძოლის დროს აჭარელთა არ მონაწილეობა ოსმალთა მხარეზე, საიმედო პერსპექტივების მანიშნებელი იყო. ტოტლებენის საქმეთა შესასწავლად რუსეთიდან გამოგზავნილი კაპიტანი **იაზიკოვი** ცენტრს ატყობინებდა: **„მებრძოლი ქრისტიანი ხალხი, აჭარლებად სახელდებული, მცხოვრები მთებში გურიასა და თურქეთს შორის, შავი ზღვიდან აღმოსავლეთით, თურქთა ქვეშევრდომობიდან სრულიად განდგა; ასე რომ, როცა ახალციხის ფაშა თურქთა გარკვეული რიცხვით ამ ხალხის დასამორჩილებლად აჭარაში შევიდა, მათ იგი დაამარცხეს და აჭარიდან განდევნეს“ (მაჭარაძე, 1997:919 (დოკ.№762)).**

ყველაფერი ეს მანიშნებელი იყო იმის, რომ დაპყრობილ ტერიტორიებზე ოსმალებს მტკიცე დასაყრდენი არ ჰქონდათ. ალბათ ესეც გახდა იმის საფუძველი, რომ ქართველ პატრიოტთა მოთხოვნით, 1784 წლის მარტის დასაწყისში, იმერეთისა და გურიის რაზმები დაახლოებით 6 ათასამდე მებრძოლით, დაიძრა ბათუმის მიმართულებით. ლაშქრობის საბაბად იქცა ოსმალთა და ზოგიერთ გადაგვარებულ აჭარელთა ბანდიტური თავდასხმა **აკეთზე** (აქ დაიღუპა სელიმ ხიმშიაშვილის მამა აბდულ ბეგი). ლაშქრობის მიზანი იყო ოსმალთაგან ქობულე-

თი-ჩაქვისა და ბათუმის მიდამოების გათავისუფლება. ქობულეთელ პარტიოტთა მხარდაჭერით მოხერხდა ქობულეთის გათავისუფლება, პეტრას ციხის დაკავება და სამხრეთისკენ გაჭრა, მაგრამ 9 მარტს, ციხისძირთან **ნაჭიშკრევის** მიმართულებით, ოსმალთა ჩასაფრებულმა ჭარბმა ძალებმა ქართველებს დიდი ზიანი მიაყენეს (1000-დაღუპული, მათ შორის 18 იმერელი წარჩინებული, 200-დე ტყვედ ჩავარდნილი და არაერთი უგზო-უკვლოდ დაკარგული) **(ჩხატარაიშვილი, 1964:137**). ეს პატრიოტთათვის დიდი ტრაგედია და დანაკლისი იყო, რადგან ამ მარცხმა გააქტიურა ოსმალები, გაზრდილი ძალებით შემოუტიეს ქობულეთის მხარეში მტკიცედ დამკვიდრებისა და ოსმალური ცხოვრების წესის განმტკიცებისათვის. კვლავ გაძლიერდა ტყვეთა სყიდვა. 90-იანი წლების დასაწყისში გურიის ავადმყოფი მთავარი სვიმონ გურიელი, რომლის გამგებლობაშიც შედიოდა გურიის მხარე, თურქთა და ლეკთა თავდასხმებს ვეღარ უმკლავდებოდა და მოსალაპარაკებლად „შეწყნარებისა და გამოხსნისათვის ტყუეობისა სამფლობელოისა თვისისა“ გაემგზავრა ამალით ახალციხის ფაშასთან შესახვედრად. ამ დროს აჯანყებული იყვნენ აჭარლები ახალციხის ფაშის წინააღმდეგ. ისინი ჩაუსაფრდნენ ახალციხისკენ მიმავალ მთავარს და დიდი ნაწილი მხლებლებისა დაუხოცეს, ნაწილი კი მასთან ერთად ტყვედ აიყვანეს. აჭარის მმართველმა ახმედ ხიმშიაშვილმა სვიმონ გურიელი ხულოში წაიყვანა და მანამ არ გაათავისუფლა, სანამ გურიელისგან თანხმობა არ მიიღო, რომ თავის მცირეწლოვან ასულს კესარიას ცოლად შერთავდა მის უმცროს ძმას აბდის **(ჩხატარაიშვილი, 1964: 144).** ასე დამოყვრდნენ გურიისა და აჭარის მმართველი საგვარეულობები, მაგრამ ამან ვერ უშველა იმ დროს ამ რეგიონში შექმნილ ვითარებას. ოსმალები სულ უფრო მეტად იკიდებდნენ ფეხს ცენტრებსა და

დასახლებულ ადგილებში. ახლა მათი მთავარი მიზანი იყო ამ მხარეში ოსმალური ცხოვრების წესის დამკვიდრება და მოსახლეობის გამუსლიმანება, რასაც სხვადასხვა საშუალებებით მიაღწიეს კიდეც XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარამიძე, 1940: – ბარამიძე ალ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი.

ბაქრაძე, 1987: – ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ, ბათუმი.

ბატონიშვილი, 1904: – ბატონიშვილი ვ., საქართველოს გეოგრაფია, თფილისი.

ბერძენიშვილი, 1973: – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბილისი.

ბერძენიშვილი, 1990: – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, თბილისი.

დარჩია, 2009: – დარჩია ბ., იაკობ შემოქმედელი, თბილისი.

თავამაიშვილი, 2008: – თავამაიშვილი გ., ხინოწმინდა, ბათუმი

ლოლაშვილი, 1982: – ლოლაშვილი ივ., მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, თბილისი.

მაჭარაძე, 1997: – მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. II, თბილისი.

მეტრეველი, 1962: – მეტრეველი ელ., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი.

სინ, 1973: – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV თბილისი.

სდსინ, 2009: – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, ბათუმი.

სიხარულიძე 1998: – სიხარულიძე ფრ. ,,თქვენ მოგეხსენებათ ჩვენი სიბრალული, გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი.

სიხარულიძე, 1999: – სიხარულიძე ფრ., იაკობ დუმბაძე-დიპლომატი, გაზ. ,,გუბაზოული“, 2.

სიხარულიძე, 1959: – სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათუმი.

სიხარულიძე, 1996: – სიხარულიძე ი., ჭოროხის აუზის საეპარქიო ცენტრები, გაზ. „ კახაბერი“

ქათამაძე, 1997: – ქათამაძე ც. ,,იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქები ქობულეთში. ,,საისტორიო მაცნე“, №6, ბათუმი.

ქათამაძე, 2013: – ქათამაძე ც. ,სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმის ქართულ კოლონიასთან (XVI-XVIII სს.), თბილისი.

ქართველიშვილი, 2006: – ქართველიშვილი თ., გურიის საეპისკოპოსოები (XV-XIX სს), თბილისი.

წერეთელი, 1963: – წერეთელი აკ., თხზულებათა სრული

ჩხატარაიშვილი, 1964: – ჩხატარაიშვილი ქ., გურიის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, – ,,მაცნე“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, №4, თბილისი.

ჯანაშია, 1949: ჯანაშია ს., შრომები, I, თბ.

Bichiko Diasamidze

Kobuleti District in Cultural and Political Life of South-West Georgia in XVII-XVIII Centuries

Summary

By using the written sources and science literature, the work shows wide spread cultural-educational activity in the church-monasteries of Kobuleti district, in particular, the calligraphers have re-written ERKETI GULANI, TETROSNI DAVITNI, in the beginning of XVII Century, (here in Chekheidan) had been established the churchwith homeland under Metropolitan of Jerusalem.

Kobuleti district with its population, within the condition of frequent attacks of Ottomans, was actively involved in the fights against the conquerors, together with other kingdom-principalities, but in 70 years of XVIII century, Kobulety part was completely occupied by Ottomans.

ოთარ თურმანიძე

სახალხო მღელვარეებები და ანტისაბჭოთა გამოსვლები XX საუკუნის 20-იან წლების პირველ ნახევარში

აჭარაში სახალხო მღელვარებანი და ანტისაბჭოთა გამოსვ-ლები გასაბჭოებისთანავე დაიწყო. ამ მოძრაობაში ჩაბმული იყვნენ გლეხები, ფეოდალები, ბურჟუაზია, ინტელიგენცია, სასულიერო პირები, ყოფილი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ მიმდინარეობათა წევრები, გენერლები, ოფიც-რები და სხვები. ძალდატანებით, იარაღითა და სისხლისღვრით

მოსულ ხელისუფლებას მოსახლეობა მტრულად შეხვდა. ამასთან, სახალხო მღელვარებისათვის ობიექტური საფუძვე-ლიც არსებობდა: საბჭოთა ხელისუფლების სოციალურ-კლა-სობრივი პოლიტიკა, მოსახლეობის უმძიმესი ეკონომიკური პირობები, წარმოების საშუალებათა ცველი კონფისკაცია და ნაციონალიზაცია, კომუნისტური პარტიის ანტირელიგიური ღონისძიებები და სხვა. აგრეთვე ამ პრობლემების გადაჭრის არაბუნებრივი გზები და მეთოდები.

მართალია, ლოკალურ სახალხო მღელვარებებსა და ანტისაბჭოთა გამოსვლებს არ შეეძლოთ აჭარაში კომუნისტური რეჟიმის დამხობა, მაგრამ ეს მოძრაობა იყო მოსახლეობის კანო-ნიერი პროტესტი ჩამოყალიბებაში მყოფი საბჭოთა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მიმართ. ამით თანდათანობით მზად-დებოდა პირობები არსებული წყობის თვისებრივი ცვლილებე-ბისათვის. საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა

ბრმად ბაძავდა საკავშირო ცენტრალურ ხელისუფლებას, არ ითვალისწინებდა რეგიონის თავისებურებებს, რის გამო სახალ-ხო მღელვარებანი XX საუკუნის 20-იან წლებში პერმანენტულ ხასიათს ატარებდა.

პირველი ანტისაბჭოთა გამოსვლები ქობულეთის მაზრაში მოეწყო 1921 წლის აპრილში. სამაზრო და სასოფლო-სათემო რევოლუციური კომიტეტების არჩევნების დროს ხელისუფლე-ბამ ვერ გაიყვანა თავისი კანდიდატები. ამისი გამო გააუქმეს არჩევნების შედეგები, რასაც ხალხის მღელვარება გამოუწვევია. მღელვარება იმდენად მძლავრი ყოფილა, რომ საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტმა ოლქის სამხედრო კომისრის თენგიზ ჟღენტის მიმართვის შედეგად 1921 წლის 29 აპრილს სპეციალურად განიხილა საკითხი „აჭარლების ქცევის შესახებ“. საოლქო კომიტეტის დადგენილებით ქობულეთში შეიყვანეს 100-მდე შეიარაღებული წითელარმიელი, რომელთა მეშვეობით ჩააქრეს მოსახლეობის მღელვარებაა [**აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 4, ფურც. 24**].

სახალხო მღელვარებასა და ანტისაბჭოთა გამოსვლებს ადგილი ჰქონდა სხვა მაზრებშიც. აღსანიშნავია ქვემო აჭარის მოსახლეობის გამოსვლა 1921 წლის სექტემბერში. ამ გამოსვლას ხელმძღვანელობდა ბათუმის საოლქო მეჯლისის ქვემო აჭარის ორგანიზაცია. შეიქმნა მკვეთრი დაპირისპირება სამაზრო მეჯ-ლისს, რევკომსა და გლეხთა კომიტეტს შორის. ქვემო აჭარის რევკომი 1921 წლის 5 აპრილს აირჩიეს ქედაში გამართულ მიტინგზე, რომელსაც დაახლოებით 5000 კაცი ესწრებოდა. რევკომში 7 წევრი შედიოდა. თავმჯდომარედ აირჩიეს აბდულ მუფთი ზადე, წევრებად – ფეიზულა-ბეგ სურმანიძე, დაუდ იუსუფ-ზადე, ასან-აღა ზადე, ხასან ომერ-აღა ზადე და სხვები. კომუნისტური პარტოკრატიისათვის ქვემო აჭარის რევკომის

შემადგენლობა არასასურველი აღმოჩნდა. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის მდივანმა კ. საჯაიამ მოგვიანებით ქვემო აჭარის რევკომის თავმჯდომარე აბდულ მუფტი ზადე დაახასიათა, როგორც ქემალისტი [**აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 10, ფურც. 4; ფ. რ-1, ან. 1, ს. 6, ფურც. 2**]. რევკომს დაუპირისპირეს გლეხთა კომიტეტი, რომელიც ქვემო აჭარაში 1921 წლის აგვისტოში შეიქმნა.

ქვემო აჭარაში ბათუმის საოლქო კომუნისტურმა პარტოკრატიამ რევკომის გადარჩევა მოაწყო და მის შემადგენლობაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მისაღები ადამიანები გაიყვანეს. ამრიგად, ერთ მხარეზე იყო რევკომი და გლეხთა კომიტეტი, ხოლო მეორე მხარეს – მეჯლისი. 1921 წლის სექტემბერში მეჯლისმა ორგანიზაცია გაუკეთა გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. აჭარის ღარიბთა კომიტეტის ცენტრალურმა ბიურომ 1921 წლის 22 და 24 სექტემბერს სპეციალურად იმსჯელა ქვემო აჭარაში შექმნილ მდგომარეობაზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მეჯლისი მუშაობს რევკომისა და ღარიბთა კომიტეტის წინააღმდეგ. მოსახლეობის გამოსვლა შეფასებულია, როგორც კონტრრევოლუციური და მთავრობისაგან მოითხოვდა სასტიკი ზომების გატარებას, რევოლუციური რაზმის შექმნას, რომელიც იბრძოლებდა სახალხო გამოსვლების წინააღმდეგ [**აცსა, ფ. რ-12, ან. 1, ს. 1, ფურც. 55-56**].

ქვემო აჭარის 1921 წლის სექტემბრის აჯანყებაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ფეიზულა-ბეგ სურმანიძე, ხუსეინ-ბეგ ბიბინ-ზადე (ბიბინეიშვილი), აბდულ ეფენდი მუფთი ზადე, ცეცხლაძე და სხვები. ამ აჯანყებასთან დაკავშირებით კ. საჯაია 1921 წლის 2 ნოემბერს წერდა: 1921 წლის სექტემბრის ბოლოს მეჯლისმა ქედაში მოაწყო ანტისაბჭოთა გამოსვლა. ქედის რაიონი ბეგების ხელშია, რომელთაც ჰყავთ 50 კაციანი შეიარაღებუ-

ლი რაზმი. ეს რაზმი თავს დაესხა რევკომსა და გლეხთა კომიტეტს, რის შედეგად თავის ხელში აიღო ძალაუფლება. აჯანყების ჩასაქრობად ბათუმიდან ქედაში გაიგზავნა ჯარის ნაწილი, მაგრამ მოსახლეობა მასთან ბრძოლაში არ ჩაება, რამდენადაც შეიარაღებულ ჯართან გამკლავებას აზრი არ ჰქონდა. აჯანყების მონაწილენი თურქეთში გადავიდნენ და თავშესაფარი მიიღეს.

ქვემო აჭარის მოსახლეობის 1921 წლის სექტემბრის ანტისაბჭოთა გამოსვლის მასშტაბს ისიც ადასტურებს, რომ ყარსის კონფერენციაზე (1921 წ. ოქტომბერი) ამის შესახებ ხაზგასმით აღინიშნა. საერთაშორისო დონეზე გახმაურების გამო საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ამნისტია გამოეცხადებინა, რის შედეგად 30 პიროვნება დაბრუნდა სამშობლოში **[აცსა, ფ. რ-11, ან. 1, ს. 7, ფურც. 9-10; ფ. პ-1, ან. 1, ს. 4, ფურც. 24]**.

სოციალური მოძრაობის პასიურ ფორმას, – ურჩობას და ანტისაბჭოთა აგიტაციას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. ამის გამო 1921-1925 წლებში არაერთხელ დააპატიმრეს ამ მოძრაობის მონაწილენი. მათ შორის აღსანიშნავია ბექირ აბუსერიძე, ხუსეინ ბიბინეიშვილი, ოსმან ჩალოღლი (ჩავლეიშვილი), სულეიმან ყარაბექიროღლი და სხვები, რომლებიც კომუნისტურმა ხელისუფლებამ ქემალისტებად (თურქოფილებად) მონათლა. ხელისუფლების ოფიციალური ცნობით, 1922 წლის აგვისტოსა და სექტემბერში აჭარაში მოსახლეობის მღელვარებას ფართო მასშტაბი მიუღია, რომელიც ხელისუფლების საგანგებო ზომების შედეგად სახალხო აჯანყებაში აღარ გადაზრდილა **[აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 119, ფურც. 1]**.

აჭარაში XX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში სახალხო გამოსვლების ერთ-ერთი თავისებურება ისიც იყო, რომ მასში ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო მოხე-

ლეებიც მონაწილეობდნენ. მაგალითად, აჭარის „ჩეკას“ ცნობით, 1923 წლის აჯანყებაში, რომელიც ხულოს მაზრის ღორჯომის თემში მოხდა, ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი აბდულ გოგოც მონაწილეობდა. ჭოროხის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ლეზგიოღლი პატიმრობიდან გათავისუფლებულ ზოგიერთ ბეგს საზღვარგარეთ გაქცევაში ეხმარებოდა. ამასთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ნ. ბახტაძე აცხადებდა: „პასუხისმგებელი აჭარლების თვითნებობას საზღვარი არ აქვს. კანონებს არღვევენო [**აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 115, ფურც. 116-117**]. ჭეშმარიტება მოითხოვს ითქვას, რომ „პასუხისმგებელი აჭარლები“ კანონებს კი არ არღვევდნენ, არამედ უსამართლობას ებრძოდნენ, გაუბედურებული და გაწამებული მოსახლეობის სამართლიან მღელვარებებს თანაუგრძნობდნენ.

სახალხო მღელვარების ჩაქრობისას თვითნებობისა და „პასუხისმგებელ აჭარლებთან“ დაპირისპირების გამო ნ. ბახტაძე გაათავისუფლეს შინსახკომისა და საგანგებო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან. ამ თანამდებობაზე იგი შეცვალა ა. ქავთარაძემ, რომელიც ბევრად არ განსხვავდებოდა ნ. ბახტაძისაგან. ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელები თავიანთი ქმედებებით ისედაც დამძიმებულ ვითარებას კიდევ მეტად ამძიმებდნენ, რასაც მოსახლეობა მძაფრი გამოსვლებით პასუხობდა. 1924 წლის ივლისში ფართო მასშტაბის სახალხო გამოსვლა მოხდა მერისის ხეობის სოფლებში. ამ მღელვარების მასშტაბზე მეტყველებს საგანგებო ღონისძიებები, რაც ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელობამ განახორციელა.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამ 1924 წლის 31 ივლისს მოისმინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ა. ქავთარაძის ინფორმაცია „მდგომარეობა მერისში“. დადგენილებაში ნათქვამია: დაევალოს ჩეკას დღესვე გააგზავნოს მერისში წითელარმიელთა რაზმი 50 კაცის შემადგენლობით, მისცეს სპეციალური ინსტრუქცია, სასწრაფოდ დააპატიმრონ ბეგები ქედის მაზრაში უკლებლივ. ამასთან, თ. ხიმშიაშვილი მიავლინეს მერისში ახსნა-განმარტების ჩასატარებლად, რათა დაძაბულობა განმუხტულიყო. ამავე სხდომაზე სპეციალურად განიხილეს საკითხი ბათუმიდან მავნე ელემენტების გასახლების შესახებ და ჩეკას დაევალა ამ მიმართებით ღონისძიებების გატარება [**აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 214, ფურც. 85, 87**]. სინამდვილეში ეს ადამიანები საზოგადოებისა და ქვეყნისათვის „მავნე ელემენტები“ არ ყოფილან. ისინი გამოხატავდნენ უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების ანტიხალხური პოლიტიკისა და პრაქტიკულ ქმედების გამო.

მოსახლეობამ არაერთხელ გამოხატა უკმაყოფილება საგზაო მშენებლობასთან დაკავშირებით. საქმე ის არის, რომ სოფლის მოსახლეობის მასობრივი მობილიზაცია მიმდინარეობდა გზებისა და ხიდების მშენებლობისათვის. სახელმწიფო მომუშავეებს საგზლის ფულსაც არ აძლევდა. მაგალითად, 1924 წლის აპრილში ხიჭაურის სასოფლო თემის გლეხები გაიფიცნენ და უარი განაცხადეს გზების მშენებლობაზე. ამ გაფიცვაში ხიჭაურის თემის 9 სოფლის მოსახლეობა მონაწილეობდა. გაფიცვასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ხულოს სამაზრო კომიტეტის მდივანი ა. კალანდაძე პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანს მოახსენებდა:

ხიჭაურის თემის 9 სოფლის მოსახლეობამ სასტიკი უარი განაცხადა გზების მშენებლობაზე. გლეხთა განცხადებით ნიკო-

ლოზ მეორე (რუსეთის იმპერატორი) უკეთესი იყო, სადმე თუ გზები გაჰყავდათ, მომუშავეებს 3 მანეთს აძლევდა დღიურად. გაფიცულმა გლეხებმა 100 კაცი შეარჩიეს და ბათუმში საჩივ-ლელად წარგზავნეს. ა. კალანდაძე თავის მიმართვაში აღნიშნავ-და, რომ აღნიშნული სოფლები მდებარეობს თურქეთის სახელ-მწიფო საზღვართან და ერთ დღეში შეუძლიათ გადავიდნენ და გადმოვიდნენ შავშეთში. ამიტომ გლეხთა გამოსვლაში ამ მხრივაც დიდ საფრთხეს ხედავდა. გლეხთა 1924 წლის აპრილის გამოსვლას, ა. კალანდაძის მიხედვით, ძენწმანელი ბეგი (ქედის მაზრა) ფეიზულა სურმანიძე ხელმძღვანელობდა, რომელიც მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა. იგი მფარვე-ლობდა აგრეთვე ე.წ. კონტრაბანდისტებს. ა. კალანდაძე პარ-ტიის აჭარის საოლქო კომიტეტისაგან მოითხოვდა დახმარებას, რამდენადაც ხულოს მაზრის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო გლეხთა აღნიშნული მოძრაობის ჩახშობა [**აცსა, ფ. რ-75, ან. 1, ს. 4, ფურც. 83**].

საქართველოში XX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში ყველაზე დიდი მასშტაბის გამოსვლა მოხდა 1924 წლის აგვისტოში, რომლის მიზანს შეადგენდა ეროვნული და-მოუკიდებლობის აღდგენა. ქართველი ბოლშევიკები, ხელი-სუფლებაში ძალადობით მოსვლის შემდეგ, ანტიეროვნულ გზას დაადგნენ. მათი უმოქმედობით დაირღვა საქართველოს ტერი-ტორიული მთლიანობა, – შეიძლება ითქვას, ქართველი კომუ-ნისტების თანხმობით საბჭოთა რუსეთმა თურქეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს გადასცა ქართული მიწა-წყალი, რელიგიის წინააღმდეგ დაუნდობელმა ბრძოლამ, ეკლესიების დახურვამ, სასულიერო პირების, თავადაზნაურების, არაკომუნისტური პარტიებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლამ და სხვა დანაშაულებრივმა ქმედებებმა დიდი ეროვნული ტკივილი

მიაყენა ქართველ ხალხს. ქართველი პატრიოტები შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს სახალხო აჯანყებაში ხედავდნენ. ამისათვის მოსამზადებელი მუშაობა 1921 წლის შემოდგომიდან დაიწყო. 1922 წელს შეიქმნა დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელშიც გაერთიანდნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერაციული, სოციალისტ-რევოლუციონერთა და სხიველები. მათ გაშალეს ფართო მასშტაბის მუშაობა სახალხო აჯანყების მომზადებისა და განხორციელებისათვის.

ქ. ბათუმში პარიტეტული კომიტეტის ორგანიზაცია 1922 წლიდან არსებობდა, რომელშიც შედიოდნენ მიხეილ საბაშვილი, ვიქტორ ცენტერაძე, ვასილ ჩიტაიშვილი, რკინიგზელი წითლიძე, ფილიპე ქიქავა, სევერიანე ვადაჭკორია, ხომერიკი. პირველი სამი წევრი პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიოდნენ, რომელთა საქმიანობას ვასილ ჩიტაიშვილი ხელმძღვანელობდა. საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტის რწმუნებული ბათუმის ორგანიზაციაში გიზო ანდღულაძე იყო. პარიტეტული კომიტეტის ბათუმის ორგანიზაციამ აჭარის მასშტაბით 40 უჯრედი შექმნა, რომელშიც გაერთიანებული იყო 400 ადამიანი. მოგვიანებით პარიტეტული კომიტეტის ბათუმის ორგანიზაციაში ითვლებოდნენ მიხეილ საბაშვილი, მიხაკო შარაშიძე და გოგა ჩიქოვანი. პარიტეტული ბათუმის ორგანიზაცია საიდუმლო შეკრებებს ატარებდა კერძო პირების საცხოვრებელ ბინებში. აჯანყების მზადების პროცესში ქ. ბათუმში საიდუმლო შეკრებები ეწყობოდა ივანე ქართველიშვილის სახლში [**არქივის კვალდაკვალ.., 2017: 62-63**].

ამ საერთო მუშაობას წარმართავდნენ როგორც ადგილზე (საქართველოში) დარჩენილი, ისე საზღვარგარეთ გადახვეწილი პოლიტიკური პარტიების ლიდერები. საზღვარგარეთ დაარსდა

საერთო კომიტეტი, რომელიც დიპლომატიურ მუშაობას ეწეოდა ევროპის სახელმწიფოებთან მხარდაჭერის მოპოვებისათვის. საქართველოში დამოუკიდებელ კომიტეტთან შეიქმნა დარგობრივი კომისიები და სამხედრო ცენტრი. 1924 წლის აჯანყების ორგანიზაციაში, მოსახლეობის დარაზმვასა და საბრძოლო გეგმის შემუშავებაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ნ. ხომერიკი, კ. აფხაზი, ვ. ჯუღელი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. ფაღავა, ს. ზალდასტანიშვილი, შ. ამირეჯები, ი. ჯავახიშვილი, ქ. ჩოლოყაშვილი, ვ. ნოდია და სხვები. აჯანყების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი გენერლები და ოფიცრები, სამღვდელოების წარმომადგენლები. დამოუკიდებელი კომიტეტის მეშვეობით კავშირ-ურთიერთობა დამყარდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან და აზერბაიჯანის შესაბამის პოლიტიკურ ძალებთან.

თავდაპირველად განზრახული იყო აჯანყება განხორციელებულიყო 1924 წლის თებერვლის დასაწყისში, შემდეგ გადაიტანეს 26 მაისისათვის. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა იმის გამო, რომ 1923 წლის 19 მაისს დახვრიტეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე კ. აფხაზი, გენერლებისა და ოფიცრების ნაწილი, სულ 15 კაცი. დაპატიმრებები 1924 წლის პირველ ნახევარშიც განხორციელდა, რამაც ძალზე შეარყია ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა რიგები. მაგრამ ძალები მოიკრიბეს და მუშაობა განაახლეს. აჯანყების საერთო სარდლად დანიშნეს გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე. ძირითადი დარტყმა უნდა განეხორციელებია ქაქუცა ჩოლოყაშვილს.

აჯანყებისათვის დიდი მუშაობა მიმდინარეობდა გურიასა და აჭარაში. 1924 წლის აპრილში „ჩეკამ“ ხელში ჩაიგდო საიდუმლო ბარათი, რომელიც დამოუკიდებელი კომიტეტის ბა-

თუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელებზე გადასაცემად მიჰქონდა ოზურგეთელ ნიკოლოზ ჟღენტს. იგი გზაზე შეიპყრეს და საიდუმლო ბარათიც ჩამოართვეს. წერილი შედგენილი იყო დამოუკიდებელი კომიტეტის გურიის ორგანიზაციაში. საიდუმლო ბარათში მოცემულია მოკლე მონახაზი და მოწოდება აჭარაში აჯანყების მომზადებისა და ერთობლივად გამოსვლის შესახებ. აჯანყების დროს ბათუმის ორგანიზაციას ევალებოდა 300 შეიარაღებული მებრძოლის გამოყვანა [**არქივის კვალდაკვალ.., 2017: 60**].

ამასთან დაკავშირებით, აჭარის საგანგებო ხუთეულმა ამ საკითხზე იმსჯელა 1924 წლის 29 აპრილს და მიიღო დადგენილება ინფორმატორთა ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფი შეაგროვებდა საიდუმლო მასალებს „მავნე ელემენტების“ გამოსავლენად. აგენტების მეშვეობით ჩეკამ მიიღო ინფორმაცია, რომ ბათუმში ვინმე სალუქვაძის სახლში იკრიბებოდნენ „ანტისაბჭოთა ელემენტები“ და მსჯელობდნენ აჯანყების შესახებ. 1924 წლის 14 მაისს შინსახკომის შეიარაღებულმა რაზმმა ალყაში მოაქცია სალუქვაძის სახლი და შეკრებილებს მოსთხოვა დანებება. უარის მიღების შემდეგ სახლი შტურმით აიღეს, რის შედეგად 4 კაცი მოიკლა, ხოლო 2 დააპატიმრეს. აღმოაჩინეს პროკლამაციების მთელი შეკვრა, რომელიც გამიზნული იყო მოსახლეობაში გასავრცელებლად სახალხო აჯანყების მოწყობისათვის.

ხელისუფლებამ გააძლიერა მუშაობა მოსალოდნელი ანტისაბჭოთა გამოსვლის ორგანიზატორებისა და აქტივისტების გამოსავლენად, მათ შესაპყრობად. ამ მიზეზით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დავალებით თბილისიდან გურიასა და აჭარაში გამოიგზავნა სპეციალური შეიარაღებული რაზმი, რომელსაც ჩეკისტი იასონ გიორგაძე ხელმძღვანელობ-

და. ამ რაზმმა ჯერ გურიაში მოაწყო მოსახლეობის დარბევა, რომელიც მსხვერპლით დამთავრდა. მაგალითად, სოფელ ლიხაურის დარბევის დროს მოიკლა 4 და დაიჭრა 10 კაცი, გადაწვეს და ფერფლად აქციეს რამდენიმე სახლი. რაზმი შემდეგ გადმოვიდა აჭარაში, ადგილობრივ ჩეკისტებთან და მილიციონერებთან ერთად სოფელ მუხაესტატეში დააპატიმრეს 4 პიროვნება, რომელიც შემჩნეული იყო ანტისაბჭოთა მუშაობაში.

მთავრობის მხრიდან სადამსჯელო ღონისძიებების მიუხედავად, აჭარაში აჯანყებისათვის მზადება აქტიურ ფაზაში შედიოდა. მოსახლეობის გამოსვლისათვის, ადგილობრივ ძალებთან ერთად, აქტიურად მუშაობდნენ გურიიდან შემოსულები. 1924 წლის ივლისში აჭარაში გურიიდან შემოვიდა 15 კაციანი ჯგუფი, რომელსაც გიორგი სამსონაძე ხელმძღვანელობდა. მას უნდა მოეწყო მთავრობის საწინააღმდეგო ტერორისტული აქტები, დივერსიები. ამ ჯგუფის წევრებს შეხვედრები და მოლაპარაკება ჰქონდათ აქაურ აქტივისტებთან. მათგან აღსანიშნავია სოფელ მუხაესტატეს მკვიდრი მამუდ მჟავანაძე, რომელიც მოსახლეობაში ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა. ამ შეხვედრის შედეგად მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობა გაფართოვდა. ზეპირ აგიტაციასთან ერთად პროკლამაციებსაც ავრცელებდნენ, მოსახლეობას მოუწოდებდნენ დაუმორჩილებლობისაკენ. ამ ჯგუფმა ქობულეთის მაზრაში ტყვედ აიყვანა რამდენიმე პიროვნება, რომლებიც მთავრობის სამსახურში იდგნენ და აქტიურად მუშაობდნენ „მავნე ელემენტების“ გამოვლინებისათვის.

ხელისუფლება საგონებელში ჩავარდა. ქობულეთის მაზრაში სასწრაფოდ გაიმართა საგანგებო სამეულის სხდომა, სადაც მიიღეს დადგენილება ანტისაბჭოთა ჯგუფის შეპყრობისათვის. ამისათვის სამხედრო ნაწილები გამოიყენეს. შებრძოლება მოხდა

სოფელ მუხაესტატეს მახლობლად, სადაც სამთავრო ძალების მხრიდან დაიჭრა და დაიღუპა რამდენიმე კაცი. სამთავრობო რაზმმა გურიისაკენ მიმავალ ჯგუფს გზაზე წამოეწია და ალყაში მოაქცია. ორმხრივი ბრძოლის დროს დაიჭრა გურიის რაზმის ხელმძღვანელი გ. სამსონაძე. იგი ტყეში მიიმალა, ხოლო მისი ჯგუფის წევრები დაიშალნენ. ამრიგად, სამთავრობო ძალებმა ვერ შეძლეს გურულების ჯგუფის ბოლომდე განადგურება [**გოგოლიშვილი, 2001**].

საქართველოს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდა ინფორმაცია აჯანყების მზადების შესახებ. 1924 წლის 6 აგვისტოს ვ. ჯუღელი დააპატიმრეს. მისი დაკითხვის შედეგად ჩეკამ დაახლოებით დაადგინა აჯანყების თარიღი. ახალ ვითარებაში შეიცვალა აჯანყების გეგმა. ახალი გეგმის მიხედვით, აჯანყება დაინიშნა 17 აგვისტოს, ხოლო შემდეგ - 28 აგვისტოსთვის.

აჯანყებულთა გეგმის მიხედვით სახალხო გამოსვლა მოხდებოდა მთლიანად საქართველოში ერთსა და იმავე დღესა და საათზე. ამასთან, უეცრად, რათა დეზორგანიზაცია შეეტანათ ხელისუფლების სტრუქტურებში. დარტყმა განხორციელდებოდა თბილისზე – საქართველოს პოლიტიკურ ცენტრსა და ბათუმზე – საზღვაო ქალაქზე, რომლის მეშვეობით ადვილად ხდებოდა კავშირ-ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან [**ზალდასტანიშვილი,1989: 50**].

საქართველოს ზოგიერთ მაზრასა თუ ქალაქში მოსახლეობა დაგეგმილ დროზე ადრე გამოვიდა, რითაც დაირღვა უეცარი ერთიანი დარტყმის გეგმა. ასე მოხდა, მაგალითად, ჭიათურაში, სადაც მოსახლეობა გამოვიდა 28 აგვისტოს. მთავრობამ ისარგებლა არაორგანიზებული გამოსვლით და სამთავრობო შეია-

რაღებული ძალები დაერივნენ აჯანყებულებს. აჯანყებულთა შეტევა თბილისსა და ბათუმზე ვეღარ განხორციელდა.

აჭარაში 1924 წლის გამოსვლას სათავეში ედგნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი მიხეილ საბაშვილი, პარტიის თვალსაჩინო მუშაკები ვასო ჩიტაიშვილი, კუკური ჩიქოვანი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მგალობლიშვილი, გენერლები გ.ფურცელაძე, ბ. ცენტერაძე, ა. ყარალაშვილი, დამოუკიდებელი კომიტეტის რწმუნებული გ. ანჯაფარიძე და სხვები. მასების მობილიზაციისათვის ძირითადი მუშაობა მიმდინარეობდა ქ. ბათუმში, ჭოროხისა და ქობულეთის მაზრებში. სამხედრო საქმეს ხელმძღვანელობდა გენერალი ბ. ცენტერაძე. მთლიანად დასავლეთ საქართველოში აჯანყების დროს შეიარაღებული ძალების სარდალი იყო გენერალი ა. ყარალაშვილი. გეგმის მიხედვით, სამხედრო ცენტრს განზრახული ჰქონდა ბათუმში დისლოცირებული ქართული პოლკის ოფიცრების გადმობირება, რომელთა ნაწილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში მსახურობდნენ და თანაუგრძნობდნენ აჯანყებულებს. ამ ქართული პოლკის სამხედროების მეშვეობით აპირებდნენ არტილერიის საწყობის ხელში ჩაგდებას და მოსახლეობის შეიარაღებას. აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაზვერვამ შეძლო აჭარაში აჯანყების გეგმის გამოაშკარავება. საბრძოლველად გაამზადეს ბათუმში დისლოცირებული ჯარის ნაწილები, გააუვნეს ქართული ოფიცრები, რომლებიც ეჭვმიტანილი იყვნენ აჯანყებულთა მიმართ თანაგრძნობაში, გააძლიერეს როგორც იარაღის საწყობების, ისე მთლიანად ავტონომიური რესპუბლიკის დაცვა.

ჭიათურაში წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. აჭარაში საგანგებო

მდგომარეობა გამოცხადდა ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 29 აგვისტოს დადგენილებით. ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიქმნა ცენტრალური საგანგებო ხუთეული, ხოლო მაზრებში – სამეულები. ცენტრალურ საგანგებო ხუთეულში შედიოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე თ. ხიმშიაშვილი (ხუთეულის თავმჯდომარე), წევრები – საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. სვანიძე, ბათუმში დისლოცირებული წითელი არმიის დივიზიის მეთაურის მოადგილე ტაკუნოვი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. ქავთარაძე, „ჩეკას“ უფროსი დ. კილაძე. მაზრებში საგანგებო სამეულებს სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეები მეთაურობდნენ. ოლქიდან მათ მიმართ საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ: ქობულეთის მაზრაში სულეიმან ბარამიძე, აჭარისწყლის, ქედისა და ხულოს მაზრებში – ოსმან მოწყობილი. აჭარისწყლის მაზრაში მიავლინეს სულუხია, ქედის – თავდიშვილი, ხოლო ხულოს მაზრაში –კომახიძე.

საგანგებო ხუთეულმა 1924 წლის 29 აგვისტოს გამოსცა ბრძანება, რომლის შესრულება სავალდებულო იყო ავტონომიური რესპუბლიკის ყველა დაწესებულებისა და მოქალაქისათვის. ამ ბრძანებით სასტიკად იკრძალებოდა ქ. ბათუმში გამოსვლა საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე. სამხედრო პირების მოძრაობა აღნიშნულ საათებში შეიძლებოდა მხოლოდ სპეციალური საშვით, რომელსაც გასცემდა მხოლოდ ქალაქის კომენდანტი. ამ წესების დარღვევისათვის დაწესებული იყო ადმინისტრაციული სასჯელი: სამი თვით თავისუფლების აღკვეთა, ანდა 5000 მანეთი ჯარიმა. ბათუმის გარნიზონის მეთაურს და ავტონომიური რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს უფ-

როსს დაევალათ აღნიშნული ბრძანების მკაცრად შესრულება [**ასმა, ფ. 5, ს. 67, ფურც. 144**].

ამასთან ერთად, გამოქვეყნდა ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიმართვა მოსახლეობისადმი. მასში აჯანყების მოთავენი, ხელმძღვანელები და აქტივისტები წარმოჩენილი არიან როგორც ბანდიტები და კონტრრევოლუციონერები, მუშათა და გლეხთა მტრები, მიმართვა წესრიგისა და სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა მოსახლეობას. მასში ნათქვამია, რომ აჭარაში საგანგებო ხუთეულის შექმნის მიზანია ანტისაბჭოთა გამოსვლების ჩაქრობა, საბჭოთა წყობილების დაცვა. მიმართვაში ხაზგასმულია იმის შესახებ, რომ „მენშევიკი ბანდიტები მუშათა და გლეხთა რკინის ხელით ულმობლად იქნებიან განადგურებული, თუ აჭარისტანში გაბედავენ პროვოკაციულ გამოსვლას. აჭარის მუშათა და გლეხთა მთავრობა აცხადებს და ყველამ უნდა იცოდეს, რომ არავინ იქნება მუშათა და გლეხთა მტრები. მიმართვას ხელს აწერდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, საგანგებო ხუთეულის ხელმძღვანელი თახსიმ ხიმშიაშვილი და საგანგებო ხუთეულის მდივანი გარაყანიძე [**ასმა, ფ. 5, ს. 67, ფურც. 126-127, 144**].

1929 წლის 29 აგვისტოს ქ. ბათუმი მთლიანად პარალიზებული იყო, გაჩერდა საწარმოები, არ მუშაობდნენ დაწესებულებები. ქალაქის მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: 1924 წლის 29 აგვისტოს ბათუმში მუშაობა გაჩერდა. დილით გავრცელდა პროვოკაციული ხმები „დიდი აჯანყების შესახებ“, რომელმაც თითქოს მთელი საქართველო მოიცვა. ბათუმელების ნაწილი ზღვისპირას შეიკრიბნენ, მოელოდნენ საზღვარგარეთის გემების გამოჩენას,

ჰორიზონტს უყურებდნენ ... 30 აგვისტოს მუშაობა აღსდგა. ახლა ქალაქში სრული სიჩუმეა. მუშათა რაზმები, კომკავშირლები, განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი იცავს ქალაქს [„კომუნისტი“, 1924, №201].

ბათუმის ცენტრალური საგანგებო ხუთეული პერიოდულად მართავდა სხომებს, სადაც განიხილებოდა ოპერატიული ცნობები აჭარაში არსებული მდგომარეობის შესახებ. 1924 წლის 31 აგვისტოს სხდომის დადგენილებაში აღინიშნა, რომ მაზრებში საგანგებო სამეულმა თავისი ქმედება უნდა შეათანხმოს ბათუმის წითელი არმიის დივიზიის მეთაურობასთან. დივიზიის ხელმძღვანელობას რჩევა მიეცა აჭარლებისაგან მაზრებში ჩამოაყალიბოს ცხენოსანთა რაზმი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა აუცილებლობის შემთხვევაში. ამასთან ერთად, აჭარისწყლის, ქედისა და ხულოს მაზრებში გაიგზავნებოდა პურის ფქვილი [აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 232, ფურც. 1; ს. 242, ფურც. 1].

ესეც გამიზნული იყო მოსახლეობის დამშვიდებისათვის. პურის ფქვილს მოითხოვდნენ ქობულეთისა და ფოთის მოსახლეობაც.

1924 წლის 31 აგვისტოსათვის აჭარაში დაპატიმრებული იყვნენ აჯანყების მთავარი ხელმძღვანელები: მ. საბაშვილი, ვ. ჩიტაიშვილი, კ. ჩიქოვანი, გენერლები ა. ყარალაშვილი და გ. ფურცელაძე. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები ქ. ბათუმსა და ქობულეთში. საგანგებო ხუთეულის სხდომის დადგენილებით სათანადო ორგანოებს სანქცია მიეცათ მათ დახვრეტაზე. ასეთივე უფლება ეძლეოდათ მაზრების საგანგებო სამეულებს აჯანყების მონაწილეთა დასჯაზე. დადგენილება ითვალისწინებდა გურიასა და სამეგრელოში ბათუმიდან ჯარის ნაწილების გადასროლას, ადგილობრივი კომუნისტებისა და კომკავშირლე-

ბის მობილიზაციასა და გაგზავნას, რათა ჩაეხშოთ აჯანყება [**აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 232, ფურც. 1; ს. 242, ფურც. 1-3**].

მკაცრი კონტროლი დაწესდა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის აჭარის მონაკვეთზე. ჩაიკეტა აგრეთვე აჭარა-გურიის ადმინისტრაციული საზღვარი, რათა აჯანყებულებს საზღვარგარეთ გასვლის საშუალება არ ჰქონოდათ. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ განხორციელდა ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზაცია. ოფიციალური ცნობით, მობილიზებული იყო 1200 აჭარელი, რომელთაც იარაღი გადაეცათ და თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრისა და აჭარა-გურიის ადმინისტრაციული საზღვრის დაცვა დაეკისრათ. განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა აჭარა-გურიის მოსაზღვრე ადგილები – ზოტი და ბახმარო, სადაც შესაძლებელი იქნებოდა აჯანყებულებს თავი შეეფარებინათ.

მართალია, აჭარლები საბჭოთა ხელისუფლების მიმართ სიძულვილით იყვნენ გამსჭვალული, მაგრამ მათ მობილიზაციაში დიდი როლი შეასრულა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ თახსიმ ხიმშიაშვილმა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში მაღალი ნდობით სარგებლობდა. მიუხედავად ამისა 1924 წლის აჯანყებაში აჭარლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

სამთავრობო შეიარაღებულ ძალებს გაუჭირდათ აჯანყების ჩაქრობა გურიაში, სამეგრელოსა და სამტრედიაში. 1924 წლის 28 და 29 აგვისტოს აჭარის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელობას დაევალათ ამ რეგიონებში დისლოცირებული შეიარაღებული ძალებისათვის სურსათის მიწოდება. ბათუმში მოხდა 1200 კაცის მობილიზაცია, რომელთა რიგებში ირიცხებოდნენ

კომუნისტები, კომკავშირლები, უპარტიო მუშები, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და საგანგებო კომისიის მუშაკები. 1924 წლის 28 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე გურიაში, სამეგრელოში, სამტრედიაში, სოხუმში და ხულოში გაიგზავნა შეიარაღებული რაზმები. ისინი შეიარაღებული იყვნენ ტყვიამფრქვევებით, თოფებით და სხვა საბრძოლო იარაღით. ოზურგეთში 400 კაციანი შეიარაღებული რაზმი 1924 წლის 28 აგვისტოს საღამოს და 3 სექტემბერს გაიგზავნა. 4 სექტემბერს 100 კაცი დაემატა. ამ შეიარაღებულ რაზმს მეთაურობდნენ აჭარის პარტიული და სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელი მუშაკები და სამხედროები: ქავთარაძე, კილაძე, ახალაძე, რამიშვილი, ცხომელიძე, კომარევსკი. მათ დაიკავეს ნატანები, ოზურგეთი, სუფსა და სხვა.

სამთავრობო ძალების დასახმარებლად 1924 წლის 29 აგვისტოს – 5 სექტემბერს ბათუმიდან გემით გაიგზავნა შეიარაღებული რაზმები ფოთში (50 კაცი), სოხუმში (30), ხულოში (110). აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ხულოს გამოკლებით, ყველა რაზმი უკან დააბრუნეს. გაძლიერებული იყო ბათუმის დაცვაც. ქ. ბათუმსა და აჭარის მაზრებში კომუნისტურმა პარტოკრატიამ მიტინგები მოაწყო. ბათუმის მიტინგი, რომელიც 1924 წლის 29 აგვისტოს გაიმართა, სიტყვით გამოვიდა ფ. მახარაძე და სხვებიც. საქმე ისე იყო წარმოჩენილი, თითქოს მოაჯანყენი იყვნენ ბანდიტები, ანტისაბჭოთა ელემენტები **[აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 232, ფურც. 1].**

ფ. მახარაძის მიხედვით ბათუმი მთავარ სამიზნედ შემთხვევით არ იყო არჩეული. აქედან იგზავნებოდა ინფორმაცია ევროპის ქვეყნებში ქართულ ემიგრაციასთან. ფ. მახარაძე მოითხოვდა ბათუმში აჯანყების ხელმძღვანელების და აქტივისტების

მკაცრად დასჯას. ასეთი სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება აჯანყების მონაწილეთა და ხელმძღვანელების მიმართ არა თუ უსამართლობა, არამედ ამასთან დანაშაული იყო. სინამდვილეში 1924 წლის აჯანყების ორგანიზატორები და მონაწილენი იყვნენ სამშობლოს პატრიოტები, რომლებიც სამართლიანობის დამკვიდრებას, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძოდნენ.

საქართველოში 1924 წლის აჯანყება დიდი მსხვერპლით დამთავრდა. აჯანყების დროს დაიღუპა 2000 კაცი. დახვრეტები აჯანყების შედეგაც გაგრძელდა. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმმა 1924 წლის 8 სექტემბერს მოისმინა ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ა. ქავთარაძის მოხსენება აჯანყების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ მენშევიკების საზღვარგარეთის ცენტრთან კავშირ-ურთიერთობა ბათუმიდან ხორციელდებოდა. ისიც ითქვა, რომ საგანგებო კომისიამ დროულად ამხილა აჯანყებულთა ხელმძღვანელები.

1924 წლის აჯანყებაში აჭარლების მცირე ნაწილი მონაწილეობდა. ძირითადად ქობულეთისა და ჭოროხის გააზრებიდან. მათგან აღსანიშნავია დაუდ სულეიმანის ძე ხალვაში (ორთაბათუმი) და ოსმან იუსუფის ძე თედორაძე (ჯოჭო). როგორც უკვე აღინიშნა, თ. ხიმშიაშვილის გავლენით იყო გამოწვეული, რომ აჭარლები აჯანყების დროს მონაწილეობდნენ საქართველო-თურქეთის სახელმწიფო და გურია-აჭარის ადმინისტრაციული საზღვრის დაცვაში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ აჭარლები კმაყოფილნი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით. ადგილობრივ მოსახლეობას ძირითადად აწუხებდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რელიგიისა და ადათ-წესების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება.

საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ ასევე მკაცრად გაუსწორდა 1924 წლის აჯანყების მონაწილეებსა და აქტივისტებს. აჭარასა და გურიაში დახვრეტილია 40-ზე მეტი კაცი. მაგრამ ხელისუფლების 1924 წლის ოფიციალურ ცნობაში დასახელებულია მხოლოდ 23 ხელმძღვანელი და აქტივისტი: გენერალი გიორგი ფურცელაძე, პოლკოვნიკი დავით დადიანი, კაპიტანი ვლადიმერ ახვლედიანი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლიტიკური პარტიების ბათუმის ორგანიზაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები მიხეილ საბაშვილი, ვასილ ჩიტაიშვილი, აკაკი რამიშვილი, ვიქტორ ხომერიკი, ანთიმოზ ჩიქოვანი, დიომიდე გეგიძე, აპოლონ ფანცულაია, გიგა ჩიქოვანი, აღათი გორდელაძე, ანტონ იმნაძე, ალექსანდრე ზოიძე, კანელიკე მალაზონია, ალფეს ხომერიკი, ისიდორე ზოიძე, მკურნალაძე, ვლადიმერ ზაპერტოვი, ნიკოლოზ მუჯირი, ლავრენტი ქადეიშვილი, სოფრომ ქინქლაძე, მიხეილ თაყაიშვილი. დაუდ სულეიმანისძე ხალვაში და ოსმან იუსუფისძე თედორაძე, როგორც 1924 წლის აჯანყების აქტიური მონაწილენი, ხელისუფლებას ვერ შეძლო მათი დაპატიმრება, რადგან თურქეთში გადავიდნენ და დასჯას გადაურჩენ [**აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 212, ფურც. 33-35**].

1924 წლის 12 დეკემბერს შედგა აჭარის ცენტრალური საგანგებო ხუთეულის ბოლო სხდომა, რომელზედაც შეაჯამეს ჩატარებული მუშაობა. სხდომაზე მოისმინეს თ. ხიმშიაშვილის მოხსენება, რომელშიც გაშუქებულია სახალხო მღელვარების ლიკვიდაციისათვის განხორციელებული ღონისძიებები. ამ საკითხზე მიღებული დადგენილებით გაუქმდა ცენტრალური საგანგებო ხუთეული და მაზრების საგანგებო სამეულები, რამდენადაც მათი მუშაობა ამოწურულად ჩაითვალა [**აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 242, ფურც. 4**].

დღევანდელი გადასახედიდან 1924 წლის აჯანყების დაწყებისათვის საქართველოში რეალური საფუძველი არსებობდა. საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაცია-ანექსიამ, ეროვნული ხელისუფლების ძალდატანებით დამხობამ, პოლიტიკური პარტიების ლიკვიდაციამ, რელიგიის წინააღმდეგ შეურიგებელმა ბრძოლამ და სხვა დანაშაულებრივმა ქმედებებმა შეამზადეს პირობები სახალხოგამათავისუფლებელი მოძრაობისათვის. ცხადია, მცდარია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის მ. კახიანის შეხედულება, რომ კომუნისტური პარტიის მხრიდან აჯანყების საფუძველი არ არსებობდაო. იგი აჯანყებას განიხილავდა, როგორც მეორე ინტერნაციონალის ბელადების დაკვეთას და საზღვარგარეთ გადახვეწილი საქართველოს პოლიტიკური პარტიების მიერ მომზადებულ გამოსვლას [**აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 245, ფურც. 2-7**]. ცხადია, აჯანყების მომზადებასა და განვითარებაში საზღვარგარეთის ცენტრი თავის როლს ასრულებდა, მაგრამ მისი გამოწვევის ძირითადი პირობები ადგილზე, საქართველოში შეიქმნა.

მართალია, 1924 წლის აჯანყება დამარცხდა დიდი მსხვერპლით, მაგრამ მან თავისი კვალი დატოვა. პირველ რიგში კიდევ მეტად გაიზარდა სიძულვილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, გაძლიერდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მისწრაფება. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროს აჯანყებას გამარჯვების შანსი არ არსებობდა, რამდენადაც საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო და ბოლშევიკური რეჟიმი ყველაფერზე წამსვლელი იყო კომუნისტური იმპერიის შენარჩუნებისათვის. ეს ასეც მოხდა. გამოცდილება ადასტურებს, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და განმტკიცება, ქვეყნის ტერიტორიალური გამთლიანება მხოლოდ მშვიდობია-

ნი ბრძოლის გზითაა შესაძლებელი. ომი, აჯანყება, ძალადობის სხვა ფორმები გამოყენებული უნდა იქნეს უკიდურეს, გამოუვალ შემთხვევაში. მით უმეტეს, ისეთი პატარა ქვეყანა, როგორც საქართველოა, მშვიდობიანი გზით და სწორი პოლკით შეძლებს ტერიტორიულ გამთლიანებას და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ასმა, ფ. 5, ს. 67 – აჭარის არ სახელმწიფო მუზეუმის არქივი, ფონდი 5, საქმე №67.

აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 4, ს. 10, ს. 115, ს. 119, ს. 212, ს. 214, ს. 232, ს. 242, ს. 245 – აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ-1, ანაწერი 1, საქმე №№ 4, 10, 115, 119, 212, 214, 232, 242, 245.

აცსა, ფ. რ-1, ან. 1, ს. 6 – აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-1, ანაწერი 1, საქმე №6.

აცსა, ფ. რ-11, ან. 1, ს. 7– აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-11, ანაწერი 1, საქმე №7.

აცსა, ფ. რ-12, ან. 1, ს. 1 – აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-12, ანაწერი 1, საქმე №1.

აცსა, ფ. რ-75, ან. 1, ს. 4 – აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-75, ანაწერი 1, საქმე №4.

არქივის კვალდაკვალ.., 2017: – არქივის კვალდაკვალ – ბათუმი (სპეციალური საარქივო გამოცემა), თბილისი, 2017.

გოგოლიშვილი, 2001: – გოგოლიშვილი ო., 1924 წლის რამდენიმე ეპიზოდი აჭარაში, – გაზ. „აღორძინება“,2001 წლის 9 თებერვალი.

ზალდასტანიშვილი,1989: – ზალდასტანიშვილი ს., საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბილისი, 1989.

„კომუნისტი“, 1924, №201 – გაზ. „კომუნისტი“, 1924 წლის №201.

Otar Turmanidze

Anti-Soviet Movement in Ajara in the First Half of the 20th Century

Summary

The article reviews the anti-Soviet movement in Ajara in the first half of the 20th century. There is studied causes and the forms of the movement. There is new point of view study is based on new overwiew reflected in the 1924 revolt of the processes and the government's actions to overthrow the anti-Soviet movement.

უჩა ოქროპირიძე

კიდევ ერთხელ „თურქი-მესხების“ პროგლემის შესახებ

ევროსაბჭოში შესვლისას, 1999 წელს, საქართველომ, 1944 წელს გასახლებული, ე.წ. „თურქ-მესხებად“ მოხსენებული მოსახლეობის უკან დაბრუნების ვალდებულება იკისრა. აღებული ვალდებულების თანახმად, რეპატრიაციის პროცესი 2002 წელს უნდა დაწყებულიყო და 2011 წელს დამთავრებულიყო.

საქართველოში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, 2005 წელს ევრო საბჭომ ახალი რეზოლუცია მიიღო, რომლითაც რეპატრიაცია 2013 წლამდე გადაიდო. 2007 წელს კი მიიღეს საქართველოს პარლამენტის კანონი „რეპატრიაციის შესახებ“, რომლის შესრულება, მასში ჩადებული ხელოვნური პრობლემების გამო, თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც, ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ამ ე.წ. თურქი-მესხების საკითხი ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. ამასთან, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, თურქი-მესხების საქართველოში დაბრუნების საკითხს უნდობლად ეკიდება, რადგან მასში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის კიდევ ერთ საფრთხეს ხედავს. განსაკუთრებით რადიკალურად არის განწყობილი მესხეთის თანამედროვე მკვიდრი მოსახლეობა.

აღნიშნული საკითხით ადრევე დავინტერესდი და ჯერ კიდევ 1991 წლის აგვისტოში ადიგენის რაიონში მოვაწყვე ექსპედიცია მისი შესწავლის მიზნით. მაგრამ იმდროინდელ საბჭოთა კავშირში საკავშირო პრობლემების გააქტიურების გამო, იძულე-

ბული გავხდით საქმე მოულოდნელად შეგვეწყვიტა, თუმცა საერთო სურათის მომცემი მასალა, თითქმის ერთი-ერთზე ემთხვევა ერთმანეთს და მათგან გამომდინარე ერთიანი საბოლოო დასკვნა ასეთია: – **„თურქი მესხების“ საქართველოში დაბრუნება შეუძლებელია და თუ ისინი დაბრუნდებიან, ჩვენ უნდა დავტოვოთ ჩვენი სამშობლო!“** – ამბობენ მესხეთის მკვიდრნი.

ადიგენის რაიონის სოფელ უდეში მცხოვრები პეტრე ქიქოშვილი აღნიშნული კონტინგენტის შეფასებისას მეტად კრიტიკული და კატეგორიულია, აცხადებს რა, რომ **„აჭარამ სარწმუნოება შეიცვალა და ენა შეინარჩუნა, რითაც აქ ქართული თავისთავადობა შენარჩუნებული იქნა. აქაურებმა კი დაკარგეს და დაივიწყეს როგორც ენა, ასევე უარყვეს სარწმუნოებაც და სრულიად გათათრდნენ. აჭარაში თუმცა 300 წელი იყვნენ თურქები, მაგრამ მათ ენა, – ქართული შეინარჩუნეს და მათი გადაგვარება თურქებმა ვერ შეძლეს. გადაგვარებულები კი – ენას რომ დაკარგავს, გვარს რომ დაკარგავს და ყველაფერ ქართულს რომ დაკარგავს – ის თურქზე უარესია!“** და ამ შეფასებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა სხვა რესპონდენტთა შეფასებანი, პირიქით, ზოგიერთები ამაზე უფრო მძაფრიცაა. ამასთან, ძალზე გვენიშნა ამავე სოფლელ არტემ გელაძის ნათქვამი, რომ **„ადიგენის რაიონში რამდენი მეჩეთიც არის, ყველა მეჩეთი ეკლესიის საძირკველზეა აშენებული...** თუ მათ ქართველობა უნდოდათ, ეს მეჩეთები 1937-1939 წლებშია ნაშენები... აქ ვერ იქართველეს, აქ, საქართველოში და ახლა შუა აზიაში ნამყოფები იქართველებენ?!.. ააშენა ღმერთმა როინ მეტრეველი, მხარი დაგვიჭირა... ნაირა გელაშვილი, მამულია, ბაქრაძე შუა აზიაში რომ დარბიან, ერთი აქ ჩამოსულიყვნენ და ჩვენთვის ეკითხათ, რას ვფიქრობთ...

იგივე რესპონდენტი კატეგორიულად აცხადებს: **„ესენი არიან ნამდვილი თათრები, არავითარი ქართველები; ადამიანი**

ეროვნებას რომ შეიცვლის, სახელს რომ შეიცვლის, ენას დაკარგავს თავის სამშობლოში, ის ყველაზე საშიშია!“... ამ აზრს კი სხვებიც იზიარებენ. ადგილობრივთა ვარაუდით, ჩამოსახლების შემთხვევაში, თურქი-მესხები მოინდომებენ მხარის თურქეთისათვის გადაცემას, რის გამოც მათ უკან დაბრუნებას დანაშაულად და შეუძლებლად თვლიან **(ექსპედიციის მასალები, 1991).**

პრობლემა მართლაც საკმაოდ რთული და თითქმის მოუგვარებელი ჩანს, მაგრამ რა დააშავეს თუნდაც იმ მცირერიცხოვანმა ადამიანებმა, რომლებსაც ქართული სახელმწიფოს წინაშე არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ და, უსამართლოდ დასჯილნი, სამშობლოში დასაბრუნებლად იბრძვიან. ან კიდევ, დამნაშავედ შეიძლება ჩაითვალონ ადამიანები, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში უწამლავდნენ ეროვნულ თვითშეგნებას და მათ მანქურთებად ჩამოყალიბებას ცდილობდნენ?! ამას კარგად დაფიქრება, ხოლო შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან ღირსეული გამოსავლის პოვნას უდიდესი შრომა, არანაკლები თავდადება და მოთმინებით მოღვაწეობა სჭირდება, (რაც მომავლის საქმეა...) და არა მოუმზადებელი, ნაჩქარევი, წინასწარ შეუსრულებლობისათვის განწირული გადაწყვეტილებების მიღება.

რაც შეეხება მაშინდელ ქართულ პრესას, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ მასში გამოხატული საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პოზიცია, რომელიც მორიგი, კომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი, დემაგოგიითა და ილუზორული სიყალბით ცდილობს ფონს გასვლას და თან ცდას არ აკლებს მეცნიერული მიუდგომლობისა და „სიღრმისეული ანალიზის“ ფონი შექმნას, შეცდომას უწოდებს რა იმას, რაც საქართველოში ბოლშევიკური რუსეთის (და საერთოდ, რუსეთის) მიზანმიმართული პოლიტიკა იყო საქართველოს

დასანაწევრებლად და დასასუსტებლად - და რადაც აღნიშნული საზოგადოება წარმოგვიდგენს სამცხე-ჯავახეთის 220 სოფლის ერთი ხელის მოსმით დაცარიელებას მოსახლეობისაგან; უნდა ითქვას, რომ ეს იყო ქართველებისაგან ამ მოსახლეობის ხელოვნურად გაუცხოების მორიგი ეტაპი და რუსულმა სახელმწიფო მანქანამ იგი ლოგიკური შედეგით დაასრულა, რათა საჭირო მომენტისთვის ახალი, შეურიგებელი მტრები შეემზადებინა ქართული სახელმწიფოებრიობის მომავლისათვის, მისთვის ზურგში ხანჯლის ჩასაცემად. ამიტომაც ამ საზოგადოების მოწოდებაც, ახლა მაინც „ვიყოთ სამართლიანი და შემლებისდაგვარად გამოვასწოროთ ის შეცდომა, რომელმაც დანაშაულამდე მიგვიყვანა“ **(მესხთა ტრაგედია, 1989),** ყალბია, რადგან **ამ დანაშაულში ქართველ ხალხს წილი არ უდევს და მასზე და მის ყველა შედეგებზე პასუხისმგებელია თავისი მიზნების განხორციელებაში დაუნდობელი და ვერაგი რუსული იმპერიული მანქანა.** ამიტომაც მიგვაჩნია, რომ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პოზიცია სავსებით სამართლიანად გააკრიტიკა ცნობილმა ქართველმა მწერალმა და პუბლიცისტმა ომარ გოჩელაშვილმა წერილში „მართლაც, არ ეგების თვალის დახუჭვა“ **(გოჩელაშვილი, 1989).**

მაშინაც ასეთი ორგანიზაციებისა და საზოგადოებების საქმე „პარტიული ხაზის“ დაცვასა და მისი პოლიტიკის გამართლების იქით არ მიდიოდა და ვერც წავიდოდა, მათთვის თავიდანვე განსაზღვრული როლის გამო. ამ როლიდან გამომდინარე, მათი უნიათობის გამართლების ცდას ვერაფერს მატებს საქართველოს დემოგრაფიული საზ-ბის თავმჯდომარის მოადგილის ი. ბეგიაშვილის ოპერატიულად მომზადებული საპასუხო წერილიც **(ბეგიაშვილი, 1989),** რომელშიც იგი „სამართლიანობის აღდგენის“ მიზნით „კომპეტენტურ ქართველ მეცნიერებსა და

სპეციალისტებზე“ და „თვითმხილველ“ პარტიის ახალციხის რაიკომის პირველ მდივანზე მიუთითებს, თანაც მრავალმნიშვნელოვნად ირონიზირებს კიდეც. მაგრამ იგი თუ მართლაც სამართლიანად განსჯიდა ყველაფერს, მიხვდებოდა, რომ სწორედ ეს „კომპეტენტური მეცნიერები და სპეციალისტები“, „პარტიულ ნომენკლატურასთან“ ერთად, იყვნენ პირველხარისხოვანი დემაგოგ-გამყალბებლები და სისტემის მრუდე სარკის პირველი ავტორ-შემოქმედნი. სწორედ ისინი იყვნენ, რომ მხოლოდ პარტიის ოფიციალური პოზიციის „მეცნიერულ დასაბუთებასა“ და მისი გასამართლებელი დებულებების შექმნას ემსახურებოდნენ და არა სიმართლეს, ისტორიული პროცესების სამართლიან, ისტორიულ ჭრილში წარმოჩენას.

ხოლო, რაც შეეხება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით „გადასახლებულები განთავისუფლდნენ კომენდატურის მეთვალყურეობიდან და მიეცათ საბჭოთა მოქალაქის ყველა უფლება“... და „ისინი რეაბილიტირებულნი არიან“, რასაც დიდ მონაპოვრად აცხადებს იგივე ავტორი **(იქვე)**, – ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო ამ „საბჭოთა მოქალაქის“ ყველაზე დიდი უბედურება, რომ როცა საჭიროდ დაინახავდა, მას ყოველგვარი სასამართლო პროცედურის გარეშე რეპრესირებულს გახდიდა საბჭოთა სახელმწიფო უსამართლო მანქანა, შემდეგ კი იმავე წესით, რეაბილიტაციას გამოუცხადებდა (ასე, რომ აქ ვერავინ გაიგებდა, სად იყო სიმართლე და სამართლიანობა). და თუ ავტორს მართლა სჯერა, რომ ისინი აღნიშნული ბრძანებულებით რეაბილიტირებულნი არიან და მიეცათ საბჭოთა მოქალაქის ყველა უფლება, მაშინ რატომ არ დააბრუნეს ისინი თავიანთ ადრინდელ საცხოვრისზე და გარკვეულ დრომდე რატომ დატოვეს ისევ გადასახლებულის მდგომარეობაში?! მაშ, რას ნიშნავს რეაბილიტაცია და საბჭოთა

მოქალაქის ყველა უფლების აღდგენა, ამ შემთხვევაში, თუ არა ი. ბეგიაშვილის მთელი მსჯელობის სიყალბის დამტკიცებას?!..

ჩვენი აქ მოყვანილი დებულებების უშუალო დადასტურებაა თამარ საბინაშვილის სტატია, – „სხვისი ჭირი“ **(საბინაშვილი, 1989),** რომელიც თავისი მამხილებელი ტონის გამო, ქართული კომუნისტური ნომენკლატურის პარტიულმა „ბოსებმა“, როგორც ჩანს, ძალიან სახიფათოდ მიიჩნიეს და გამოსაქვეყნებლად ნაკლებად პოპულარულ გაზეთში „სოფლის ცხოვრება“ გადაამისამართეს. ეს სტატია არის მაშინდელ საბჭოურ სივრცეში მეტად გავრცელებული ურთიერთ გაბიაბრუების მხილების თვალსაჩინო ნიმუში, როდესაც ერთმა მხარემ თითქოსდა ბევრი რამ არ იცის და ცდილობს ამ „უვიცობის“ თავის სასარგებლოდ ექსპლოატაციას, საკუთარი მიზნის მისაღწევად გამოყენებას. მეორე მხარე ცდილობს მას ყველაფერი დაწვრილებით და გასაგებად აუხსნას, ბოლოს კი ირკვევა, რომ ამ თითქოსდა „არ მცოდნეს“, სინამდვილეში არაფრის ცოდნა არ სურს და საკავშირო ელიტის მოსკოველ წარმომადგენელთა მორიგი შეკვეთილი ვოიაჟი თბილისში, უდღეური ტყუილებისა და დემაგოგიის ნაზავით, სწორედ ხალხის „დასაბოლებლად“, გარკვეული კონტიგენტისათვის კი ინსტრუქციის მისაცემად მოწყობილი ფარსია, რომლის საბოლოო მიზანსაც საქართველოსათვის ე.წ. თურქი-მესხების „შემოტენვა“ წარმოადგენდა.

რაც შეეხება ი. საბინაშვილის ემოციურ შეძახილს, – „არ მინდა დავიჯერო, რომ ასეთია აზრი ხალხისა, რომლებიც ძალიან პროგრესულად აზროვნებს...და რომელთაც ...სუნთქვაშეკრული ელოდა ყრილობა და ტელემაყურებელიც“, მას ახლა მაინც უნდა ვუთხრათ, რომ მაშინ შეიძლება მართლაც, ადამიანურად, რუსეთშიც შეაწუხა ვიღაც თბილისში მომხდარმა ამბებმა და ვერც საბჭოური „განსაწმენდელის“ გავლა მოასწრეს

მათ, ამიტომაც, ემოციებს აყვნენ; **ახლა კი ისინი სპეციალურად დამუშავებულნი, სპეციალური დავალებით ჩამოვიდნენ თბილისში საგანგებო მისიის შესასრულებლად და თავიანთი პატრონების სასარგებლოდ ცივი გონებით და ანგარიშით უნდა ემოქმედათ.** ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ მათ „პროგრესული აზროვნება“ შეიძლება იქამდე გაჰყვეთ, სანამ ამას მათი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს; შემდეგ კი, როგორც ტოტალიტარული სისტემის „ხოლოპებს“, თავიანთი ბატონების სასარგებლოდ, თავის გავირეშმაკება და ყოველგვარი აბსურდისა და სისულელის მტკიცება ევალებოდათ, - ხოლო თუ ვინმემ გაბედავდა და ამხელდა, ისინი ყველაფერს ურცხვად საკითხის საფუძვლიანად არცოდნას დააბრალებდნენ; ეს იმ შემთხვევაში, სინდისის ნატამალი მათ მმართველ პულტთან, თუ კიდევ ვინმეს შერჩენოდა. თუ არა და...

ამირან ავალიანი თავის წერილში „ვისია მესხეთი?“ **(ავალიანი, 1989)** გაკვირვებას გამოთქვამს, რომ საქართველოში ჩამოსახლებული (ზუგდიდის რ-ნი სოფ. ნარაზენი) 15 მესხის კოლექტიურ წერილში გამოხატული მათი ანტიქართული პოზიციის სრული მხილების შემდეგ კამათი მაინც გაგრძელდაო... – აბა, რა ეგონა?! ასე ადვილად დანებდებოდა ვინმე და ხელს აიღებდა დავალების შესრულებაზე?! აქ ხომ თავისი თავისუფალი ნებითა და შეგნებით არავინ მოქმედებდა; ეს იყო ერთი პულტიდან მართული თოჯინების თეატრი. ამასთან, ორივე მხარის პოზიციაში ნათლად ჩანს, რომ კომუნისტური დემაგოგიით, ისევ არაფრის მთქმელი სილოგიზმებით ცდილობენ ფონს გასვლას და სრულიადაც ვერ შეუგნიათ მომენტის სრული სერიოზულობა, როგორც თავისი, ასევე თავიანთი თანამოძმეების მდგომარეობისაც... და კამათი გრძელდება... მაგრამ ეს უკვე ნაძალადევი, შეკვეთილი კამათია, რათა შემკვეთს

საქართველოში მორიგი, უკვე საერთაშორისო მასშტაბის ახალი პროვოკაციების ასაგორებლად საჭირო ბაზა შეუქმნან... აქედან გამომდინარე კი სრულებით ბუნებრივია ავტორის კითხვა, რომელშიც პასუხიც იგულისხმება: „დიახაც, გულმოწყალება... სანაქებო თვისებაა, მაგრამ გვაქვს რისკის უფლება, როცა საქმე სამშობლოს ბედს ეხება? ჩვენს მიმართ თუ იჩენს ვინმე ასეთ გულმოწყალებას?" და აქ უნდა დავეთანხმოთ აზრს, რომ **„სამი საუკუნის განმავლობაში უცვლელი დარჩა ერთი – „ქართველთა კოლექტიური უპასუხისმგებლობა" (ტუხაშვილი,1989).** მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, თუ როგორი რუდუნებითა და მონდომებით ზრდიდნენ ამ უპასუხისმგებლობას ქართველ ხალხში ასწლეულების მანძილზე მასზე მოძალადე აშკარა თუ ფარული მტრები! და სწორედ ამ ქართული კოლექტიური უპასუხისმგებლობის უშუალო შედეგია, რომ ყველა მხრიდან გვისვამენ კითხვებს: „ერთბაშად „აგიჯანყდათ" შიდა ქართლი, ჯავახეთი, ყვარლის ლეკი მოსახლეობა, „თურქი-მესხები", ბერძენ-ურუმები, ოსები, აფხაზები, სამხედრო წრეები... კონფლიქტი გაქვთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მეზობელ რესპუბლიკებთან, მოითხოვთ ყველა მხარეზე დაკარგულ ტერიტორიებს, გსურთ დამოუკიდებლობა. ნუთუ ყველაფერში მართლები ხართ? – ამბობს ავტორი და იქვე ამ კითხვას სრულიად სამართლიანად პასუხობს: **„ჰაი-ჰაი, მართლები ვართ, მხოლოდ ეგაა, ვეღარაფრით დაგვისაბუთებია ჩვენი სიმართლე საკავშირო და მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. ასე თანდათან ჩამოყალიბდა ანტიქართული სინდრომი... გასაქანი ეძლევა ყოველგვარ ანტიქართულ დემაგოგიას. შეიძლება ითქვას, რომ იგი აქტიურად მოქმედი ფაქტორი გახდა,** – დასძენს ავტორი და იქვე განაგრძობს: – მართლაც შეიქმნა მდგომარეობა, როდესაც ჩვენი „კაკალიც აღარ ჩხრიალებს", ხოლო სხვებისა ბამბაც საში-

ნელ ხმაურს გამოსცემს“ **(იქვე).** აქ ბატონი ლოვარდ ტუხაშვილი დღეისათვის, ალბათ, აუცილებლად დაამატებდა, **„რადგანაც ერთადერთი მართალი ამ სისტემაში, ჩვენი „უფროსი ძმა“, რუსი უნდა დარჩენილიყო“...** ქართველ მეცნიერებს კი არ ჰქონდათ უფლება ადექვატური პასუხი გაეცათ ანტიქართულ შემოტე-ვებსა და ქმედებებზე; პირიქით, ვალდებული იყვნენ, ხშირ შემთხვევაში ეს კომუნისტური პარტიის უმაღლესი ეშელონები-დან თუ საკავშირო მთავრობიდან წამოსული ანტიქართული ინიციატივები მოეწონებინათ და მისი „სიკეთე“ მეცნიერულად დაესაბუთებინათ, რაც კეთდებოდა კიდეც. ამის ორ უტყუარ მაგალითს მოვიყვანთ, რომელთაც ჩვენს თვალწინ გაიარეს „აპრობაცია“. პირველია 1978 წლის აპრილის ამბები ქართული ენის სახელმწიფო სტატუსთან დაკავშირებით, როდესაც თბი-ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელ-თა დიდი ნაწილი, ცენტრალური საკავშირო მთავრობისა და კომპარტიის ხაზის სამართლიანობას გვიმტკიცებდა და ჩვენ, სტუდენტებს „ისტორიული გარდაუვალობის წინააღმდეგ“ წასვლას გვაბრალებდნენ. და მეორეც, სულ ახლახან – როდესაც სომეხი ისტორიკოსების სრულიად უკანონო, საქართველოს მიმართ უსამართლო პრეტენზიებს ჩვენმა კოლეგამ, საქართვე-ლოს საისტორიო გეოგრაფიის ცნობილმა მკვლევარმა, ისტორი-ის დოქტორმა სიმონ გოგიტიძემ თავის რეცენზიაში სათანადო პასუხი გასცა, **თბილისში ვერ ვიპოვეთ ერთი ისტორიის მეც-ნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელიც, მათი აზრითაც, ამ ღირსეულ პასუხს, უცხოეთში გამომავალ სამეცნიერო გამოცემაში ვიზას მისცემდა. ბოლოს კი ასეთი უცნაური პასუხით მოგვიშორეს თავიდან – „თქვენს გამო სომხებს ხომ არ მოვიმდუ-რებთო...”** სომხები რომ სამშობლოს გვედავებოდნენ და მთელი ამიერკავკასია სომხეთად გამოაცხადეს, ეს მათთვის არაფერს

ნიშნავდა... **და, სამწუხაროდ, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ „ქვათა ღაღადი“ თანამედროვე საქართველოში არ დაიწერებოდა! და თუ დაიწერებოდა, მზის სინათლეს ვერ იხილავდა...**

როცა ავტორი ზემოთ აღნიშნულ წერილში რუს „სამართლიანობისთვის მებრძოლ მეცნიერზე“ ვიაჩესლავ ივანოვზე საუბრობს, სხვა საკითხებთან ერთად მას უყენებს ბრალდებებს: „იგი უმალავს მსმენელს, რომ ე.წ. აფხაზური სკოლა, აფხაზური დაწესებულებანი ფაქტობრივად რუსულია. იგი მალავს იმასაც, რომ აფხაზური მოსახლეობის მნიშნელოვანმა ნაწილმა არ იცის თავისი მშობლიური (როგორც ქართული, ისე აფხაზური. ეს მაშინდელი რეალობა იყო! – უ.ო.) ენა; რომ საოჯახო ურთიერთობაშიც იყენებს რუსულ ენას. ივანოვისეული ლოგიკის მიხედვით ქართულის ცოდნა აფხაზთა ასიმილაციას იწვევს, რუსული ენა კი ავითარებს ეროვნულ კულტურას“... ამიტომაც, ჩვენც უნდა დავეთანხმოთ მას, რომ ვიაჩესლავ ივანოვი დემაგოგი და პროვოკატორია. მაგრამ, ჩვენი აზრით, **დემაგოგი და პროვოკატორია ყველა ის ქართველი მეცნიერიც, რომლებიც, რაღაც თითიდან გამოწოვილი მიზეზებით, თავს არიდებენ ქართული ინტერესების მეცნიერულ საფუძველზე დაცვას!**

აფასებს რა შუა აზიაში, კერძოდ ფერღანაში დატრიალებულ უბედურებას, ერთ-ერთი დაზარალებული ინტერვიუში ამბობს: „...მთელი ეს სისხლიანი პროვოკაცია მაფიოზური ძალების მიერაა ორგანიზებული და დაფინანსებული, მაგრამ ცოტამ თუ იცის ამ ხოცვა-ჟლეტის ნამდვილი მიზეზები“... მაგრამ დიდი ხანია დადგა დრო ითქვას, რომ ამ ე.წ. თურქი-მესხების საქართველოსა და ქართველთაგან გასაუცხოებლად და გარკვეულ მომენტში, მათზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დასაპირისპირებლად მიზანმიმართული მუშაობა, განსაკუთრებით გაძლიერდა საბჭოთა პერიოდში. მათი შუა აზიაში გადასახლება და გარკ-

ვეულ დრომდე იქ ანტიქართული სულისკვეთებით დამუხტვაც, ამ მიზანს ემსახურებოდა. ხოლო საქართველოში აღმავალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში ფერ-ღანაში მათი დარბევა და საქართველოში გადმორეკვის მცდე-ლობაც, ამ მოძრაობისათვის ზურგში მახვილის ჩასაცემად და ერის მთელი ენერგიის საშინაო პრობლემებზე გადართვის მიზ-ნით იყო განხორციელებული, რაც საქართველოსთვის მომაკ-ვდინებელ საშიშროებას შეიცავდა. და არა იმიტომ, რომ „თურ-ქი-მესხები" იყვნენ თითქოს ასეთები, არამედ იმიტომ, რომ საბჭოთა იმპერიულ მანქანას ამ მიმართულებით სურდა მათი გამოყენება და მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს აამოქმე-დებდა საკუთარი მიზნის მისაღწევად. მათი დღევანდელი პრობლემებიც „ბოროტების იმპერიის" აგრესიული მემკვიდრის არსებობითა და მისი არც თუ გონივრული სამომავლო მიზნე-ბითაა განპირობებული; ჩვენ კი, ამდენი ხნის განმავლობაში მათ მიერ მიზანმიმართული ღვარძლის თესვისა და ჩვენს შორის ბოროტგანზრახული დგომის გამო, ერთმანეთის ცნობა და ერთად თანაცხოვრება ვეღარ მოგვიხერხებია.

იმავე ინტერვიუს გაგრძელებაში ნათქვამია, რომ მომხდარ-ში „არცთუ მცირე ბრალი მიუძღვის ხელისუფლების ადგილობ-რივ ორგანოებს, რომლებსაც ჩვენ არაერთხელ მივანიშნეთ მოსა-ლოდნელ ტრაგედიაზე, მაგრამ ისინი ჩვენს გაფრთხილებასა და თხოვნას ზერელედ მოეკიდნენო", რაც მხოლოდ ამტკიცებს ზე-მოთ გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებას, ამ საქმეში მთელი საბჭოთა სისტემის თანამონაწილეობა-თანამშრომლობის შესახებ. აღნიშ-ნულმა ადგილობრივმა ორგანოებმა ზუსტად შეასრულეს მოს-კოვის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან მომდინარე დავალება და მითითებანი. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა მათი ერთ-ერთი „ლიდერის", საკუთარი ხალხის ბედით ურცხ-

ვად მოვაჭრე პროვოკატორ ი. სარვაროვის, პროვოკაციული განცხადებანი, რომ თითქოს საქართველოში „ჩვენი მოსმენა არ უნდათ, გაიძახიან“ სამშობლოში დაბრუნებისათვის საჭიროა „გახდე ქართველი“, უარი თქვა შენს ენაზე, რელიგიაზე და ბოლოს და ბოლოს გვარზეც... ასი წლის წინათ მესხები ქართველები იყვნენ და შემდეგ გათურქდნენო“... შემდეგ კი სვამს ასევე პროვოკაციული შინაარსით გაზავებულ კითხვას: „ნუთუ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს არ ესმით, ...რომ მას შემდეგ ადამიანებს ჩამოუყალიბდათ გარკვეული ეროვნული შეგნება და ახლა ამ შეგნების შესაცვლელად მათი იძულება შოვინიზმი არ არის?!“ **(გადმობეჭდილია გაზ. „ლიტერატურნაია როსია“-დან; ნახევარი საუკუნე..., 1989).**

ამ ინტერვიუს სათაურად „ნახევარი საუკუნე უსამშობლოდ“ ჰქვია და იგი გაზეთ „ლიტერატურნაია როსიას“ კორესპონდენტ ა. პისარევს ჩაუწერია. ჩვენ ვსვამთ კონტრშეკითხვას: **მსგავსი შეგნებისა და ფსიქოლოგიის ადამიანმა, სამშობლოზე თუ შეიძლება ისაუბროს, რადგან მას ასეთი რამ, საერთოდ, გააჩნია?!** და აქვე უნდა ვთქვათ, რომ სარვაროვის მსგავსთა ქმედებების გამოა, რაც ამ ტანჯულ ხალხს სჭირს. მისნაირთა ქმედებების გამო დასჯილი ქართული ორიენტაციის მესხთა მისდამი გამოტანილი მსჯავრიც სრულიად სამართლიანია და ეთანხმება ჩვენს აზრს, როდესაც ისინი აცხადებენ: **„სარვაროვსა და მისნაირ გამყიდველებს საკავშირო ინფორმაციის საშუალებები ფართოდ უხსნიან კარს ქართველი ერის საზიანოდ. თვითონ ჩვენც, არაქართული ორიენტაციის მესხთა ჩამოსახლების მოწინააღმდეგენი ვართ,** და თუ ასეთებმა მაინც შემოაღწიეს, უკან უნდა მიბრძანდნენ“... **(ღია წერილი..., 1989).** მაგრამ ასე გაგრძელებაც აღარ შეიძლება...

ცნობილი მეცნიერისა და მწერლის აკაკი გელოვანის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი **(გელოვანი, 1989)** ერთი-ერთზე ემთხვევა 1991 წლის აგვისტოში ადიგენის რაიონში ექსპედიციის დროს ჩვენს მიერ ამ საკითხზე მოპოვებული ვიდეო მასალის შინაარსს, რომელთაგან ზოგიერთი, მათი გამაღიზიანებელი სისასტიკისა და ვულგარულობის გამო, რესპონდენტებმა აღარ ჩაგვაწერინეს. ყოველი მხრიდან დაუნდობლობისა და სასტიკი ღალატის აჩრდილთა შემოსევა ისახებოდა რესპონდენტთა მოგონებებსა და საუბრებში: და ყველაფერი ეს თვალწინ მიცოცხლებს გრიგოლ გვარამაძის წერილში გულისტკივილით დახატულ სურათს, რომ ეს „თურქი-მესხები“, იგივე „ხუჟანი“ უფრო საშიში, ვერაგი და სასტიკი მტერი იყო ჩვენი ხალხისა, ვიდრე ოსმალეთიდან შემოჭრილი თურქი დამპყრობლები. „ხუჟანები“ უფრო ვერაგულად იბრძოდნენ ქართველთა და ყველა ქრისტიანთა წინააღმდეგ“... **(გვარამაძე, 1989).**

ასეთი სურათის აღმქმელს, გარდა იმისა, რაღა დამრჩენია ვიფიქრო – **რამ უნდა აქციოს ადამიანი ისეთ არსებად, რომ საკუთარ სამშობლოდ მიჩნეულ ქვეყანაში ასე, გეშაღებული ნადირივით დადიოდე და ყოვლის წამლეკავმა სიძულვილმა ისიც დაგავიწყოს, საერთოდ ვინა ხარ?!** მაგრამ ეს ამ ხალხის საუკუნოვანი მონობის და ორი იმპერიული სახელმწიფოს, ჩვენი ერთმანეთზე მგეშავი პოლიტიკის შედეგია, რომლის ამ შედეგების აღმოფხვრა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არანაკლებ დროსა და მოთმინებით მუშაობას მოითხოვს, ვიდრე მისმა დამნერგავებმა ამ უკიდეგანო სიძულვილის ჩათესვა-გაღვივებაზე დახარჯეს... თუმცა დღევანდლამდე, მტრის მიერ დიდ ოსტატობით ჩანერგილი სიძულვილის ნაყოფი ერთმანეთთან მიახლოების საშუალებასაც არ აძლევს ქართველთა ორად გახლეჩილ ცნობიერებას; მაგრამ თუ ამ ჩვენი საერთო ჭირის

გადალახვა გვსურს, უნდა შევძლოთ ორივე მხარისათვის მწარე და მეტად სამწუხარო სიმართლის მოსმენა, რის გარეშეც შეუძლებელია ვითარების მართებული ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა, რათა დაისახოს დღეს არსებულ რეალობის გათვალისწინებით მდგომარეობის გამოსწორების სამომავლო პერსპექტივა.

ვფიქრობთ, რადგან აფხაზეთის გარშემო შექმნილმა თანამედროვე პრობლემებმა თითქმის ყველა ჩვენთაგანის თვალწინ ჩაიარა და ჩვენს ცნობიერებაში გავლილი ჯერ კიდევ ცოცხალი ფაქტია, აფხაზეთით დავიწყებ და „თურქი-მესხების საკითხისთვისაც“ (და სხვებისთვისაც – უ.ო.) ბევრი რამ საცნაური გახდება.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, და ეს ფაქტია, აფხაზეთში ჩვენ, ქართველებს, ყველაზე მეტად გვმტრობენ „გააფხაზებული ქართველები“ (რომელთაც, ისევე, როგორც „თურქი-მესხების“ დიდ ნაწილს, „გაქართველება“ ვერ წარმოუდგენია, და თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ...), რომლებიც აფხაზეთში გარკვეული პრივილეგიებისა და თანამდებობების მისაღებად „აფხაზებად“ ჩაეწერნენ; ამიტომაც „აფსუებისთვის“ ყოველთვის უნდა ემტკიცებინათ, რომ ისინი მათზე ნაკლები „აფხაზები“ არ იყვნენ, და კიდევ – ამიტომაც მათ მიერ ჩადენილი ქმედებანი, ხშირ შემთხვევაში, მათ უკან, მშობლიურ წიაღში დაბრუნების ყოველგვარ შანსს უსპობდა, რადგან მათი ამ გზით წამყვანი ძალის მიერ ყველაფერი თავიდანვე ასე იყო ჩაფიქრებული. სწორედ ამ ძალის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად ისინი სინამდვილეში კი არ „გააფხაზდნენ“, არამედ „გარუსდნენ“ და ამ გზაზე აფსუათა ნაწილიც გაიყოლიეს.

მაგრამ ამ ანგარიშიან, მზაკვრულ თამაშში ჩაყოლამ უცებ დაკარგა თავისი ხიბლი საბჭოთა კავშირის დაშლისა და

ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის პერსპექტივის გაჩენისთანავე, რადგანაც ისინი ამ მოძრაობის დაწყებისთანავე მიხვდნენ, რომ საკუთარი ამბიციების განხორციელება, მათ შეგნებაში, საკუთარი ეროვნული მეობის „ღალატის“ გარეშეც შეიძლებოდა; მაგრამ, მათივე აზრით, მათ მიერ ჩადენილი საქმეების გამო, უკან მოსაბრუნებელი გზა მოჭრილი ჰქონდათ, თანაც მათი ანგარებით ჩადენილი ქმედებების მხილებისაც სასტიკად ეშინოდათ და ეშინიათ დღესაც. ამიტომაც, მათი პატრონის შთაგონებით, მათ მომავალი, მათივე აზრით, მხოლოდ რუსეთის მიერ კონტროლირებად აფხაზურ „ანკლავში“ ჰქონდათ და საკუთარი „პრესტიჟული არსებობის“ შესანარჩუნებლად ერთადერთი გზა, აფხაზეთში რუსული ინტერესების დაცვა და განმტკიცება იყო. მაგრამ ამ საკითხში ისინი ისე შორს არიან წასულნი, რომ საქმის ბოლომდე მისაყვანად მათი მომდევნო ნაბიჯი საბოლოო გარუსებაზე შეფარული თანხმობით დასრულდება; (რაც უკვე მომხდარი, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელი ფაქტია). მაგრამ ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოზე მეოცნებე ნამდვილი აფსუეების ეშინიათ, რადგან ამ ნაბიჯს ისინი ღალატში ჩაუთვლიან, თუმცა ეს ბრალდება ამ „დღევანდელ ღამურებს“ საბოლოოდ მაინც არ ასცდებათ. იციან რა ესეც, ამიტომაც, თავიანთ ერთადერთ ხსნას მათი „სულის მყიდველ“ რუსეთში ხედავენ. მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, მათ არ იციან, თუ რა დასჭირდება რუსეთს მომავალში, – ან საბოლოო გადაშენების პერსპექტივას ხომ არ აჯობებდა, რომ აფსუეებთან ერთად თავიანთ თანამოძმე ქართველებთან ურთიერთობის მოგვარებაზე ეზრუნათ? მითუმეტეს **ჩვენ კარგად გვესმის მათი როგორც ადრინდელი, ისე დღევანდელი პრობლემები და არც არაფერში ვადანაშაულებთ; ზემოთ მოყვანილი მკვეთრი გამოთქმები და ცნებები კი იმისთვის მოვიხმეთ, რომ მათი ახ-**

ლანდელი მდგომარეობა მათთვისვე ნათლად დაგვენახვებინა. ამასთან, შევახსენებთ ისტორიულ წარსულს, რომ დღევანდელი ე. წ. „მესამე რომის“ წინამორბედმა ბიზანტიის იმპერიამ, როცა მას გაუჭირდა და დასჭირდა, როგორ მიუგდო მის მიერ მიტაცებული ქართული მიწები საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ს... რა ვიცით, რა ხდება?! ჩვენთან კი, ნორმალურ პირობებში, მათ არავითარი პრობლემა არც არასდროს ჰქონდათ და არც არასდროს ექნებათ. ამიტომაც შევამზადოთ ნიადაგი ურთიერთ მოსალაპარაკებლად და კონსესუსის ნიადაგზე რომ არ გადაიჭ-რას, ჩვენი ღრმა რწმენით, ისეთი პრობლემა ჩვენს შორის არ არსებობს.

რაც შეეხება ყოველივე ამასთან „თურქი მესხების“ საკითხის კავშირს, ისინი ამ მიმართულებით კიდევ უფრო შორს არიან წასულნი და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე იმ დონეზეა გა-თურქებულ-გათათრებული, რომ ამის დაფარვას არც ცდილო-ბენ და კიდევაც აშკარად გამოდიოდნენ და გამოდიან საქართვე-ლოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, როგორც თურქეთისა თუ რუსეთის ინტერესების აგენტები. ასეთ ვითარებაში, როგორ უნდა მოიქცეს ქართული სახელმწიფო საკუთარი სახელმწი-ფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე? მან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიცვას საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესები! ეს მსოფლიო პოლიტიკის აქსიომაა.

მოდით, საღად შევხედოთ მომავალს, თავი გავანებოთ ჩვენი ქვეყნებისა და ხალხის ინტერესების სხვათა საქმეების კეთები-სათვის შეწირვას და ბოლოს და ბოლოს, დავიწყოთ ჩვენი საერთო სამშობლოს ნამდვილ მომავალზე ზრუნვა. გავაანა-ლიზოთ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, საერთო არაკეთილმოსურნეების მიერ ჩვენს შორის ხელოვნურად გაღვივებული სიძულვილისა და ფალსიფიცირებული ურთიერ-

თობის შედეგად ჩვენთვის თავსმოხვეული მძიმე მემკვიდრეობა და აღვადგინოთ იმ დროის ტრადიცია, როდესაც ერთმანეთი გვეიმედებოდა.

მესხთა ტრაგედია არახალია. იგი წარმოშობილია მათი თურქ-ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცევის დროიდან და ახალი ფორმით გაგრძელდა მხარის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგაც, როდესაც აქაური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი განდევნილი იქნა საკუთარი მიწა-წყლიდან, მათ მაგივრად კი ჩამოასახლეს სომხები თურქეთიდან. **საბჭოთა პერიოდში უფრო მეტი მონდომებით გაისარჯნენ უზურპატორ-ინტერნაციონალისტები და იმის მაგივრად, რომ ქართული თვითშეგნებისა და ცნობიერების აღდგენაზე ეზრუნათ მათში, მათი სრული და საბოლოო გადაგვარების პროექტის განხორციელებას შეუდგნენ.** მესხეთში გახსნეს თურქულ-აზერბაიჯანული სკოლები და ამავე ეროვნების „მასწავლებლებით“ გაავსეს რეგიონი, რამაც მათი საქართველოსა და ქართველებისაგან გაუცხოების პროცესი კიდევ უფრო გააძლიერა; ერთი მოდგმისა და ორი რელიგიური თემისაგან შემდგარ მოსახლეობაში საურთიერთობო ფონი კიდევ უფრო დაამძიმა და ხელოვნურად ვითარების გამწვავებისთვისაც, „ბოროტების იმპერია“ მის არსენალში არსებულ არცერთ იარაღს არ დაიშურებდა. ბოლოს კი მივიღეთ ის, რომ ამ ორი რელიგიური აღმსარებლობისა და საერთო წარმოშობის ქართული თემის მნიშვნელოვან ნაწილს ერთად ცხოვრება წარმოუდგენლად მიაჩნიათ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ქართველ წარმომადგენლებს, რომ ამ პრობლემის საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტა ნდომებოდათ, ადრევე დაიჭერდნენ თადარიგს და 1988 წელს მაინც, როდესაც მიღებული იქნა „მაჰმადიანი მესხების და ინგილოების უფლებების აღდგენისა

და დაცვის ლიგის დეკლარაცია“, მიიღებდნენ სათანადო ზომებს, როგორც ამ დეკლარაციაშია აღნიშნული „ქართველი მაჰმადიანების ეროვნული თვითგამორკვევისათვის, მათი ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის“... (ლაპარაკია მაჰმადიან მესხებზე – უ. ო.) ხელს შეუწყობდნენ „სხვადასხვა სარწმუნოების ქართველთა შორის ურთიერთსიყვარულის, ურთიერთნდობისა და პატივისცემის გაღვივებას“... **(მაჰმადიანი მესხების..., 1988)**, მაგრამ, **სწორედ, საქართველოში საბჭოთა მმართველობის ერთგული დამცველი და მისი პოლიტიკის გამტარებელი კომუნისტური ნომენკლატურა წარმოადგენდა იმ რგოლს, რომლის მეშვეობითაც ქართველი ხალხის ნების იგნორირებით, ამასთან მისი სახელით ხდებოდა ყველაზე ანტიქართულ უბინძურეს საქმეთა აღსრულება, რაც, ხშირ შემთხვევაში, სასტიკად წამლავდა ატმოსფეროს სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველთა შორის. ასეთი პოლიტიკით ისინი ცდილობდნენ ეს ხალხი საერთო ქართული ეთნოფსიქოლოგიის დამანგრეველ ელემენტად ექციათ და საკუთარი ბოროტი მიზნების გამტარებელ მანქურთეზად გამოეყენებინათ. ყოველივე ამის მენტალური შედეგები კი დღემდე წამლავს ქართულ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ გარემოს.**

თავს თუ არ მოვიტყუებთ, ორივე მხარემ კარგად ვიცით, რომ დღევანდელი ქართული სახელმწიფოს თითქმის ყველა პრობლემის არსებობის მიზეზი, ხანგრძლივ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არარსებობაში, თანამედროვე პირობებში კი ჩამოყალიბების გაზაზე მდგარი დამოუკიდებელი ქვეყნისა და სახელმწიფო სტრუქტურების სისუსტეში უნდა ვეძიოთ. **ამ სისუსტეს განაპირობებს ისიც, რომ საქართველოშიც სახელმწიფოებრივი მანქანის გაკონტროლებას ცდილობს ის ძალა, რომელიც ყალბი ილუზიებით „ასაზრდოებს“**

მსოფლიოს და ეროვნული სახელმწიფოებისა და მისი ტრადიციული თვითმყოფადობის დაცვა მისთვის არაფერს წარმოადგენს; ასეთ ვითარებაში კი ჩვენი ქვეყანა განიარაღებულია და არ გააჩნია ერის ღირსების დამცავი რეალური მექანიზმები. ამიტომაც, იგი კვლავ განაგრძობს არსებობას საკუთარი სუვერენობის, სხვა სახელმწიფოთა და მსოფლიოს თანამედროვე წესრიგის მესვეურთა მიერ, მიმძლავრების ფონზე, სადაც მასზე და მის ნებაზე, სამწუხაროდ, თითქმის აღარაფერია დამოკიდებული.

ამ მდგომარეობიდან, ჩვენი აზრით, ერთადერთი გამოსავალია, საქართველოს სახელმწიფომ გააერთიანოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი, პირველ რიგში, **მოამზადოს მომავალი თაობა და ქვეყანაც, აღნიშნული გამოწვევებისათვის საჭირო პასუხის გასაცემად (დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქა, გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების, აგრეთვე საზღვარგარეთ მაშინ მოქმედ ქართული საგანმანათლებლო ცენტრების მიერ აღზრდილ სულიერებაზე აღმოცენდა) და ჩვენ ამ დაუნდობელ შერკინებაშიც ერთად მოგვიწევს ბრძოლა საკუთარი მეობისა და კავკასიური იდეის გადასარჩენად.** სასწრაფოდ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ამ მისიის შესასრულებლად ერთმანეთი ძალიან გვჭირდება! სწორედ ამაზეა დამოკიდებული ჩვენი ხალხის მომავალი, თუ კი გვსურს, რომ ის საერთოდ გვქონდეს.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

აბაიშვილი, 1989: – აბაიშვილი პ., დახმარება ჩვენი ზნეობრივი ვალია, გაზ. „თბილისი“, 1989. 07. 08.

ავალიანი, 1989: – ავალიანი ამ., ვისია მესხეთი, გაზ. „თბილისი“, 1989. 08. 07.

ბაშარული, 1989: – ბაშარული ზ., მესხეთმა უწყის, რას ნიშნავს „თურქობა“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 01. 08.

ბეგიაშვილი, 1989: – ბეგიაშვილი ი., მესხთა ტრაგედიის გამო, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 27. 07.

გელოვანი, 1989: – გელოვანი აკ., თურქობაზე ორი აზრი?!, გაზ. „თბილისი“, 1989. 27. 11.

გვარამაძე, 1989: – გვარამაძე გრ., იმას რა დამავიწყებს, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1989. 09. 12.

გოჩელაშვილი, 1989: – გოჩელაშვილი ო., მართლაც არ ეგების თვალის დახუჭვა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 17. 07.

ექსპედიციის მასალები..., 1991: – 1991 წლის 19-20 აგვისტოს საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმის მიერ ადიგენის რაიონში ჩატარებული ექსპედიციის მასალები – ვიდეო გადაღება (ინტერვიუები 3 საათი).

ვადაჭკორია, 1989: – ვადაჭკორია ბ., დაუმთავრებელი საუბარი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 08. 08.

თუნგია, 1989: – თუნგია მ., შეხვედრა სამშობლოსთან, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 08. 08.

მაჰმადიანი მესხების..., 1988: – მაჰმადიანი მესხების და ინგილოების უფლებების აღდგენის და დაცვის ლიგის დეკლარაცია, გაზ. „სამშობლო“, №17, 1988 წ. აგვისტო.

მესხთა ტრაგედია, 1989: – მესხთა ტრაგედია, გაზ., „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 04. 07.

ნახევარი საუკუნე..., 1989: – ნახევარი საუკუნე უსამშობლოდ, ინტერვიუ, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 08. 08.

საბინაშვილი, 1989: – საბინაშვილი თ., სხვისი ჭირი, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1989. 21. 07.

ტუხაშვილი, 1989: – ტუხაშვილი ლ., „სინდრომი“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 27. 07.

ღია წერილი..., 1989: – ღია წერილი ზურაბ ბაშარულს, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 14. 10.

Ucha Okropiridze

Once again about the problem of "Turk Meskhetians"

Summary

The work shows short review of the problem of "Turk Meskhetian's" modern condition and discussed the situation around 1889-1990 years Fergana tragedy. The work is based on the press of that period and the 1991 years expedition materials made by the National Movement History Museum in Municipal district of Adigeni specifically for this problem.

It also provides historical analysis of the causes of that problem and the reasons for its aggravation in modern conditions. There is made some conclusions and recommendations too.

ოლეგ ჯიბაშვილი

სომეხთა სუბეთნიკური ჯგუფის – ჰემშილების ისტორიიდან

მცირე აზია ოდითგანვე იპყრობდა ყურადღებას თავისი ეთნოგრაფიული სიჭრელით. დღესაც, თურქეთის რესპუბლიკის მოსახლეობა უამრავი სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ჯგუფებისაგან შედგება, რომელთაგანაც ბევრს ჯერაც არ დაუკარგავს თავისი განსხვავებული იდენტობა და არ არიან ბოლომდე ასიმილირებული თურქებთან. ამ ჯგუფების ფორმირებისა და გენეზისის საკითხი აქტიური კვლევისა და დისკუსიის საგანს წარმოადგენს.

უკანაკნელ ხანებში საკმაოდ გაიზარდა სომხური საზოგადოების დაინტერესება ხემშინელი სომხებით ანუ ჰემშილებით. ამ სახელით, როგორც ჩვენთვის ცნობილია, გამაჰმადიანებულ სომეხთა სუბეთნიკურ ჯგუფს მოიხსენიებენ, რომელიც ისტორიული ლაზეთ-ჭანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში ჩამოყალიბდა მშობლიური მიწებიდან მტრის მოძალების გამო ლტოლვილი სომხების მიერ. მკვლევარ წათე ბაწაშის აზრით, მის ფორმირებაში თავისი წვლილი ლაზურ-ქართულმა ელემენტმაც შეიტანა და არც თუ ისე მცირე [**ბაწაში, 1988:56-60**].

გამაჰმადიანებამდე ჰემშილებს ამშენები ერქვათ მთავარი ქალაქის – ამამშენის მიხედვით. ამშენთა ერთმა ნაწილმა ქრისტიანობა შეინარჩუნა და დღესაც ამ სახელით იწოდება, მეორე, გამაჰმადიანებულ ნაწილს კი, როგორც ვხედავთ, ხემშინებად, ხემშილებად ან ჰემშილებად მოიხსენიებენ. სწორედ ამ ხალხზე

(ანუ ამშენურ-ჰემშილურ სუბეთნიკურ ჯგუფზე) მსჯელობისას ზოგიერთი სომეხი ავტორი იგნორირებას უკეთებს ისტორიულ ჭეშმარიტებას და მათ წარსულს, რომ იტყვიან, მრუდე სარკეში წარმოაჩენს. ვიდრე ინტერნეტ-საიტებზე მრავლად განთავსებული ასეთი ხასიათის მასალებიდან ზოგიერთს მაინც გაგაცნობდეთ, სომეხ ავტორებზევე დაყრდნობით გვინდა მოკლედ გავაშუქოთ ხემშინის ანუ ამშენის დაარსების ისტორია.

სომეხ ავტორთა დიდი ნაწილი, ეყრდნობა რა სომეხი ისტორიკოსის, ღევონდის ცნობებს, მიიჩნევს, რომ ამშენი ანუ ხემშინი დაარსდა ჩვ. წ. აღ-ით VIII საუკუნეში.

ღევონდი VIII საუკუნის ისტორიკოსია [**http://ru.wikipedia.org/ wiki/%D0%93%D0%B5%D0%B2%D0%BE% D0%BD%D0%B4**]. მისი ნაშრომი – "ხალიფათა ისტორია" – აშუქებს სომხეთის პოლიტიკურ ისტორიას 640 წლიდან 788 წლამდე [**იქვე**]. იგი თავად იყო მის მიერ აღწერილი უკანასკნელი ხანის მოვლენების თანამედროვე და მომსწრე. ამდენად, როგორც წყარო, "ხალიფათა ისტორია" საკმაოდ სანდოა. სხვათაშორის, აღნიშული წყარო პირველია, რომელშიც ამშენი და ამშენელი სომხებია ნახსენები.

ეყრდნობიან რა ღევონდის ნაშრომს, სომეხ მკვლევართა უმრავლესობა (მაგ. აკადემ. ლ. ხაჩიკიანი, აგრეთვე, რუსეთში არსებული სომხური სამეცნიერო-ინფორმაციული ცენტრ "ამშენის" თავმჯდომარე, ისტორიკოსი ა. ტულუმჯიანი და სხვ.) თვლის, რომ აღმოსავლეთ სომხეთიდან ლტოლვილი სომხები ამშენის ტერიტორიაზე VIII საუკუნეში დაფუძნდნენ.

აღნიშნული წყაროს მიხედვით, ჩვ. წ. აღ.-ით VIII საუკუნის 80-ანი წლების მიწურულს არაბთაგან უკიდურესად შევიწროებული აღმოსავლეთ სომხეთის მოსახლეობა (ძირითადად აირარატის მკვიდრნი), დაახლოებით 12 ათასი სულის შემადგენლობით, აიყარა სამკვიდრებელიდან და ნახარარების ანუ თავა-

დების – შაპუხ ამატუნისა და მისი ვაჟის, ამამის წინამძღოლობით ბიზანტიის ფარგლებში მოქცეული ხალდეას თემს შეაფარა თავი და იმპერატორ კონსტანტინეს ნებართვით აქ დამკვიდრდა [**Хачикян**]. აქ, ლაზეთის მთებში, საფუძველი ჩაეყარა სომხურ სათავადოს.

წყაროებისა და გადმოცემების თანახმად შაპუხის ძემ, ამამ ამატუნმა საცხოვრებლად ქალაქი ტამრი (ტამბური) დაითავისა, რომელიც ქართველ თავადს ვაშდეანს ეკუთვნოდა. ეს თავადი ამამს ახალო ნათესავად ერგებოდა დედის მხრიდან. ურთიერთ ბრძოლებში ვაშდეანმა ქალაქი ტამრი (ტამბური) საძირკვლებამდე დაანგრია. "შემდეგ თავადმა ამამმა ტამბურის ადგილზე ახალი ქალაქი გააშენა, რომელსაც თავისი აღმაშენებლის საპატივცემულოდ ამამშენი დაერქვა, რაც შემდეგში გადაკეთდა ამშენად ანუ ხემშინად" [**Хачикян**].

ლ. ხაჩიკიანის სიტყვით, "მომდევნო საუკუნეებში ამშენის მთიანეთის მიუვალ ხეობებში თავშესაფარი ჰპოვა ლტოლვილთა ახალმა ჯგუფებმა სომხეთის სხვა რაიონებიდან, განსაკუთრებით სომხეთის მთიანეთის ახლომდებარე გავარებიდან (მხარეებიდან – ო.ჯ.)" [**Хачикян**].

როგორც ვხედავთ, ლაზეთის მთიანეთში, ქართველი ფეოდალის კუთვნილ მიწაზე, ბიზანტიის იმპერატორის ნებართვით, არაბთაგან ლტოლვილი სომხები VIII საუკუნეში მკვიდრდებიან.

ხემშინი ტერიტორიულად მოქცეულია პონტოს ქედსა და ზღვას შორის, იწყება რიზედან ზევით, დასახელებული ქედის მიმართულებით 24 საათის სავალზე [**Хачикян**].

გიორგი ყაზბეგი თავის ნაშრომში „სამი თვე თურქეთის საქართველოში" შემდეგნაირად ახასიათებს აღნიშნულ მხარეს: „პონტოს ქედის ჩრდილო-დასავლეთ განშტოებაზე იღებს

სათავეს ლაზეთის ყველაზე დიდი მდინარის ფურტუნის სამი სათავე (კერძოდ ფურტუნა, კაჩკარ-სუ და ბეიუქ-სუ) დიდი ხემშინის ტერიტორიას რწყავენ. ამ მხარეში ცხოვრობს სომხური წარმოშობის, მაგრამ მხოლოდ თურქულად მოლაპარაკე ხალხი. ხემშინი განსაკუთრებული სამუდიროა, რომელიც ათინას კაიმა-კამს ემორჩილება, ბუნებრივია, შედის ბათუმის სამუთესარი-ფოში. ჰემშინის დასავლეთი საზღვარი ეშვება ფურტუნის ყველა სამ შენაკადთან მთავარი ქედის პარალელურ მეორეხარისხოვან ქედზე და მდინარეებს ათინას და ბულეს სათავეს აძლევს“ **[ყაზბეგი, 1995: 147-148].**

ზემოთ ნახსენები არდავაზტ ტულუმჯიანის დასკვნით (მან ხემშილთა შესწავლის მიზნით 2004-2005 წლებში ორჯერ მოაწ-ყო ექსპედიცია ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში), ხემშილთა სუბ-ეთნიკური ჯგუფი საბოლოოდ XIX საუკუნის ბოლოსათვის ჩამოყალიბდა [**Тулумджян**].

ტულუმჯიანი ამშენის დაარსების ღევონდისეულ ვერსიას იზიარებს [**Тулумджян**], ხოლო ამშენ-ხემშილთა შემდგომ ბედს ასე ხატავს:

“დაახლოებით მე-16 საუკუნის შუა ხანებისათვის მოსახ-ლეობის ნაწილმა (იგულისხმება ამშენის ოლქის მოსახლეობა, ამშენები – ო.ჯ.), დამპყრობელთა ზეწოლის შედეგად, მიიღო ისლამი და მომდევნო ორი ასეული წლის მანძილზე მათგან მიმდინარეობდა ფორმირება ხემშილთა განსაკუთრებული ეთ-ნოგრაფიული ჯგუფისა, რომელიც ორ დამოუკიდებელ ჯგუ-ფად გაიყო – ხოფა-ხემშილებად, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთით გადასახლდნენ (იგულისხმება მდინარე ხოფას ნაპირზე გაშენებული ხემშინ-ხემშილთა 5 სო-ფელი – ო.ჯ.) და საკუთრივ ხემშინის ოლქის ხემშილებად. ამშენთა მეორე ნაწილმა, რათა შეენარჩუნებინა თავისი რწმენა

და ენა, დასტოვა ამშენის მხარე და გაიქცა დასავლეთით ქ. ტრაბზონის, ქ. ორდუს სასოფლო რაიონებში და უფრო შორს ჭანიკში. ასწლეულების მანძილზე ამშენელმა ლტოლვილებმა დაივიწყეს თავიანთი ძველი ბუდე და თავიანთ თავს უწოდეს ტრაბზონელი, ორდუელი და ჭანიკელი სომხები. შემდგომში, ცდილობდნენ რა დაეცვათ თავი თურქული ხელისუფლების თვითნებობისა და სომეხთა გენოციდისაგან, გადარჩენილი ამშენები მიგრირებდნენ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე. ეხლა მათი ძირითადი მასა ცხოვრობს კრასნოდარის მხარესა და აფხაზეთში. სამწუხაროდ, კავკასიის ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრებმა ამშენმა სომხებმა, ძველი ამშენიდან გამოსულთა პირდაპირმა შთამომავლებმა, ცოტა იციან ან საერთოდ არა აქვთ წარმოდგენა თავიანთ ძველ ისტორიაზე.

ამშენის დასავლეთით მდებარეობდნენ მხარეები ყარა-დერე (შავი მდინარე) და სურმენე. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ამ რაიონების სომხური მოსახლეობა 16 ათას კაცს აღწევდა, რომელთა უმრავლესობას შეადგენდნენ ლტოლვილები ამშენიდან. ამ რაიონების სომხური დასახლებები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იქნა დაარსებული ანისიდან გადმოსახლებულებით” **[Тулумджян].**

მოტანილი ცნობებით კარგად ჩანს, რომ სომხური ელემენტი აღმოსავლეთ ლაზეთის ტერიტორიაზე მოსულია და არ წარმოადგენს ავტოხთონურ მოსახლეობას. ეს ფაქტი განსაკუთრებით კარგად ხოფელ ხემშილებს ახსოვთ. ტულუმჯიანი მიუთითებს:

“ხოფა წარმოადგენს იგივე სახელწოდების მქონე რაიონის ცენტრს. ზოგიერთი მონაცემებით, ინფორმატორებს უჭირთ ზუსტი პასუხის გაცემა, ხემშილებმა ამ რაიონის მთიანი მასივები დაასახლეს დაახლოებით 200 წლის წინათ. ისინი ზუსტად

ამბობენ როდის დაიწყო შავი ზღვის სანაპიროსა და ქ. ხოფის დასახლება ხემშილების მიერ – დაახლოებით 30-40 წლის წინათ, მანამდე სანაპიროზე მაჰმადიანობა-მიღებული ლაზური მოსახლეობა ცხოვრობდა. დღეისათვის, გაასწრეს რა რაოდენობით აბორიგენ ლაზებს, ქალაქში უმრავლესობას ხემშილები წარმოადგენენ. უფრო მეტიც, 2004 წელს მათ პირველად აირჩიეს ქ. ხოფის თავად ხემშილი თოფან-ოღლის გვარიდან" [**Тулумджян**].

უფრო ქვევით, აანალიზებს რა ინფორმატორთა მონაცემებს, ის უკვე დარწმუნებით მიუთითებს:

"ეჭვს არ იწვევს, რომ სხვადასხვა ინფორმატორი საუბრობს ერთსა და იმავე მოვლენაზე, კერძოდ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამშენიდან (ხემშინიდან) უმეტესად სომხურ ენაზე მოლაპარაკე მუსულმანთა წასვლის თაობაზე, რომლებიც წარმოადგენდნენ ეხლანდელი ხოფა-ხემშილების წინაპრებს და მდინარე ჭოროხის აუზში გამოჩნდნენ დაახლოებით 150-200 წლის წინათ" [**Тулумджян**].

ხოფა-ხეფშილები დღეისათვის დაახლოებით 30 000-40 000 სულს შეადგენენ [**Тулумджян**].

ამრიგად, უდავოა, რომ სომხური ეთნიკური ჯგუფები მტრის ზეწოლისაგან იძულების გამო, თავის გადარჩენის იმედით შეეფარა ლაზთა მიწა-წყალს, კერძოდ, ამ შემთხვევაში აღმოსავლეთ ლაზეთს, და ეს ტერიტორია არანაირად არ წარმოადგენს მათ ისტორიულ სამკვიდრებელს.

მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობს რა შორს გამიზნული მოსაზრებებით, სომხური საზოგადოების ერთ ნაწილს აქვს მცდელობა არასწორად წარმოაჩინოს რეალობა და დაამკვიდროს ყალბი შეხედულებები.

მოვიტანთ მცირე ამონარიდებს ინტერნეტში განთავსებული ზოგიერთი საიტიდან.

არტურ უსტიანი, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (სტილი დაცულია):

„ხალდები (ამშენები) – მცირე აზიის უძველესი ეთნიკონი. იგი ცნობილია ძვ. წ. აღ. VIII-VI სს.-ის ურარტული (ხალიტუ), ასირიული და სპარსული წყაროებით. ხალდები (ამშენები) ბიზანტიაში მოიაზრებოდნენ როგორც ბერძენთაგან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი. ხალდი-მეომრები იცავდნენ ტრაპეზუნდს სამხრეთიდან და თავს ესხმოდნენ სელჩუკთა ჯარს XIII საუკუნის დასაწყისში. ხალდების უმრავლესობა მართლმადიდებელი სომეხი-ქალკედონიკი იყო...

ამრიგად, ამშენი სომხები ხალდეელების (ხალიბების) შთამომავლები არიან ბალას (ბალუ, პალა) ტომიდან. ძვ. წ. აღ. VIII-V სს.-ში კიმერიელთა მოწოლის გამო ისინი აიყარნენ ძველი ადგილებიდან და განსახლდნენ ქალაქების – ორდუსა და გერასუნის მიდამოებსა და ჭოროხის აუზის აღმოსავლეთ ნაწილში. მეორე ნაწილი სიუნიკის სამხრეთით განსახლდა. ტრადიციული საცხოვრებელი რაიონი განფენილი იყო ტრაპეზუნტიდან აჭარამდე და ჯავახეთამდე მისი ჩათვლით.”

აქვე მოგვაქვს ნაწყვეტი დედანიდან:

“Халды (амшенцы) – древнейший этникон Малой Азии. Он извес-тен по урартским (как халиту), ассирийским и персидским источникам VIII-VI вв. до н. э. Халды (амшенцы) в Византии воспринимались как отдельная от греков этническая груп-па. Халды-воины защищали Трапезунд с юга и нападали на сельджукские войска в начале XIII в. Халды в большинстве своём были православными армянами-халкидонитами…

амшенские армяне потомки халдейцев (халибов) из племени Бала (Балу или Пала). С VIII по V вв. до н.э. под натиском киммерийцев снялись с насиженных мест и расселились в районах нынешних городов Орду, Герасун и в восточной части бассейна Чороха. Другая часть расселилась южнее Сюника. Традиционный район проживания пролегал от Трапезунта до Аджарии и Джавахетии включительно” [**Устян**].

ამ პატარა ნაწყვეტში უამრავი სიყალბეა თავმოყრილი: ქართველი ერის საყოველთაოდ ცნობილი ერთ-ერთი წინაპარი ტომი – ხალდები, სომხებად არის გასაღებული და ამშენი-ხემშილი სომხები მათ შთამომავლებადაა გამოყვანილი, ამშენი სომხების ლაზეთსა და მიმდებარე ტერიტორიებზე დასახლების თარიღი 13-16 საუკუნით არის უკან გადაწეული, ხოლო ქართული მიწები ხელაღებით სომეხთა ტრადიციულ საცხოვრებელ რაიონად გამოცხადებული. როგორც ვხედავთ, კომენტარიც კი ზედმეტია – ისტორიული ჭეშმარიტების ფალციფირების შეუდარებელ მაგალითთან გვაქვს საქმე. სტატია მთლიანად ასეთი სულისკვეთებითაა გამსჭვალული.

სხვა საიტზე ამშენი-ხემშილი სომხების განსახლების არეალი კვლავ ისტორიული სომხეთის მიწებად არის სახელდებული [**http://forum.hayastan.com/index.php?showtopic=18989**]. იგივე აზრია გატარებული სერო ხანდაზიანის სტატიაშიც, რომელიც ამშენი-ხემშილი სომხების ბედს ეძღვნება. სტატია სათაურით “აღმაშფოთებელი უარი” (Возмутительный отказ), დევს საიტზე OpenArmenia — Worldwide Armenian Forum [**Ханзадян**].

კიდევ სხვაზე განთავსებულია სტატია სათაურით “ამშენის ისტორია” (История Амшена), სადაც შემდეგს ვკითხულობთ:

“ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ზღვისპირა რაიონებიდან გამოსული სომხები ეკუთვნიან ამშენთა

ჯგუფს (ისტორიული ოლქის, ამშენის სახელიდან). ამშენი – ისტორიული სომხეთის რეგიონი, დღეისათვის მდებარეობს თურქეთის ტერიტორიაზე. ამშენი (მნიშვნელობა "სანაპირო"). ამშენის ტერიტორია წარმოადგენდა სანაპირო ზოლს ტრაპეზუნდიდან მოკიდებული თითქმის ბათუმამდე. თურქული ტომების მოსვლის შემდეგ სომხური მოსახლეობა მეორეხარისხოვანი ეროვნული უმცირესობის სტატუსის ქვეშ აღმოჩნდა. დროდადრო სიტუაცია სასიკეთოდ იცვლებოდა, მაგრამ, საერთო ჯამში, სომეხთა მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო. ბევრი ამშენი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გადასახლდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე."

აქვე ვურთავთ ტექსტს ორიგინალიდან:

"Являясь в своей массе выходцами из северо-восточных прибрежных районов Османской Империи армяне относятся к группе амшенцев (по названию исторической области Амшен). Амшен – регион исторической Армении, ныне расположенный на территории Турции. Амшен (значение «прибрежный»). Территория Амшена представляла собой прибрежную полосу от Трапезунда и почти до Батума. С приходом тюркских племен армянское население оказалось в статусе национального меньшинства второго сорта. Время от времени ситуация менялась в положительную сторону, однако, в целом положение армян было плачевным. Многие амшенцы еще в средневековый период переселялись на территорию современной Абхазии" [**История Амшена**].

როგორც სტატიის ტექსტიდან ჩანს, ავტორი ლაზთა მიწაწყალს ტრაპიზონიდან ვიდრე ბათუმამდე ამშენი-ხემშილი სომხების საკუთრებად აცხადებს.

კიდევ უფრო შორს მიდის ერთ-ერთ საიტზე თურქეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციული დაყოფის რუქის განმთავსე-

ბელი. რუქაზე ართვინის, რიზეს ტრაპიზონის, გირესუნის, გიუმიშხანეს, ბაიბურთის ვილაეთები გამოყოფილია განსხვავებული ფერით და გაკეთებული აქვს წარწერა – „ამშენის თანამედროვე რუქა“ (Карта Амшена современная) [**http://mererkir.do.am/photo/6-0-7-3**]. მსგავსი ფაქტების დაძებნა ინტერნეტში უხვად შეიძლება.

როგორც ვხედავთ, ისტორიული ჭეშმარიტების ფალსიფიცირების ცდა ლაზეთთან და აქ მიმდინარე ეთნო-რელიგიურ პროცესებთან მიმართებაში საკმაოდ შორს არის წასული. ამდენად, ისტორიის გამყალბებლებთან ბრძოლის საკითხი კვლავ აქტუალურად დგას დღის წესრიგში.

სომხური საზოგადოების გარკვეული ნაწილის სურვილის მიუხედავად, არც ამშენთა ეთნო-რელიგიური ჯგუფის ჩამოყალიბების ადგილია ისტორიული სომხეთის შემადგენელი ნაწილი და არც ამშენთა გენეზისი უკავშირდება მხოლოდ სომხურ ეთნოსს. ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარი წათე ბაწაში სათანადო მონაცემებზე დაყრდნობით მიუთითებს:

“გ. ყაზბეგი შეცდომას უშვებს, როდესაც ჰემშინის მთელ მოსახლეობას სომხებად მიიჩნევს. საქმე იმაშია, რომ ჰემშინში მოსახლეობის ნახევარზე მეტი ლაზებისაგან შედგება, ხოლო დანარჩენი წარმოადგენს ნარევ ხალხს; მათ ეთნოგენეზში მთავარი როლი ითამაშა სომხურ-გრიგორიანულმა ეკლესიამ, რომელსაც, როგორც ჩანს, მიეკედლა ლაზთა გარკვეული ნაწილი, როგორც ეს ხდება ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის სხვა ნაწილებშიც” [**ბაწაში, 1988: 59**].

პრინციპში, აქ გასაკვირი არაფერია. ხემშინის მოსახლეობა ჩამოყალიბდა ქართულ არეალში, მოსული სომხებისა და დამხვდური ქართველების შერწყმის შედეგად. გარდა ამისა, ეს კუთხე მოქცეული იყო ერთი მხრიდან ლაზების, მეორე მხრი-

დან ტაო-კლარჯელების გარემოცვაში და მოსახლეობის ბუნებრივ გაცვლას შემდეგშიც ექნებოდა ადგილი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოსმალთა ასიმილატორული პოლიტიკის შედეგად შედარებით მაღალმთიან ხემშინს ზღვისპირა ლაზეთიდან ბევრი შეაფარებდა თავს და შემდგომში, გრიგორიანული ეკლესიის გავლენით, დამხვდურთ შეერეოდა. ამდენად, თავისთავად ცხადია, რომ ამშენ-ხემშილთა ეთნოგენეზში აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას ქართული (ლაზურ-მესხური) ელემენტი და სერიოზულ წვლილსაც შეიტანდა მასში.

ამრიგად, XIX საუკუნის ბოლოსათვის აღმოსავლეთ ლაზეთის მთიანეთში დასრულდა სომეხ მაჰმადიანთა ანუ ხემშილთა ეთნო-რელიგიური ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლის გენეზისი VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო აღმოსავლეთ სომხეთიდან ლტოლვილი სომხებისა და ადგილობრივი ქათველების (ლაზ-მესხების) ურთიერთშერწყმის გზით. XIX საუკუნის ბოლოსათვის მათი უმრავლესობა ხემშინის კაზაში ცხოვრობდა და მათ ბაშ-ხემშილები ეწოდებოდათ, ხემშინიდან გამოსულთა მცირე ნაწილი კი ხოფე-ხემშილის სახელით ხოფას კაზაში, მდინარე ხოფას ნაპირზე იყო დამკვიდრებული.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

ბაწაში, 1988: – ბაწაში წ., ეთნორელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, თბილისი, გამომც. ,,მეცნიერება", 1988.

ყაზბეგი, 1995: – ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა, ბათუმი, გამომც. „აჭარა", 1995.

Хачикян – Хачикян Л., Страницы истории амшенских армян; ინტერნეტ-რესურსი: http://forum.openarmenia.com/topic/ 13335-%D0%B0%D0%BC%D1%88%D0%B5%D0%BD%D1% 81%D0%BA%D0%B0%D1%8F-%D0%B8%D1%81%D1%82% D0%BE%D1%80%D0%B8%D1%8F/page—st—40

Тулумджян – **Тулумджян А.,** Хопа-хемшилы и Баш-хемшилы: материалы экспедиции; ინტერნეტ-რესურსი: http://www.hamshen.su/publ/9-1-0-14

Устян Устян А. Р., К вопросу об актуализаций армяно-ромейской теории через восстановление амшенской государственности или Амшен как правопреемник Византии в Малой Азии, 2009; ინტერნეტ-რესურსი: http://forum.vardanank.org/ index.php?act=Print&client=printer&f=170&t=143760

Ханзадян Ханзадян С., Возмутительный отказ; ინტერნეტ-რესურსი: http://openarmenia.am/index.php?/topic/28549-%D1%85%D0%B5%D0%BC%D1%88%D0%B8%D0%BB%D1%8B-%D1%82%D0%BE%D1%87%D0%BD%D0%B5%D0%B5-%D1%85%D0%BE%D0%BC%D1%88%D0%B5%D1%86%D0%B8/&page=12#comment-1704860

История Амшена – История Амшена; ინტერნეტ-რესურსი: http://pandia.ru/text/77/28/95211.php

http://mererkir.do.am/photo/6-0-7-3

http://forum.hayastan.com/index.php?showtopic=18989

http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%93%D0%B5%D0%B2%D0%BE%D0%BD%D0%B4

ე.წ. „ამშენის თანამედროვე რუქა“
(Карта Амшена современная)

Oleg Jibashvili

From the History of the Armenian Sub-Group Hemshilis

Summary

At the end of the XIXth century, Armenian Muslim ethnic-religion group Hemshilis formed in Lazeti, whose genesis began in the second half of the VIIIth century through interconnecting refugees from eastern Armenia and local Georgians (Laz Meskes). At the end of the XIXth century, most of them lived in Kemshin Kazi and they were called as Bash-Hemshilis. Small portion from the Khemshini lived in Khopa Kaza as Khope-Khemshini on the Khopa River.

ირინე ვარშალომიძე

ანტიკური მონეტები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან (აჭარა)

საქართველო სამონეტო ცივილიზაციის უძველესი კერაა. მონეტების ემისია ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ძვ.წ.VI საუკუნეში. ადრეანტიკური ხანიდანვე აღმოსავლეთ შავისღვისპირეთის (აჭარის) სანაპირო ზოლი ჩართული იყო ანტიკური სამყაროს წამყვან ცენტრებთან სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში. უკვე ძვ.წ. VI საუკუნეში აქ არსებობდა ბერძნული დასახლებები (ფიჭვნარი). სწორედ კლასიკურსა და ელინისტურ ეპოქაში ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობამ განაპირობა უცხოური მონეტების შემოდინება და ადგილობრივი სამონეტო ემისიის (კოლხური თეთრი) წარმოშობა.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფიჭვნარი ნუმიზმატიკური თვალსაზრისით მდიდარი და მრავალფეროვანი ძეგლია. ნახევარსაუკუნოვანი არქეოლოგიური გათხრებისა თუ შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად, აქ მეტად საინტერესო ნუმიზმატიკური მასალა დაგროვდა: ადგილობრივი კოლხური თეთრები და უცხოური მონეტები. ადგილობრივ კოლხურ თეთრებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უნიკალური, ახალი ნომინალები, რომელთა შუბლზე მოცემულია მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება, ხოლო ზურგზე

კი მარჯვნივ მიმართული რომელიღაც ფრინველი. ახალ ნომინალს პირობითად ჰემიტეტარტემორიონს უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ მათი მსოფლიო მარაგი 8 ცალით შემოიფარგლება და ყველა მათგანი ფიჭვნარშია ნაპოვნი. ჰემიტეტარტემორიონების გამოვლენამ მოგვცა კოლხური თეთრების არა მარტო ახალი ნომინალი, არამედ ახალი ტიპიც. ისინი ძვ.წ. V საუკუნით თარიღდებიან. უმცირესი ნომინალები, როგორც ჩანს, ადგილობრივი წვრილი სავაჭრო ოპერაციებისათვის გამოიყენებოდა **(კახიძე, ვიკერსი, ვარშალომიძე, 2010:124-127).** რაც შეეხება კოლხური თეთრების სხვა ცალებს – ისინი ფართოდ გავრცელებულ ტრიობოლებს წარმოადგენს. რომელთა შუბლზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული თმაჩამოშვებული ადამიანის თავი, ხოლო ზურგზე კი მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. ისინი ძვ.წ. V-III საუკუნეებით თარიღდებიან. ფიჭვნარში კოლხური ტრიობოლები აღმოჩენილია როგორც განძებში, ისე სამარხებში, დაახლოებით 1200 ცალი.

ადგილობრივ მონეტებთან ერთად, ძვ.წ. V საუკუნიდან, ფიჭვნარში მიმოიქცევა უცხოური მონეტებიც. პირველ რიგში აღსანიშნავია ელექტრუმის ქიზიკინები. ისინი ამიერკავკასიაში აღმოჩენილია 3 ეგზემპლარი და ყველა ფიჭვნარში (1952/1968 წწ). თარიღდებიან ძვ.წ. V საუკუნით. მილეტის კოლონიის ქიზიკის სტატერების აღმოჩენა ფიჭვნარში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. როგორც ცნობილია, ანტიკური სამყაროს რიგ რაიონში დიდი ხნის განმავლობაში ქ. ქიზიკის მონეტები ასრულებდნენ საერთაშორისო, ინტერლოკალური მონეტების ფუნქციას. ათენი თავის ძლიერების ხანაშიც, საკუთარ მონეტებთან ერთად, არა მარტო მიმოქცევაში ტოვებს ქიზიკინებს, არამედ ქიზიკის ზარაფხანას თავის ფილიალად აქცევს **(კახიძე, 1974:82; Кахидзе, 1974:88-92).**

არანაკლებ მნიშვნელოვანია ფიჭვნარში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ქალაქების მონეტების აღმოჩენა: პანტიკაპეონის (ძვ.წ.V), ნიმფეონის (ძვ.წ.Vს.), თეოდოსიისა (ძვ.წ.V ს.) და პანტიკაპეონის (ძვ.წ. V ს.) აპოლონიის ტაძართან დაკავშირებული მონეტები **(კახიძე, 1974:82; Кахидзе, 1974:88-92; კახიძე, 2007:140).** როგორც ჩანს, ფიჭვნარის ბერძენი მოახალშენეები არეგულირებდნენ სავაჭრო-ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობებს არა მარტო ატიკასთან, არამედ ისინი გამოდიოდნენ, ასევე, შუამავლის როლში ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნულ პოლისებს შორის არსებულ ურთიერთობშიც. სხვანაირად ფიჭვნარის ბერძნულ სამარხებში პანტიკაპეონის აპოლონიის, თვით პანტიკაპეონის, თეოდოსიის და ნიმფეონის საფასეების გამოჩენა გაუგებარი იქნებოდა **(კახიძე, 2007:140-141).**

დიდ ინტერესს იწვევს ფიჭვნარში სინოპური მონეტების გამოვლენა: ყველაზე ადრეული დრაქმები (3 ცალი) ძვ.წ V საუკუნით თარიღდება **(კახიძე, 1974:82; Кахидзе, 1974:88-92).** ქრონოლოგიურად მომდევნო ხანისაა ძვ.წ 360-320 წწ. მოჭრილი დრაქმები, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს აღწევს **(კახიძე, 2007:139; კახიძე, ვიკერსი, 2004:40 სურ.87).** ძვ.წ. IV ს. სინოპური დრაქმა აღმოჩენილია, აგრეთვე, ბათუმთან ახლოს, სოფ. განთიადშიც **(ვარშალომიძე, 1996:31).** ფიჭვნარიდან გვაქვს ძვ.წ. III საუკუნეში მოჭრილი სინოპური მონეტებიც **(კახიძე, ვიკერსი, 2014:170; კახიძე, ვიკერსი, თავამაიშვილი, 2007:65).** ცნობილია, რომ ათენის პოლიტიკაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა სინოპე. ათენი მისი საშუალებით ახორციელებდა ამა თუ იმ რაიონის ეკონომიკურ ათვისებას, ახალი კოლონიების გაყვანას. ფიჭვნარსა და სინოპეს შორის მჭიდრო უშუალო და

პირდაპირი კონტაქტების არსებობა მთელი კლასიკური და ელინიზმის ეპოქისათვის არავითარ ეჭვს არ იწვევს.

საინტერესოა ფიჭვნარში ძვ.წ. IV საუკუნის სიცილიაში, სირაკუზში მოჭრილი მონეტის აღმოჩენა. რაც, რა თქმა უნდა, ბერძნულ სამყაროსთან კონტაქტებით უნდა აიხსნას **(ვარშალომიძე, 2005:53; ვარშალომიძე, 2016:11, სურ.10).**

აღმოსავლეთ შავისზღვისპირეთში გვაქვს, აგრეთვე, მონეტებით მდიდარი გვიანანტიკური ხანის ძეგლებიც (გონიო, მახო, ციხისძირი).

რომის ექსპანსია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსაც შეეხო. კოლხეთი რომის მცირეაზიული პროვინციის შემადგენელი ნაწილი გახდა. იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების დაცვის მიზნით შენდებოდა რომაული ციხესიმაგრეები, ე.წ. კასტელები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გონიო-აფსაროსი. იტალიასა და ეგვიპტეში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლების, წერილობითი ცნობების, შემთხვევითი მონაპოვრებისა და გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ ახ.წ. I-III სს. აჭარის ზღვისპირეთი ჩართულია მსოფლიო ისტორიულ პროცესებში

გონიო-აფსაროსში გამოვლენილი ყველაზე ადრეული მონეტა მიეკუთვნება ანტიგონა გონატას (ძვ.წ. 277/239 წწ.) და იგი მოჭრილია მაკედონიაში. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მონეტა საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ არ აღმოჩენილა. ძვ.წ IV საუკუნის მაკედონიაში მოჭრილი მონეტები ცნობილია მხოლოდ ვანიდან. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ელინისტურ ხანაში გონიოში არსებობდა დასახლებული პუნქტი. ამიტომ,

ძვ.წ. III საუკუნის მონეტის გამოვლენა გაოცებას არ უნდა იწვევდეს **(ვარშალომიძე, 2009:8).**

გონიოს ნუმიზმატიკური მასალის რომაული პერიოდი წარმოდგენილია 150 მონეტით (I-III სს.). მონეტების შესწავლა გონიო-აფსაროსის სამონეტო მიმოქცევის პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შემდეგ სურათს გვიხატავს:

პირველი საუკუნის მონეტები – 29 ცალი. მათგან ყველაზე ადრეულია ტიბერიუსის (14-37 წწ.) სახელით ლუგდუნუმში (გალია) მოჭრილი დენარი, ჰიპეპრიას (37/38-38/39) სახელით ბოსფორის სამეფოში გამოშვებული სპილენძის მონეტა, აგრიპა I ჰეროდეს (37-44 წწ.) იუდეაში მოჭრილი სპილენძის საფასე. ქრონოლოგიურად მომდევნო პერიოდისაა ანტიოქიაში (სირია) მოჭრილი სპილენძის მონეტების ჯგუფი – 15 (5 – ნერონი (54-68 წწ.); 3 – დომიციანე (81-96 წწ.); 7 – ზოგადად I საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება); ვესპასიანეს (69-79წწ.) დენარები – 4 (1 – რომი, 1 – ეფესო, 2 – ზარაფხანა არ განისაზღვრა ცუდად დაცულობის გამო); ტიტუსი (79-81 წწ;) – 1, გადარა (დეგაპოლია). გარდა ამისა, 1998 წელს აღმოჩენილ განძში II-III სს. მონეტებთან ერთად იყო I საუკუნეში მოჭრილი 6 მონეტა: ტიბერიუსის დენარი, ვესპასიანეს რომში მოჭრილი დენარი და 4 პოლემონ II (49-63 წწ.) დრაქმა.

ამრიგად, I საუკუნის მონეტების უმრავლესობა მოჭრილია ანტიოქიაში – 15. 4 – პონტოს სამეფოში, 2 – რომში, 2 – ლუგდუნუმში, თითო-თითო ბოსფორში, იუდეაში, გადარაში, ეფესოში. მონეტების უმრავლესობა სპილენძისაა (18 ც.) დომინირებს I საუკუნის შუახანებსა და მეორე ნახევარში მოჭრილი ფულები.

მეორე საუკუნე წარმოდგენილია 36 მონეტით: ტრაიანე (98-117 წწ.) – 4 (კესარია, ნეოკესარია, ტრაპეზუნტი, რომი); ადრიანე

(117-138 წწ.) – 8 (6 – კესარია, 1 – აღმოსავლეთის ზარაფხანა, 1 – არ განისაზღვრა); ფაუსტინა I (+141 წ.) – 2 (1 – რომი), ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.) – 5 (2 – რომი, 3 – კესარია), კომოდუსი (180-192 წწ.) – 3 (2 – ტრაპეზუნტი); სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.) – 2 (1 – აღმოსავლეთის ზარაფხანა 1 – რომი). გარდა ამისა, გონიოს განძში შედის II საუკუნის 12 მონეტა: ტრაიანე – 3 (რომი); ადრიანე – 5 (2 – რომი, 3 – კესარია); ანტონინუს პიუსი – 1 (რომი); ფაუსტინა II (161-176 წწ.) – 1 (რომი), მარკუს აურელიუსი (161-180 წწ.), ან კომოდუსი – 1 (რომი); კომოდუსი – 1 (რომი).

II საუკუნის მონეტების უმრავლესობა მოჭრილია რომში – 15; 13 – კესარიაში, 2 – აღმოსავლეთის ზარაფხანაში, 3 – ტრაპეზუნტში, 1 – ნეოკესარიაში. 36 მონეტიდან 10 სპილენძია, დანარჩენი ვერცხლი (18 – დენარი, 6 – დიდრაქმა, 3 დრაქმა, 1 – ნახევარდრაქმა).

III საუკუნე მოცემულია 38 მონეტით: სეპტიმიუს სევერუსი 4 (1 – რომი, 1 – კესარია, 2 – ტრაპეზუნტი); იულია დომნა (+ 217 წწ.) – 3 (1 კესარია); კარაკალა (211-217 წწ.) – 1 (კესარია); კარაკალა, ან გეტა (211-212 წწ.) – 1; გორდიანე III (238-244 წწ.) – 3 (1 – კესარია, 1 – სინოპე); ტრანკულინა (238-244 წწ.) – 1 (ტრაპეზუნტი), ავრელიანე (270-275 წწ.) – 2 (თესალონიკე). განძში შედის 23 ცალი III საუკუნის მონეტა: სეპტიმიუს სევერუსი – 9 (1 – რომი, 8 – კესარია).

III საუკუნის მონეტების უმრავლესობა – 23 მონეტა – მოჭრილია კესარიაში, 5 – რომში, 3 – ტრაპეზუნტში, 2 – თესალონიკეში, 1 – სინოპში. ანალოგიური სურათია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ძეგლებზეც (პიტიუნტი, სოხუმი) **(ვარშალომიძე, 2009:57-60).**

გონიო-აფსაროსის მახლობლად, მდ. ჭოროხის სანაპიროზე, სოფელ მახოში არქეოლოგიური შესწავლისას აღმოჩნდა რომაული ხანის მონეტები, რომლებიც მოჭრილია სევერინას (270-275 წწ.), პრობუსის (277-282 წწ.), დიოკლეტიანეს (264-305 წწ.) და სხვ. სახელებით **(ვარშალომიძე, 2016:26-28).** რასაკვირველია, აღნიშნული საფასებიც რომაული გარნიზონის საქმიანობას უნდა უკავშირდებოდეს.

რომაული ხანის მონეტები აღმოჩენილია ციხისძირის არქეოლოგიური შესწავლისას – 20 ცალი სპილენძისა და ვერცხლის მონეტა. ისინი მოჭრილია შემდეგი იმპერატორების სახელებით: დომიციანეს (81- 96 წწ.), ადრიანეს (117-138 წწ.), ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.), სეპტიმიუს სევერუსის(193-211 წწ.), კარაკალას (211-217 წწ.), გორდიანეს (238-244 წწ.), დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) და სხვ. სახელებით (ინაიშვილი, 1993:98-99). ციხისძირში აღმოჩენილი რომაული მონეტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გვიანანტიკურ ხანაში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, სამონეტო მიმოქცევის ხასიათით არ განსხვავდება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ცენტრებისგან **(ინაიშვილი, 1993:100).**

ამრიგად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (აჭარა) ადრეანტიკური ხანიდანვე სამონეტო მიმოქცევისა და ფულადი მეურნეობის ერთ-ერთი პირველი კერაა საქართველოში. ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობამ მოიტანა უცხოური მონეტების მიმოქცევისა და ადგილობრივი კოლხური თეთრის ემისია. მონეტების სიმრავლე და მრავალფეროვნება მოწმობს, რომ ეს რაიონი სავაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით განვითარების მაღალ დონეზე მდგარა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვარშალომიძე, 1996: – ვარშალომიძე ი., სინოპური მონეტა სოფელ განთიადიდან, საისტორიო მაცნე, ბსუ ისტორიის კათედრის კრებული, ბათუმი, ბსუ გამომცემლობა, გვ.31-32.

ვარშალომიძე, 2005: – ვარშალომიძე ი., სირაკუზის მონეტა ფიჭვნარიდან, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, III, ბათუმი, გამომც. „ჯეოპრინტი“, გვ.53-54.

ვარშალომიძე, 2009: – ვარშალომიძე ი., მონეტები გონიო-აფსაროსიდან, ბათუმი, ბსუ გამომცემლობა.

ვარშალომიძე, 2016: – ვარშალომიძე ი., ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ნუმიზმატიკური საგანძური, ბათუმი, გამომც. „კოლორი“.

ინაიშვილი,1993: – ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ.წ. I-VI ს. არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, მეცნიერება.

კახიძე, 1974: – კახიძე ა., ფიჭვნარის სამაროვანზე 1967-1968 წლებში აღმოჩენილი უცხოური მონეტები. – მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია), 13, გვ.79-85.

კახიძე, ვიკერსი, 2004: – კახიძე ა., ვიკერსი მ., ფიჭვნარი I – კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1998-2002), ბათუმი-ოქსფორდი, გამომც. „კოლხები“.

კახიძე, 2007: – კახიძე ა., ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი, ფიჭვნარი II, ბათუმი-ოქსფორდი, გამომც. „ინოვაცია“.

კახიძე, ვიკერსი, თავამაიშვილი, 2007: – კახიძე ა., ვიკერსი მ., თავამაიშვილი გ., ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 2003-2004 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, IV, ბათუმი, გვ.53-85

კახიძე, ვიკერსი, ვარშალომიძე, 2010: – კახიძე ა., ვიკერსი მ., ვარშალომიძე ი., კოლხური თეთრის ახალი ნომინალები ფიჭვნარიდან (ჰემიტეტარტემორიონები), თსუ კულტუროლოგიის დეპარტამენტის კრებული, თბილისი, გვ. 124-127.

კახიძე, ვიკერსი, 2014: – კახიძე ა., ვიკერსი მ., საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია 2003-2007, ფიჭვნარი VI, ბათუმი-ოქსფორდი, გამომც. „ინტერპრინტჯორჯია“.

Кахидзе, 1974: – **Кахидзе А.,** Иноземные монеты могильника Пичвнари. – ВДИ. 13. გ. 88-92.

ტაბულა:

1 2

3 4

5 6

7 8

9 10

11 12

1. ქიზიკინი, ძვ.წ.V ს., ფიჭვნარი;
2. სინოპე, ძვ.წ.V ს., ფიჭვნარი;
3. თეოდოსია, ძვ.წ.V ს., ფიჭვნარი;
4. ნიმფეონი, ძვ.წ. V ს., ფიჭვნარი;
5. კოლხური თეთრი, ძვ.წ. V-III ს., ფიჭვნარი;
6. სინოპე, ძვ.წ. IV ს., ფიჭვნარი;
7-8. სინოპე, ძვ.წ. III ს., ფიჭვნარი;
9. ნერონი (54-68), ანტიოქია, გონიო;
10. ტრაიანე (98-117), ნეოკესარია, გონიო;

11. პრობუსი (277-282), მახო;
12. დიოკლეტიანე (284-305), მახო.

IrineVarshalomidze

Antique coins from eastern Black Sea Coast (Adjara)

Summary

Eastern Black Sea coast (Adjara) has been a place of monetary circulation since early antiqueperiod. Relations with the antique world brought the inflow of foreign coins as well as emergence of the local monetary circulation called Colchiantetri. In eastern Black Sea coast (Pichvnari) there are discovered Cyzicenes, Sinopean drachmas, and coins from Panticapaeum, Nymphaeum, Theodosia, Syracuse (IV century BC). We also have unique or common types of Colchaintetra as well. Above mentioned region is rich in Roman period coins too. In Gonio, Makho and Tsikhisdziri we have discovered coins minted in Caesarea, Rome, Trabzon, Neocaesarea, Sinop and Antioch. Amount and diversity of coins points to the high level of commercial and economic development.

პაატა გიორგაძე

საქართველოს სასმელი წყლის რესურსების კონკურენტუნარიანი ეკონომეტრია და მისი გამოყენება ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის

შესავალი

ადამიანის სიცოცხლე იწყება ნაყოფის სახით, რომელიც 99% წყლისგან შედგება. როცა ადამიანი იბადება, წყალი მისი სხეულის 90%-ს შეადგენს, ხოლო იმ დროისათვის, როცა მოწიფულ ასაკს აღწევს, წყლის შემცველობა 75-80%-მდე მცირდება. ერთი სიტყვით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ადამიანი ძირითადად წყლით არსებობს.

წყალს გააჩნია ინფორმაციის კოპირებისა და შენახვის უნარი, იგი დედამიწის გარშემო ცირკულირებს, გადის ჩვენს სხეულს და მთელს მსოფლიოს ეფინება. ჩვენ რომ შეგვეძლოს წყლის მეხსიერებაში შენახული ინფორმაციის წაკითხვა, გავიგებდით ეპიკური მასშტაბების ისტორიას.

ადამიანის ძლიერ ემოციებს შეუძლიათ დაავადების გამოწვევა, რომლის განკურნებაც შესაძლებელია ჰარმონიული სტრუქტურის მქონე სასმელი წყლის მეშვეობით. მრავალი მკვლევარი ადასტურებს, რომ გაღიზიანებისას ადამიანის ორ-განიზმში გარკვეული რაოდენობის ვერცხლისწყლის წარმოქმ-

ნა ხდება. გაღიზიანება წარმოადგენს მომწამვლელ ემოციას ადამიანისათვის. მრისხანებისას ორგანიზმში ტყვია მატულობს, სევდა-მწუხარებისას ალუმინი, ხოლო ეჭვიანობისას ყველაზე მეტად კადმიუმი წარმოიქმნება. ორგანიზმში ყველა ამ მომწამვლელ ნივთიერებების წარმოქმნის გამომწვევი ემოციების მართვა, მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის მეშვეობითაა შესაძლებელი, წყალი ჩვენი მსმენელი და მრჩეველია. წყალი აძლიერებს ნერვულ სისტემას და ამაღლებს იმუნიტეტს.

მიწისქვეშა ბუნებრივი მაღალხარისხიანი სასმელი წყალი ხელს უწყობს ორგანიზმის გაწმენდას წიდებისა და მავნე ნივთიერებებისაგან, ზრდის ადამიანის ინტელექტს, აადვილებს თირკმლებისა და საშარდე სისტემის მუშაობას, აუმჯობესებს გულისა და ღვიძლის მუშაობას. ადამიანები ძალების მოზღვავებას გრძნობენ, ახლდება ორგანიზმის ყველა უჯრედი.

გამოყენებული სიტყვები: სასმელი წყალი, რესურსული პოტენციალი, წყლის ხარისხი, გლობალური პარტნიორობა, ეკონომიკური მდგომარეობა, სასმელი წყლის კრიზისი, ბიუჯეტი, კაპიტალიზაცია, ტექნოლოგია, საფონდო ბირჟები, ეკონომეტრია, კვლავწარმოება, მაღალექსპორტირებადი, არქიტექტრონიკა.

ძირითადი ნაწილი

ჩვენს მიერ მაკროეკონომიკური ძირითადი ნაწილი კვლევების საფუძველზე შექმნილი "ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ძირითად სტრატეგიული მიმართულებები" კონცეფცია-

პროგრამის შესაბამისად[1], სასმელი წყლის რესურსული პოტენციალი გახლავთ ჩვენი ქვეყნის "კონკურენტუნარიანობის" განმსაზღვრელი ეკონომეტრი, ხოლო მიწისქვეშა სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგები როგორც "ადამიანისთვის აუცილებელ სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტი", წარმოადგენს "ეროვნულ სიმდიდრეს"[2].

უნდა გვახსოვდეს, რომ მილსადენით წყლის ტრანსპორტირება გავლენას ახდენს წყლის ხარისხზე. იგი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, იმუნიტეტსა და ჯანმრთელობაზე. ამიტომ ქალაქგეგმარებისა და ურბანული განვითარების პროცესში უნდა შევეცადოთ, რომ მაქსიმალურად იქნეს შემცირებული მანძილი წყლის სათავე ნაგებობიდან მომხმარებლამდე.

საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მთელ სამყაროში მტკნარი წყლების მარაგებით, მის არეალში ირიცხება 26060 მდინარე, რომლთა საერთო სიგრძე 59 ათასი კმ-ია, მდინარეთა მეათედი სათავეებიდან დინების მიმართულებით 1 კმ^2 რადიუსით ქმნიან უმაღლესი ხარისხის სასმელი წცლის პროდუქტს, იმ შემთხვევაში, თუ მისი დასაქონლებისას გამოყენებული იქნება ისეთი ტექნოლოგიები, რომელიც არ გამოიწვევს წყლის მიკრობიოლოგიურ და ქიმიურ შემადგენლობის ცვლილებას, მაშინ ამ რესურსული პოტენციალის მატერიალური ფასეულობა კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენებით ტრილიონიობით აშშ დოლარს აღემატება. მაგრამ პირდაპირი მნიშვნელობით ერთეული პროდუქციის მისაღებად მისი გამოყენება დაუშვებელია, ვინაიდან მდინარეებს, როგორც ენერგიის განახლებად წყაროს მეტად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სარგებლობის ფარდობითი უპირატესობით.

ჩვენი ქვეყანა უნდა დასპეციალდეს იმ საქონლის წარმოებაზე, რომლის ღირებულება ანუ ალტერნატიული ფასეულობა უფრო დაბალია, მაგრამ სხვა ქვეყნის მოსახლეობისათვის აუცილებელი და თანაც სასიცოცხლო დანიშნულებისაა. ასეთ რესურსულ პოტენციალად მაკროეკონომიკური კვლევებით დადასტურებულია მაღალხარისხოვანი მიწისქვეშა სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგი, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 573 $მ^3$/წმ-ში, ხოლო საექსპლოატაციო დასაშვები რაოდენობა 301 $მ^3$/წმ-ში, რაც დღე-ღამეში 26 მლრდ ლიტრის ექვივალენტია. ადამიანის დღიური ბიოლოგიური ნორმიდან გამომდინარე (2,5 ლიტრი) 7,5 მლრდ რაოდენობის მსოფლიო მოსახლეობის სასმელი წყლის სამომხმარებლო ბაზარს ყოველდღიურად ესაჭიროება 18,25 მლრდ ლიტრი სასმელი წყალი და ამ შემთხვევაში ჭარბი გვრჩება 7.75 მლრდ ლიტრი, აქედან გამომდინარე დასაბუთებულად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ საქართველოს გააჩნია ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების რესურსული პოტენციალი, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობისაა და ამ რესურსით რეალურადაა შესაძლებელია უზრუნველყოს სასმელი წყლით მსოფლიო მოსახლეობა მისი ფიზიკური გატანა-ტრანსპორტირების რეალური შესაძლებლობა რომ გააჩნდეს.

ამდენად, საქართველოს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით (ISO და HCCP) მიწისქვეშა ნატურალური სასმელი წყალი, ეს არის დაბინძურებისგან ბუნებრივად დაცული, მიწისქვეშა 5-სართულიან შრეების საბადოებიდან ამომავალი წყალი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სტაბილური ქიმიური შემადგენლობა, უნიკალური თვისებები, სტაბილური, ხარისხობრივი და რაოდნეობრივი მაჩვენებლები,

ტემპერატურა და რაც მთავარია, ბუნებრივი განახლებადობა ანუ კვლავწარმოების უნარი.

საქართველოსთვის მომგებიანი იქნება ივაჭროს მსოფლიო სამომხმარებლო ბაზარზე დაფასოებული სასმელი წყლით, იმის განთვალისწინებით, რომ მოცემული პროდუქციის წარმოებაზე ჩვენს ქვეყანას ექნება ყველაზე ნაკლები დანახარჯებით მაღალექსპორტირებადი სასაქონლო ფასეულობა, რაც ამ პროდუქტის აბსოლუტური უპირატესობის განმსაზღვრელია.

ამდენად, საქართველო უნდა გახდეს სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გამტანი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა მთელ სამყაროში, რასაც ადასტურებს მის არეალში არსებული მსოფლიო მნიშვნელობის რესურსული პოტენციალი მიწისქვეშა სასმელი წყლის მარაგების სახით.

დღეისათვის მსოფლიოში მიმდინარე, სასმელი წყლის შეუქცევადი კრიზისის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ ზოგადი დასკვნები და განზოგადებები:

– მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობებმა აღიარა, რომ სასმელი წყლის კრიზისის დაძლევა ავტონომიურ რეჟიმში შეუძლებელია, ამიტომ გადაწყვიტეს მის წინააღმდეგ ერთობლივად გაერთიანებული ძალებით ბრძოლა. ამასთანავე, აღიარეს, რომ სახელმწიფოების ჩარევის გარეშე კრიზისის დაძლევა შეუძლებელია. ამ კუთხით დიდი როლი შეასრულა 1996 წელს დაარსებულმა "წყლის გლობალურმა პარტნიორობამ", (წგპ, GWP) რომელიც აერთიანებს 130 ქვეყანას და შესაბამისად ამ ქვეყნის 114 სამინისტროს პირველ პირებს. ნიდერლანდებში მსოფლიო წყლის მეორე ფორუმზე ოფიციალურად განაცხადეს, რომ წყლის უსაფრთხოება წარმოადგენს XXI

საუკუნეში მდგრადი განვითარების ძირითად პრობლემას. ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება დამყარებულია მტკნარი წყლის არსებობასა და მის ხარისხზე. მოსახლეობისა და მრეწველობის ზრდასთან ერთად, მრავალი ქვეყანა განიცდის წყლის მკაცრ დეფიციტს, რაც ხელს უშლის მათ შემდგომ განვითარებას.

– კრიზისმა დაანახა მსოფლიოს, რომ მაღალრეიტინგული ორგანიზაციების-გაეროს წყლის პრობლემათა შემსწავლელი კომისიის, ადამიანის ფონდის, წყლის რესრუსების ინტეგრირებული მართვისა და სხვა მრავალი დარგობრივი უწყებების მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიუხეავად რიგ ქვეყნებში, კერძოდ აზიაში, ყოველი მესამე ადამიანისთვის ხელმისაწვდომია უსაფრთხო მტკნარი წყალი, მხოლოდ ამ რეგიონში უხარისხო წყლისგან შეძენილი ინფექციური დაავადებებისგან ყოველწლიურად იღუპება 500 000 ბავშვი.

მიწისქვეშა წყლების გამოფიტვამ და უმძიმესმა ეკოლოგიურმა პრობლემებმა, გამოიწვია ერთ სულ მოსახლეზე წყლით უზრუნველყოფის შემცირება 10000 $მ^3$-დან 50-იან წლებში, 4200 $მ^3$-მდე 90-იან წლებში. დღეისათვის ეს ციფრი 3000 $მ^3$-მდეა შემცირებული. დასავლეთი აზია განიცდის განსაკუთრებულ ზეწოლას მიწისქვეშა წყლის რესრუსებზე, სადაც გამოყენება ბევრად აღემატება მარაგის შევსებას.

– დღის წესრიგში დადგა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა. მსოფლიო წყლის კომისიამ მოახსენა მინისტრების კონფერენციას ჰააგაში, რომ, თუმცა გასულ წელს 70 მლრდ ევრო დაიხარჯა წყლის მართვაზე, საჭიროა დამატებით 170 მლრდ ევრო, რათა გადაწყდეს წყლის ხელმისაწვდომობისა და სანიტარიის პრობლემები მილიარდობით

ადამიანისთვის და შევინარჩუნოთ ბუნებრივი გარემო. ამ სხვაობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია მოვიზიდოთ საზოგადოება და კერძო სექტორი. ღარიბებისათვის მომსახურების უზრუნველსაყოფად. ჩვენ უნდა ვიპოვოთ ახალი ეკონომიკური მეთოდები, ფინანსური მექანიზმები, შესაძლოა კაპიტალის გლობალური ბაზრების გამოყენება.

– დაიწყო დისკუსია ნიუ-იორკის და მიჩიგანის შტატის ტექნოლოგიური უნივერსიტეტების მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგების თაობაზე, რომლებიც ასკვნიან, რომ დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 80% ანუ თითქმის 5 მილიარდზე მეტი ადამიანი უახლოეს მომავალში სასმელი წყლის გარეშე დარჩება.

კვლევის ავტორთა ინფორმაციით, სწორედ მათ ჩაატარეს მსოფლიოს წყლით მომარაგების საკითხის პირველი გლობალური ანალიზი და სამწუხაროდ, კატასტროფულად მზარდი, საგანგაშო საფრთხეების გარდა, იმედისმომცემი ვერაფერი აღმოაჩინეს.

სასმელად ვარგისი წყლის რეზერვუარების მდგომარეობა ამერიკელმა მეცნიერებმა 23 სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით შეისწავლეს, მათ შორის დამბების და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობების შედეგების, სოფლის მეურნეობისგან გამოწვეული დატვირთვისა და გარემოს დაბინძურების კუთხით.

სასმელი წყლის მარაგის ნაკლებობა უკვე 2015 წლიდან გახდა საგრძნობი, შემდგომში კი ეს პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებს, მიიჩნევენ ამერიკელი მეცნიერები.

აშშ-ს დაზვერვის ეროვნული საბჭოს მიერ მომზადებული მოხსენებების “გლობალური ტენდენციები და ცვალებადი სამყარო”-თანახმად, პერსპექტივაში მსოფლიო ეკონომიკური

წესრიგის მკარნახებელი და მთავარი მოთამაშეები იქნებიან - ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი. გარდა ამისა, გაგრძელდება კაპიტალის გადადინება დასავლეთიდან აღმოსავლეთში, მსოფლიო ეკონომიკის ზრდა მიგვიყვანს რესურსების კატასტროფულ უკმარისობამდე, რაც ზრდის საერთაშორისო კონფლიქტების წარმოშობის ალბათობას. აშშ-ს დაზვერვის ეროვნული სამსახური საჯაროდ აცხადებს, რომ არც თუ შორეულ პერსპექტივაში ჩინეთი გახდება მსოფლიო ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ლიდერი და აშშ დაკარგავს თავის დომინირებად პოზიციას მსოფლიო არენაზე.

მსოფლიოს ზოგიერთი წარმატებული ქვეყანა ვერ გაუძლებს სასმელი წყლის კრიზისს და მეტად რთული, პრობლემატური საკითხების მოსაგვარებლად საფრთხისშემცველი ნაბიჯების გადადგმა მოუწევს. დღეისათვის მსოფლიოში 500-მდე კონფლიქტი მოხდა წყლის რესურსების გამო, აქედან 150 კონფლიქტში გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი. მეცნიერები აღნიშნავენ რომ შესაძლებელია მე-3 მსოფლიო ომი მტკნარი წყლის გამო დაიწყოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, საქართველოს მთავრობის დღის წესრიგში დადგა ქართველი მეცნიერების მიერ შემუშავებული, წყლის რესრუსების რაციონალური გამოყენებით “ახალი ფინანსური არქიტექტრონიკით” მშენებლობის აუცილებლობა, აგროსაკრედიტო-სავალუტო სისტემის ფორმირება და დღემდე მოქმედი სისტემის ტრანსფორმაციის აუცილებლობა.

საქართველოში დღემდე მიმდინარე სოციალურ-ეკნომიკურმა კრიზისმა გამოავლინა, რომ მეცნიერული კვლევის შედეგებს მთავრობები არ იყენებენ სათანადო დონეზე, ხოლო დასკვნებსა და წინადადებებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ამის მკაფიო მაგალითია მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებული "ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის ძირითადი სტრატეგიული მიმართულება", რომელიც ემყარება საქართველოს არეალში არსებული ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო მარაგების მაკროეკონომიკურ კვლევებსა და შრომებს, რითაც გამოვლენილი და დადსტურებულია მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი უპირატესობის მქონე მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალი, მიწისქვეშა სასმელი წყლების სახელმწიფო მარაგების ეკონომიკური მნიშვნელობა და მისი გამოყენების ინოვაციური გზები ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ამ მიზნით, მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების შეჯერების საფუძველზე შედგენილი იქნა ბიზნეს-გეგმა "ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია", რომელიც ასაბუთებს თუ როგორ გავზარდოთ ქვეყნის ეკონომიკა დროის უმოკლეს პერიოდში, როგორ გავზარდოთ ბიუჯეტი და როგორ შევქმნათ მრავალრიცხოვანი სამუშაო ადგილები, სახელმწიფო სამეურნეო კომერციული საქმიანობის გამჭვირვალობის ფონზე.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დარგობრივი მიმართულების ექსპერტთა მიერ დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე, უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა სასმელი წყლის სარესურსო ფონდის კაპიტალიზაციის ტექნოლოგიებისა და მსოფლიო ფინანსურ რესრუსებში ჩართვის მექანიზების გამოყენების გზით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის რეალურ შესაძლებლობას, რაშიც სახელმწიფოს როლი გამოხატულია მარეგულირებელი ბერკეტების გამოყენებით ეკონომიკის ფუნქციონერობის ხელშემწყობი გარემოს

შექმნაში. ხოლო, მიწისქვეშა სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგების, როგორც ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მატერიალიზება ფასიანი ქაღალდების: აქციების, ობლიგაციებისა და თამასუქების სახით, ინდუსტრიული წარმოების შედეგად მიღებული ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქციის გაზრდილ მოცულობაზე მიბმით - ქმნის მისაღებ ფინანსურ ინსტრუმენტს, მისი ზრდის პერსპექტივებით.

აღნიშნული მოდელი იძლევა მსოფლიო მნიშვნელობის უმაღლესი კლასის საბანკო გარანტიების მაფორმირებელ რეალურ მატერიალურ ფასეულობებს, შეღავათიანი ფულადი რესურსების მოსაზიდად. სტრატეგიული მნიშვნელობის დარგობრივ-ეკონომიკური პროექტების დასაფინანსებლად, ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ.

დასკვნა

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია იმითაც, რომ მასში სახელმწიფოებრივი მიდგომებითაა დასაბუთებული თუ როგორ დავძლიოთ სიღარიბე და შევქმნათ საშუალო ფენა, როგორ გავზარდოთ სახელმწიფო ბიუჯეტი და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა, რითაც საფუძველი ჩაეყრება ერთიანი ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს რეალურ მშენებლობას, მშვიდობიანი რეგიონალური ეკონომიკური სივრცით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, როდესაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობები შეშფოთებულია სასმელი წყლის დეფიციტით, მოსალოდნელი კატაკლი-

ზების გამო გამუდმებით ეძებენ კრიზისიდან გამოსვლის გზებსა და ღონისძიებებს, საქართველოს მთავრობამ არ უნდა შეინარჩუნოს ოლიმპიური სიმშვიდე და სასწრაფოდ უნდა დაიწყოს სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება. არადა, ფაქტობრივად, საქართველოში ადგილი აქვს როგორც ფინანსურ კრიზისს, ასევე, ეკონომიკურ რეცესიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. გიორგაძე და სხვები, საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია-პროგრამა „მითი, ქცეული რეალობად“, თბილისი, 2004-2012 წწ.
2. სერტიფიკატი №1377: ნ. ჩხეიძე, ზ. ციხელაშვილი, პ. გიორგაძე, „წყალი – ეროვნული სიმდიდრეა“, „მითი, ქცეული რეალობად.“ გაც. „საქპატენტი“, 2006 წ.

Paata Giorgadze

Georgian Drinking Water Resources and the Use of the Country's Rapid Development of Competitive Econometrics

Summary

It should be noted that today, when almost all the world's governments are concerned about the shortage of drinking water, due to the impending cataclysm, and constantly looking for ways out of the crisis and the measures that the government does not have to keep calm and to immediately begin the State of the Olympic program. They are in fact in Georgia have both the financial crisis and economic recession.

ბიჭიკო დიასამიძე
ოლეგ ჯიბაშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების 2016 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

განყოფილების უფროსი: ბიჭიკო დიასამიძე (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი).

განყოფილების პერსონალური შემადგენლობა:

1. ბიჭიკო დიასამიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი)
2. ნინო ინაიშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)
3. გიორგი თავამაიშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)
4. ოთარ თურმანიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)
5. უჩა ოქროპირიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)
6. მაია ჭიჭილეიშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)
7. ოლეგ ჯიბაშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)
8. ირინე ვარშალომიძე (მეცნიერი თანამშრომელი)

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვა-ნელი	პროექტის შემსრულებ-ლები
	სამეცნიერო პრობლემა – სამხრეთ-დასავლეთ საქარ-თველოს ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემები **თემა** – აჭარის ადმინის-ტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ისტორია **ეტაპი** – ხელვაჩაურის მუნი-ციპალიტეტი (ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა)[2]	ბიჭიკო დიასამიძე	ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლები
	წლიური შრომები		
1	ხელვაჩაურის მუნიციპალი-ტეტი აჭარის ადმინისტრა-		ბიჭიკო დიასამიძე

[2] თემა ნაწილია ხუთწლიანი (2013-2017) პროექტისა „აჭარის ადმინისტრა-ციული ერთეულები“. 2013 წელს შესწავლილ იქნა ხულოს მუნიციპალიტე-ტი, 2014 წელს – შუახევის მუნიციპალიტეტი, 2015 წელს – ქედის მუნი-ციპალიტეტი;

	ციულ-ტერიტორიულ სტრუქტურაში უძველესი დროიდან 2010 წლამდე		
2	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ისტორია (უძველესი დროიდან 1990 წლამდე), ქვეყნის უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილი (საერთაშორისო მისიები, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები, 2008 წლის ომი).		უჩა ოქროპირიძე
3	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, კომუნიკაციის საშუალებები), მიგრაციული პროცესები, დეპორტაცია, რეპრესიები		ოთარ თურმანიძე
4	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოციალური ისტორიის საკითხები (ჯანმრთელობის დაცვა, სპორტი, ტურიზმი)		ოლეგ ჯიბაშვილი

5	ხელვაჩაურის მუნიციპალი-ტეტის არქეოლოგიური ძეგლები		ნინო ინაიშვილი, გიორგი თავამაიშვილი, ირინე ვარშალომიძე
6	ხელვაჩაურის მუნიციპა-ლიტეტის საკულტო ძეგლების არქიტექტურა		მაია ჭიჭილეიშვილი

განყოფილების წლიური შრომების საერთო ანოტაცია

წარმოდგენილ წლიურ ნაშრომებში ნივთიერი და წერილობითი წყაროების, ზეპირი გადმოცემების, აგრეთვე, არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შეჯერება-ანალიზის საფუძველზე ასახულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ისტორია. განხილულია მისი ბუნებრივი პირობები, ადმინისტრაციული საზღვრები, ფლორა და ფაუნა, წიაღისეული, წყლები; ნათქვამია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორია ადამიანს ქვის ხანიდან აუთვისებია და ინტენსიური ცხოვრება ჩანს ნეოლითის ხანიდან. ადრებრინჯაო-რკინის ხანაში აქ ადამიანი ლითონის დამუშავებას ეწეოდა, რასაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქურა-სახელოსნოები ადასტურებენ. რამდენადაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადიოდა უძველესი სავაჭრო გზები, იგი ადრიდანვე აღმოჩნდა ანტიკური სამყაროს ყურადღების ცენტრში, რისი დასტურიცაა ბათუმგორის ურბანისტული დასახლების გაჩენა ძვ.წ-ის VII-VI საუკუნეებიდან, შემდეგ კი აფსაროს-გონიოს ციხე-ქალაქის გაჩენა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, მისი მო-

სახლეობა ეთნოგრაფიული აჭარის ნაწილია და ამ ტერიტორიაზე არსებული ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ კულტურული ძეგლები აქაური მოსახლეობის შრომის, თავდაცვის, ბრძოლის, კულტურული ცხოვრების ანარეკლია. ამ კუთხითაა წარმოდგენილი ნაშრომებში განხილული მაჭახლის ხეობაში არსებული **გვარას (კისერას)** და **ჩხუტუნეთის (ყალევაკეს),** ყოროლისწყლის ხეობაში – **ყოროლისწყლის, ბათუმის** ციხეები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თაღოვანი ხიდები **(მირვეთის, ჩხერის, ორთაბათუმის, ცხემლარას**), ქვაში ნაკვეთი საწნახლები (**ჩხუტუნეთი, ყოროლისთავი**), თოვლის შესანახი დიდი ორმოები (ყუები), შემთხვევით თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მიწაში ჩამარხული ქვევრები (**ყოროლისთავი, მახო**...), საკულტო ძეგლები (ეკლესიები: **ორთაბათუმი, ახალშენი, სამება, კვესელაური, სარფი...** მეჩეთები: **ხელვაჩაური, ჩხუტუნეთი, მარადიდი** ...) და სხვა.

ნაშრომებში ასახულია, აგრეთვე, თანამედროვე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მეურნეობის განვითარების (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა...), მოსახლეობის დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების დახასიათება, ნაჩვენებია დეპორტაციისა და რეპრესიების შედეგები, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების მდგომარეობა და აქაური მოსახლეობის წვლილი ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებაში. ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომებში ჩამოყალიბებულია წინადადებები და რეკომენდაციები.

I. 2. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**სტამბოლის სავანის ეპისტოლური და მემუარული მემკვიდრეობა;** ჰუმანიტარული და ქართველოლოგიური მეცნიერებები	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	შუშანა ფუტკარაძე	**ბიჭიკო დიასამიძე** (კონსულტანტი)
2	**ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კატალოგი**	აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; აჭარის არ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო; შპს „მარკა“;	**მაია ჭიჭილეიშვილი**
ანოტაცია გზამკვლევი (კატალოგი) შეიცავს ბათუმის არქიტექტურული				

ძეგლების შესახებ ტექსტურ ნაწილს და ფოტო-მასალას, 250 არ-ქიტექტურული ძეგლის ანოტაციას, მათი ურბანული მნიშვნე-ლობის, მესაკუთრეთა შესახებ არსებული ინფორმაციის, ქუჩის სტრუქტრაში მისი მხატვრული ღირებულებების, სტილისტური ნიშნების გათვალისწინებით.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორე ბი	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერ-დების რაო-დენობა
1	**ირინე ვარშალომიძე**	**ბათუმის არქეოლო-გიური მუზეუმის ნუმიზმატიკური საგანძური**	თბილისი, გამომც. „კოლორი“	85
ანოტაცია ნაშრომის შესავალში განხილულია სამონეტო მიმოქცევის თა-ვისებურებანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. შემდეგ მოდის მუზეუმში დაცული ნუმიზმატიკური ძეგლების კატალოგი. აღწერილია 102 მონეტა; კოლხური თეთრი, სინოპური, ჩრდილოეთ შავიზრვისპირეთის ქალაქების, კიზიკინები, ალ. მაკედონელის, ეგინური, რომაული, ბიზანტიური, არაბული, სელ-ჩუკური, მონღოლური, ევროპული მონეტები. მასალის დიდი ნა-წილი გამოუქვეყნებელია და პირველად შედის სამეცნიერო მი-მოქცევაში. ნაშრომი ორენოვანია. შესრულებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე.			

2	**ირინე ვარშალომიძე** (თანაავტ.: ი. ფაღავა, ს. თურქია)	**არაბული მონეტე-ბის მიმოქცევა სამ-ხრეთ-დასავლეთ საქართველოში,** – კრ.: ბათუმის არქე-ოლოგიური მუზე-უმის შრომები, VI (გამოცემა მთლია-ნად დაეთმო მონო-გრაფიას)	თბილისი. გამომც. „ჯეოპრინტი“	107
ანოტაცია მონოგრაფიაში განხილულია საქართველოსა და არაბების პო-ლიტიკური ურთიერთობები, არაბთა ლაშქრობები დასავლეთ სა-ქართველოში, არაბული მონეტების მიმოქცევის თავისებურებანი. ნაშრომში გამოქვეყნებულია ზოტისა და ხელვაჩაურის განძები, ასევე, აჭარის ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებული ცალკეუ-ლი ეგზემპლარების სრული კატალოგი, მოცემულია მეცნიერული კომენტარები, გამოყოფილია ახალი ნუმიზმატიკური რაიონი. მო-ზიდულია პარალელური მასალა. სამეცნიერო მიმოქცევაში შეტა-ნილია 180 ახალი მონეტა. ნაშრომს თან ახლავს ფოტოტაბულები.			

სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერ-დების რაო-დენობა
1	ავტორთა კოლექტივი	**აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი**	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა	404 გვ.

		რესურსები	რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	
ანოტაცია კრებული წარმოადგენს სახელმძღვანელოს ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, იგი საშუალებას მისცემს მათ საფუძვლიანად გაეცნონ აჭარის, მისი ცალკეული მუნიციპალიტეტების ისტორიას, ეკონომიკას, ბუნებას, მოსახლეობის ეთნიკურ და კონფესიურ სტრუქტურას, ტრადიციულ მატერიალურ და სულიერ საუნჯეს, ფოლკლორს, მეცნიერებას ხელოვნებასა და კულტურას, ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, ბუნების დაცულ ტერიტორიებს. სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტთა მომზადებას, რომელთაც შეეძლებათ სათანადო მომსახურება გაუწიონ სტუმრად ჩამოსულ ტურისტებს და მიაწოდოთ მათ საჭირო ინფორმაცია აჭარის შესახებ.				

კრებულები

#	ავტორი/ ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ბიჭიკო დიასამიძე**	**ისტორიული ეტიუდები, II,**	ბათუმი, გამომც. “შპს თეგი“	406 გვ.
ანოტაცია კრებულში შეტანილი ნაშრომების ერთ ნაწილში, სათანადო წყაროებზე დაყრდნობით, დაზუსტებულია ამა თუ იმ მოვლენის მიმდინარეობა და თარიღი, წარმოდგენილია ავტორის აზრი ამ				

ისტორიული მოვლენისადმი, ავტორი სხვადასხვა არგუმენტების მოტანით ცდილობს დაასაბუთოს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ან თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ზოგიერთი თვალსაზრისებისა და შეფასებების არა დამაჯერებლობა მკითხველს აძლევს საშუალებას თვითონაც ჩაერთოს ამ პოლემიკაში. კრებულში შესული ნაშრომების დიდი ნაწილი აჭარაში ქრისტიანობისა და ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის საკითხებს ეძღვნება. ოსმალური დოკუმენტებისა და სამეცნიერო ლიტერატურის დამოწმებით, შესრულებულია გამოკვლევები ბათუმის განაშენიანების, ,,ახალი ბათუმის“ შექმნის და ბათუმთან დამაკავშირებელი სახმელეთო გზების მშენებლობის შესახებაც.				
2	ავტორთა კოლექტივი	**,,ჩვენი სულიერების ბალავარი“-VIII**	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	451 გვ.
ანოტაცია კრებულში შეტანილია VIII საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, რომლებიც ეხება ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის, რელიგიისა და კულტურის, ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის, კულტურათა დიალოგის, სწავლებისა და აღზრდის და სხვა საკითხებს. კრებულში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, აჭარის ქრისტიანული საკულტო ძეგლების და ეპარქიის ისტორიის დაზუსტება-შესწავლას, შესაბამისი წყაროებისა და ლიტერატურის პოპულარიზაციას.				
3	ავტორთა კოლექტივი	**,,ბათუმი - წარსული და თანამედრო-ვეობა“-VII**	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო	460 გვ.

			უნივერსიტეტი ”	
ანოტაცია კრებულში შეტანილია მე-7 საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, რომლებიც ეხება ქალაქ ბათუმის ისტორიას, არქეოლოგიას, არქიტექტურას, ტოპონიმიკას, ქალაქის თანამედროვე ყოფის, კულტურის, ტურიზმის, კონფესიური ვითარებისა და დემოგრაფიის საკითხებს. კრებულში ასახვა ჰპოვა იმ რეკომენდაციებმა და წინადადებებმა, რომელიც ეხება ქალაქდაგეგმარების, ზღვის ნაპირგამაგრების, გონიო-ფიჭვნარს შორის საერთო ტურისტული ზონის შექმნის და სხვა საკითხებს				
4	ავტორთა კოლექტივი	**რუსთაველი და „ოქროს ხანის“ საქართველო**	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ”	120 გვ.
ანოტაცია საიუბილეო კრებულში წარმოდგენილი სტატიები ეძღვნება რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციებს, იმ დროის საქართველოს მეზობლებს, რუსთაველის პოემის სიდიადეს, მასში ასახულ რენესანსულ იდეებს და მის გავლენას ქართულ პოეზიაზე. ნაჩვენებია სახარებისეული მოტივები ,,ვეფხისტყაოსანში“ და წარმოდგენილია ,,ვეფხისტყაოსანი“ მითოლოგიური კრიტიკის თვალთახედვით.				

5	ავტორთა კოლექტივი	**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები I (VI)**	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	
ანოტაცია განყოფილების თემატურ კრებულში წარმოდგენილია ნაშრომები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, აჭარის ისტორიისა და არქეოლოგიის შესახებ, მასში შეტანილია, აგრეთვე განყოფილების 2015 წლის სამეცნიერო მუშაობისა და ჩატარებული ერთ-ერთი საველე ექსპედიციის ანგარიშები, აგრეთვე გაყოფილების მეცნიერი-თანამშრომლების მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომები (წიგნები), წინა ხუთი კრებულის ბიბლიოგრაფიები, რაც მკითხველს სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის, კვლევის სფეროს მასშტაბების და მკვლევართა სამეცნიერო დონისა და შესაძლებლობების შესახებ.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ბიჭიკო დიასამიძე**	**ციხის რაბათები აჭარისწყლის**	XII	ბათუმი, გამომც. “ბა-	36-47

		ხეობაში, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები		თუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტე-ტი”	
ანოტაცია ნაშრომში, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, ოსმალურიდან ქართულად თარგმნილ წყაროზე დაყრდნობით, წარმოჩენილი და გაანალიზებულია აჭარისწყლის ხეობაში მდებარე ციხეებთან (იორამის, ხიხაძირის, ტბეთის, კავიანის,) რაბათების (ვაჭარ-ხელოსანთა დასახლება) ფუნქციონირების შესაძლებლობის საკითხი და გაკეთებულია დასკვნა, რომ ეს ადასტურებს შუასაუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს, ამიტომ ავტორის აზრით, საჭიროა რაბათების სავარაუდო ადგილების არქეოლოგიური შესწავლა, რომ ეს ვარაუდი გამყარდეს.					
2	**ბიჭიკო დიასამიძე**	**დასავლურ ქართული ეკლესია და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესი,** კრ.: „სულიერების ბალავარი“	VIII	თბილისი, გამომც. ,,უნივერსალი“	101-109
ანოტაცია ნაშრომში გაანალიზებულია IX-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრების (ბიჭვინთა, სებასტოპოლისი, ფაზისი, პეტრა...) გაძლიერება-გაერთიანებისა და აფხაზთა საკათალიკოსოს წარმოშობის საკითხი, ამასთან ნაჩვენებია ის					

პოზიტიური ფუნქცია, რაც აქაურმა ეკლესიამ ითამაშა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების პროცესში. ახსნილია მეათე საუკუნეში ე.წ. ,,ძველ“ საეპისკოპოსოთა ,,ახლებით“ ჩანაცვლების მიზეზი – ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლებას გაადვილებოდა ,,აფხაზთა საკათალიკოსოს“ მცხეთისადმი დაქვემდებარება, მისგან ქვეყნის გაერთიანებაში დახმარების სანაცვლოდ.					
3	**ბიჭიკო დიასამიძე**	**ცისფერყანწელები და 1914-1920 წლების პოლიტიკური მოვლენები ბათუმში, –** ,,ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფების შექმნიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და მოხსენებათა თეზისები		ქუთაისი, გამომც. ,,ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	13-15

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია ცისფერყანწელთა მოღვაწეობის პირველი პერიოდი (1917-1920 წწ) და პოლიტიკური ვითარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აჭარა-ბათუმში. ნაჩვენებია ცისფერყანწელთა ცნობილი წარმომადგენლების (პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე) აქტიური მონაწილეობა აჭარაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში, მათი მწვავე გამოხმაურება ლექსებითაც.

4	**ბიჭიკო დიასამიძე** (თანაავტ.: ისტ. დოქტ. ოლეგ ჯიბაშვილი)	**აჭარა VI-XIX საუკუნეებში, –** კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"	29-38
ანოტაცია ნაშრომში წარმოდგენილია აჭარის VI-XIX საუკუნეების ისტორია კრებულის მიზანდასახულობის გათვალისწინებით. კერძოდ, ამ ისტორიული მონაკვეთის ძირითადი ეტაპები (ადრეფეოდალური ხანა, განვითარებული შუა საუკუნეები, ოსმალთა ბატონობის ხანა), განმანთავისუფლებელი ბრძოლა და VI-XIX სს-ში განვითარებული მოვლენები, ამ დროის თავდაცვითი საფორტიფიკაციო, საკულტო და სხვა სანახაობითი ობიექტები.					
5	**ბიჭიკო დიასამიძე**	**ქალაქ ბათუმის ხელახალი დაბადება**, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"	88-95
ანოტაცია ნაშრომში წარმოდგენილია ქალაქ ბათუმის საქალაქო ცხოვრების განვითარების ეტაპები ანტიკური პერიოდიდან დაწყებული და განსაკუთრებით ხაზგასმულია და ახსნილი ბათუმის საქალაქო ცხოვრებაში განხორციელებული ცვლილებების არსი XIX საუკუნეში. სტატიაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი					

ქალაქის განვითარებაში ახალ ტენდენციებს XXI საუკუნეში, როცა ქალაქი გააზრებულ იქნა, როგორც მსხვილი კულტურულ-საგანმანათლებლო, სანავსადგურო და ტურისტული ცენტრი. ჩამოყალიბებულია ქალაქის განვითარების ახალი კონცეფცია უახლოეს 8-10 წლის განმავლობაში, რომელიც ითვალისწინებს გონიოფიჭვნარის 30-კილომეტრიანი მონაკვეთის ერთიან ტურისტულ ზონად ჩამოყალიბებას.					
6	**ბიჭიკო დიასამიძე**	**საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციები რუსთაველის ხანაში,** - კრ.: რუსთაველი და ,,ოქროს ხანის“ საქართველო		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	7-21
ანოტაცია ნაშრომში წარმოდგენილია XII საუკუნის ბოლო მეოთხედის (რუსთაველის ხანა) სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციები, რომლებმაც ქვეყანა, ერთი მხრივ, ახლო აღმოსავლეთის უდიდეს და უმძლავრეს ქვეყნად აქცია და შექმნა პირობები კულტურის, განათლების, მეცნიერების განვითარებისათვის, მაგრამ მეორე მხრივ - ქვეყნის განვითარების დონეს აღარ შეესაბამებოდა მმართველობის სისტემა, რაც რეფორმებს და გარდაქმნებს მოითხოვდა. ამ წინააღმდეგობას ქვეყანაში ღრმა კრიზისი და საბოლოოდ მონღოლ-თათართა წინაშე მორჩილების გამოცხადება მოჰყვა.					
7	**ბიჭიკო**	**შიდამთიანი აჭარა**	IV	ბათუმი,	27-32

	დიასამიძე	**(ტურისტულ-მხა-რეთმცოდნეობითი ნარკვევი, –** კრ. „სამხრეთ-და-სავლეთ საქართვე-ლოს ეთნოლოგიის პრობლემები“		გამომც. “ბა-თუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტე-ტი”	
ანოტაცია სტატიაში ფოტოილუსტრაციით წარმოდგენილია აჭარის-წყლის ხეობაში არსებული მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი ობიექტები, ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მხარეები (ნიშნები), ისტორი-ისა და კულტურის ძეგლები, გამორჩეული ბუნებრივი ადგილები, სამზარეულო, რომელთა გაცნობა უეჭველად დააინტერესებს მნახველს.					
8	**ბიჭიკო დიასამიძე**	**აჭარა ვახუშტი ბატონიშვილის შრომების მიხედვით,** – კრ.: სამხრეთ-და-სავლეთ საქართ-ველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები	I (VI)	ბათუმი, გამომც. „ბა-თუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტე-ტი“	11-21
ანოტაცია ნაშრომში ვახუშტი ბატონიშვილის შრომებზე, ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განსხვავებული შეხედუ-					

ლებანი, ეთნოგრაფიული აჭარის საზღვრებისადმი და გაკეთებულია დასკვნა, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული აჭარა მოიცავდა არა მარტო აჭარისწყლის ხეობას, როგორც ზოგიერთი ავტორი ამტკიცებდა, არამედ აჭარისწყლის ხეობასთან ერთად ბათუმ-ქობულეთის მხარეებსაც, ანუ თანამედროვე აჭარის ტერიტორიას.

9	**ბიჭიკო დიასამიძე** (თანაავტ.: ისტ. დოქტ. ოლეგ ჯიბაშვილი)	**შუახევის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 11-13 სექტემბერს ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციის ანგარიში,** – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები	I (VI)	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	201-245

ანოტაცია

ანგარიშში შეჯამებულია შედეგები ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ჩატარებული ისტორიულ-არქეოლოგიური დაზვერვითი ექსპედიციისა, რომელიც მოეწყო შუახევის მუნიციპალიტეტში (**ჭვანის** და **მარეთის** ხეობებში) შემდეგი მარშრუტით: **ბათუმი-ჭვანა-წყლისაყარი-შუახევი-უჩამბა-ტბეთი-შუახევი-ოლადაური-შუბანი-ბათუმი.**

ნათქვამია, რომ ექსპედიციამ მიზნად დაისახა აღნიშნულ ხეობებში არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების მონახულება, სადღეისო მდგომარეობის ფიქსირება და დამატებითი

ინფორმაციების მოპოვება მათზე; გარდა ამისა, ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო ახალი ობიექტების აღმოჩენა-აღნუსხვა, საინტერესო თქმულება-გადმოცემების, ტოპონიმიკის ნიმუშების, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი და სხვა მასალების მოძიება-შეკრება. აღნიშნულია, რომ საექსპედიციო ჯგუფმა წარმატებით გაართვა თავი დასახული ამოცანების შესრულებას. შეგროვდა საჭირო ინფორმაცია, განხორციელდა ფოტო-გადაღებები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტებზე, რომ ოფიციალურად პირველად იქნა დაფიქსირებული აჭარისწყლის ხეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობის, კერძოდ, **მახალაკიძეების ციხის** მდებარეობა და მდგომარეობა, და რომ ასევე პირველად დაფიქსირდა ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მცირე მოვაკებული ადგილი სახელწოდებით – **რაბათი.** რაბათი მცირე სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს ეწოდებოდა და ასეთი ტიპის დასახლებები შუასაუკუნეებში აჭარისწყლის ხეობის არაერთი ციხის გვერდით არსებობდა, თუმცა, დღევანდლამდე მხოლოდ მახალაკიძეების ციხის ძირთან მდებარე ადგილმა შემოინახა ეს ტოპონიმი. მითითებულია, აგრეთვე, რომ ექსპედიციამ ბევრი სხვა საინტერესო ნიუანსი დააფიქსირა. მოპოვებული ფოტომასალით შეივსო ინსტიტუტის ფოტოარქივი. გამოიკვეთა სამომავლო გეგმები და სამუშაო მიმართულებები.				
10	**ბიჭიკო დიასამიძე** (თანაავტ.: ისტ. დოქტ. ოლეგ ჯიბაშვი-	**ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების 2015 წლის სამეცნიერო**	I (VI)	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტე-	135-200

	ლი)	**მუშაობის ანგარიში,** – კრ.: სამხრეთ-და-სავლეთ საქარ-თველოს ისტორი-ისა და არქეოლოგი-ის საკითხები		ტი“	
ანოტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ დადგენილი ფორ-მის მიხედვით შედგენილ ანგარიშში წარმოდგენილია განყოფი-ლების მეცნიერი თანამშრომლების მიერ შესრულებული წლიური ნაშრომების (გარდამავალი პროექტის მიმდინარე ეტაპის) ერთია-ნი ვრცელი ანალიზი (ანოტაცია), ასევე, წლის მანძილზე გამოქვეყ-ნებული ნაშრომების (წიგნები, სტატიები), სამეცნიერო კონფერენ-ციებზე (საერთაშორისო, ადგილობრივი) გამოტანილი მოხსენებე-ბის და ჩატარებული საველე ექსპედიციების აღწერა-ანოტაციები, განხილულია განყოფილების წევრთა მიერ შესრულებული სხვა აქტივობები (საორგანიზაციო და სარედაქციო-საგამომცემლო საქ-მიანობა, სატელევიზიო და რადიოგადაცემებში მონაწილეობა, სასწავლო პროცესებში ჩართულობა და სხვ.)				
11	**ბიჭიკო დიასამიძე**	**ქალაქ ბათუმის ხვა-ლინდელი დღე, –** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის **მაცნე** (ისტორიის, არქეო-	II	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა	86-95

		ლოგიის, ეთნო-ლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია)			

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია ქალაქ ბათუმის ზრდა-განვითარების ტენდენციები ბოლო ორი საუკუნის (XIX-XX) განმავლობაში და წარმოდგენილია ავტორის თვალსაზრისი ქალაქის მომავალი განვითარების შესახებ. ნაჩვენებია, რომ აღნიშნულ საუკუნეებში, როცა ბათუმი ორი დიდი იმპერიის – ჯერ ოსმალეთის, შემდეგ რუსეთის საზღვრებში შედიოდა, მისი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, ქალაქის განვითარებაში სამრეწველო მიმართულება სჭარბობდა, რადგან დიდ იმპერიათა ეკონომიკურ სისტემაში ჩართვა აქ წარმოებული სამრეწველო პროდუქციის გასაღების და მოსახლეობის დასაქმების პირობებს ქმნიდა.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, როცა ქალაქის განვითარების საბაზისო საშუალებად კვლავ რჩება მისი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, ავტორს მართებულად მიაჩნია მომავლის ბათუმის გააზრება, როგორც პერსპექტიული, საერთაშორისო მნიშვნელობის საკურორტო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სანავსადგურო ქალაქი და საჭიროდ მიაჩნია გრძელვადიანი (8-10 წელი), მეცნიერულად დასაბუთებული გეგმის შედგენა აჭარის ზღვისპირა (სარფი-ფიჭვნარი) 30-35 კილომეტრიანი ზოლის ტურისტულ ბაზად გადაქცევისათვის. იგი, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, თვლის, რომ ბათუმი, როგორც საზღვაო-საავჭრო ცენტრი 2500 წლისაა და სვამს საკითხს ამ თარიღის საზეიმოდ აღნიშვნის შესახებ.

12	**Giorgi**	**On the Study of the**	I (VI)	ბათუმი,	91-105

	Tavamai-shvili	**Burial Rituals (According to the Material of Pichvnari Cemetery),** – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები		გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	

ანოტაცია

ფიჭვნარის სამაროვნების არქეოლოგიური შესწავლის საფუძველზე ნაშრომში გაშუქებულია დაკრძალვის რიტუალი დასახლების არსებობის სხვადასხვა პერიოდში. როგორც არქეოლოგიური გამოკვლევებით დასტურდება, ფიჭვნარის ტერიტორია ათვისებულია ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან, ხოლო უმნიშვნელოვანესი ეტაპი ფიჭვნარის ცხოვრებაში დიდ ბერძნულ კოლონიზაციას უკავშირდება.

აღნიშნულია, რომ როგორც ბერძნული, ასევე კოლხურ სამარხები, ძვ. წ. V საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული ელინისტური ეპოქის ჩათვლით, ცხადყოფენ აქაური დასახლების მეტროპოლიასთან მჭიდრო ურთიერთობის ფაქტს.

დასასრულს, ნათქვამია, რომ ფიჭვნარი, როგორც შავიზღვისპირეთის გამორჩეული ძეგლი, უკვე რამდენიმე ათეული წელია ინტენსიური კვლევის ობიექტს წარმოადგენს (ექსპედიციის უცვლელი ხელმძღვანელი პროფ. ამირან კახიძე). მოპოვებული მასალის ანალიზი წარმოდგენილია როგორც ექსპედიციის მიმდინარე ანგარიშებში, ასევე განმაზოგადებელ მონოგრაფიებში (სერია „ფიჭვნარი“).

13	**ოთარ თურმანიძე**	**აჭარის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება, –** კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთ-მცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	244-247
ანოტაცია სტატიაში განხილულია აჭარის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. დახასიათებულია მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, გაანალიზებულია აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ფორმები, მეფოდები და თავისებურებანი. შესწავლილია წარმოების ფორმები და მოცემულია ეკონომიკის განვითარების საერთო სურათი. ნაშრომში გაშუქებულია ავტონომიურ რესპუბლიკაში საერთო მდგომარეობა და ნაჩვენებია მისი პერსპექტივები.					
14	**ოთარ თურმანიძე**	**აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, –** კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთ-მცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	244-247
ანოტაცია სტატიაში შესწავლილია აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, მართვის ფორმები როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ავიტონომიური რესპუბლიკის დონეზე, ისე ადგილობ-					

რივ ჭრილში (საქალაქო, სამაზრო (რაიონები), სასოფლო).					
15	**ოთარ თურმანიძე**	**საბჭოთა ხელისუფ-ლების რელიგიური პოლიტიკა და სასუ-ლიერო პირების რეპრესიები აჭარა-ში, –** კრ.: სამხრეთ-და-სავლეთ საქარ-თველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)		თბილისი, გამომც. „უნი-ვერსალი“	70-84
ანოტაცია სტატიაში გაშუქებულია აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის თავისებურებანი, სასულიერო პირების საქმიანობა და ხელისუფლების მიერ მათ მიმართ განხორციელე-ბული რეპრესიები, ნაჩვენებია ამ რეპრესიების შედეგები.					
16	**ოთარ თურმანიძე**	**ქართული სამარ-თლის საკითხები ივანე ჯავახიშვი-ლის შრომებში, –** კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბა-თუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტე-ტი”	201-217
ანოტაცია ნაშრომში განხილულია ღვაწლმოსილი მეცნიერის ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართული სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლა-					

ში. ნაშრომში გაანალიზებულია ივანე ჯავახიშვილის კვლევა-ძიების მიღწევები, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები, მეცნიერულადაა შეფასებული მისი წვლილი ქართული სახელმწიფოსა და სამართლის საკითხების შესწავლაში.					
17	**ოთარ თურმანიძე**	**ერთი სოფლის რეპრესირებულთა ისტორია, –** კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"	280-301
ანოტაცია სტატიაში განხილულია შუახევის მუნიციპალიტეტის უჩამბის საკრებულოს სოფელ სამოლეთის მოსახლეობის პოლიტიკური რეპრესიები 1937-1940 წლებში. სტატიაში ერთი სოფლის მაგალითზე ნაჩვენებია პოლიტიკური რეპრესიების ხასიათი, მასშტაბი და საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის არაადამიანური ქმედებანი.					
18	**ოთარ თურმანიძე**	**ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ისტორია, –** კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"	116-135

<table>
<tr><td colspan="6">ანოტაცია
სტატიაში „ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ისტორია“ განხილულია მისი დაარსების მიზანი და მნიშვნელობა ცარიზმის მიერ მხარის კოლონიურ ათვისებაში. ნაშრომში შესწავლილია საზოგადოების სტრუქტურები, მართვის ფორმები. განხილულია ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ისეთი დანაყოფები, როგორიცაა სანერგეები, სასაწყობო მეურნეობა, მეტეოროლოგიური სადგურები, ბოტანიკური ბაღი და სხვა. ჯეროვნადაა შეფასებული ა. კრასნოვის დამსახურება ბოტანიკური ბაღის დაარსებაში, მისი კავშირგაბმულობანი მსოფლიოს შესაბამის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებთან.</td></tr>
<tr><td>19</td><td>ოთარ თურმანიძე</td><td>1937-1938 წლების რეპრესიების მასშტაბები აჭარაში და სადამსჯელო ინსტრუმენტები, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები</td><td>I (VI)</td><td>ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”</td><td>22-49</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია
ნაშრომში „აჭარაში 1937-1938 წლების რეპრესიების მასშტაბი და სადამსჯელო ინსტრუმენტები“ გაშუქებულია ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლიტიკური რეპრესიების ხასიათი, მასშტაბი, დახასიათებულია სადამსჯელო ორგანოების დანაშაულებრივი ქმედებანი.</td></tr>
<tr><td>20</td><td>უჩა ოქრო-</td><td>აჭარა 1878-2010</td><td></td><td>ბათუმი,</td><td>38-49</td></tr>
</table>

	პირიძე	**წლებში, –** კრ.: აჭარა – ტურის-ტულ-მხარეთ-მცოდნეობითი რესურსები		გამომც. “ბა-თუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტე-ტი”	
ანოტაცია სტატიაში მოცემულია აჭარის მოკლე ისტორია მისი რუსეთ-თან შეერთებიდან დღევანდელობამდე, რომელშიც განხილულია მხარის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარე-ობა 1878-2010 წლებში. მოთხრობილია აჭარის შემოერთების შემდეგდროინდელ პერიოდში აქ განვითარებული მოვლენების, კერძოდ, – მუჰაჯირობის, რეგიონის ბრძოლა კოლონიალიზმისა და რუსიფიკაციის წინააღმდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, მხარის გასაბჭოების, სოციალისტური წყობილების პერიოდისა და მის მიერ დამოუკიდებლობის საბოლოო აღდგენის შესახებ. მოცემულია ბოლო ხანს აქ განვითარებული მოვლენების მოკლე შეჯამება.					
21	**უჩა ოქრო-პირიძე**	**ქობულეთის მუნიციპალიტეტი, –** კრ.: აჭარა – ტურის-ტულ-მხარეთ-მცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბა-თუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტე-ტი”	281-297
ანოტაცია სტატიაში განხილულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის					

მდებარეობა, საზღვრები, ადმინისტრაციული მოწყობა, ფლორა, ფაუნა, ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, ისტორია, სახალხო დღესასწაულები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, საკურორტო ადგილები, ბუნების ღირსშესანიშნაობანი, ტურისტული მარშრუტები და ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი თვალსაზრისით საინტერესო სხვა ობიექტები თუ საკითხები.					
22	**უჩა ოქრო-პირიძე**	**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, –** კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"	298-316
ანოტაცია სტატიაში განხილულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მდებარეობა, საზღვრები, ადმინისტრაციული მოწყობა, ფლორა, ფაუნა, ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, ისტორია, სახალხო დღესასწაულები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, საკურორტო ადგილები, ბუნების ღირსშესანიშნაობანი, ტურისტული მარშრუტები და ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი თვალსაზრისით საინტერესო სხვა ობიექტები თუ საკითხები.					
23	**უჩა ოქრო-პირიძე**	**ხულოს მუნიციპალიტეტი, –** კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"	369-386

<table>
<tr><td colspan="6">ანოტაცია
სტატიაში განხილულია ხულოს მუნიციპალიტეტის მდებარეობა, საზღვრები, ადმინისტრაციული მოწყობა, ფლორა, ფაუნა, ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, ისტორია, სახალხო დღესასწაულები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, საკურორტო ადგილები, ბუნების ღირსშესანიშნაობანი, ტურისტული მარშრუტები და ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი თვალსაზრისით საინტერესო სხვა ობიექტები თუ საკითხები.</td></tr>
<tr><td>24</td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>ქართული ასომთავრული, საკრალური პოეზია, –
კრ.: ჩვენი სულიერების ბალავარი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)</td><td>VIII</td><td>თბილისი, გამომც. „უნივერსალი“</td><td>239-251</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია
ნაშრომი წაკითხული იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ჩვენი სულიერების ბალავარი“ პლენარულ სხდომაზე. მასში ლაპარაკია ქართულ ასომთავრულში ჩადებულ საკრალურ საიდუმლოზე. გახსნილია ქართული ასომთავრული ანბანის წრით გამოხატულ სისტემაში ვარსკვლავის ჩასმის ნამდვილი არსი და საიდუმლო, რის შედეგადაც მიღებული იქნა უჩა ოქროპირიძის „დაიცევი“ სისტემა თავისი 5 (ხუთი) კვირეულით, რომელთაგან პირველის, მასში ჩახატული ორი ჯვრის მეშვეობით წაკითხული (8 რვა) ასო ნიშნის, შინაარსი ასეთია: „აე გზა ელი“, ანუ „აე გზა უფლისა“ (ა-ე |გ-ზ-ა| ე-ლი = არსთა საწყისის წმინდა</td></tr>
</table>

ენა| მიწიერი ზენა არსი| წმინდა ენის სულიერი სავანე (ამ შემთხ-ვევაში უფალი იესო ქრისტე - უ. ო.)					
25	**უჩა ოქრო-პირიძე**	**კიდევ ერთხელ ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრუ-ლებების შესახებ, –** კრ.: ბათუმი – წარ-სული და თანამედ-როვეობა (საერთა-შორისო სამეც-ნიერო კონფერენ-ციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. "ბა-თუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტე-ტი"	180-200

ანოტაცია

ნაშრომი წაკითხული იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონ-ფერენციის „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა" პლენარულ სხდომაზე, რისი მიზეზიც იყო ამ ბოლო დროს ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებისა და მასთან დაკავ-შირებული საკითხებისადმი განსაკუთრებით გაზრდილი ინტერე-სი. მოხსენებაში არის რეალური მცდელობა, ერთი კონფერენციის ფარგლებში, შესაძლო პასუხი გაეცეს აღნიშნული მოვლენების ირგვლივ ხელოვნურად შექმნილ აჟიოტაჟს და მათით არაჯანსაღი მანიპულირების მცდელობებს ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოებრიობის არაკეთილმოსურნეთა მხრიდან. მასში მოყვანილი ისტორიული ფაქტების, ისტორიული დოკუმენტებისა და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძ-ველზე ხაზგასმულია მსგავსი მცდელობათა სრული უნაყოფობა.

26	**ეჩა ოქროპირიძე**	**დაპაუზებული ისტორია, ანუ თქმა მართლისა სიმართლისა, –** კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები	I(VI)	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	იბეჭდება
ანოტაცია სტატია წარმოადგენს მონოგრაფიის „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში“ რეცენზიის პირველ ნაწილს, რომელშიც განხილულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობებისა და მათდამი ქართული საზოგადოების დამოკიდებულების საკითხები XVIII საუკუნიდან თერგდალეულების მოღვაწეობის დასაწყისამდე					
27	**მაია ჭიჭილეიშვილი**	**ეკლესია-მონასტრები,–** კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	140-145
ანოტაცია ნაშრომი წარმოადგენს კრებულის VI თავის – ტრადიციული მატერიალური კულტურა – ქვეთავს. მასში განხილულია აჭარის მატერიალური კულტურის, შუა საუკუნეების საეკლესიო არქი-					

ტექტურის ნიმუშები – ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის ეკ-ლესია, თხილვანის იოანე მახარობლის, სხალთის მცირე და დიდი დარბაზული ეკლესიები, ვერნების, ვანაძეების, კალოთის, ხიხანის ციხის, ცხრაფონას ეკლესიების მხატვრულ-არქიტექტურული თა-ვისებურებები. მატერიალური კულტურისა და ისტორიული წყა-როების მიხედვით ირკვევა, რომ ქრისტიანული სალოცავები XIX საუკუნემდე იყო შემორჩენილი ქობულეთ-ბათუმის მიდამოებში. ისინი წამოაჩენენ ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ეტაპობრივ ნიშნებს და ადასტურებენ, რომ აჭარას, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, თავისი წვლილი შეჰქონდა ქრისტია-ნული კულტურის საგანძურში.

28	**მაია ჭიჭი-ლეიშვილი**	**სახვითი და გამოყე-ნებითი ხელოვნება აჭარაში, –** კრ.: აჭარა – ტურის-ტულ-მხარეთ-მცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბა-თუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტე-ტი”	161-166

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია აჭარის ტერიტორიაზე გამოვლენილი სახვითი ხელოვნების – შუა საუკუნეების რელიფური ქანდაკების (კალოთის – XIს , ხინოწმინდის – XIს, ცხრაფონას – XVI-XVIIსს), მო-ნუმენტური კედლის მხატვრობის (სხალთის ფრესკები – XIV-XV სს-ის მიჯნა) , მცირე არქიტექტურული ფორმების (ვანაძეების ეკ-ლესიის კანკელი – XIII ს-ის პირველი ნახევარო) ნიმუშები. თითო-ეული მათგანი წარმოაჩენს თანადროული ეტაპის ქართული ხე-ლოვნების სტილისტურ ნიშნებს, ქართული ხელოვნების სხვადა-სხვა ეპოქის ზოგადქართულ მხატვრულ მიღწევებს და წარმოად-

გენენ მაღალი მხატვრული დონის ნიმუშებს.					
29	**მაია ჭიჭი-ლეიშვილი**	**ხელოვნება, –** კრ.: აჭარა – ტურის-ტულ-მხარეთ-მცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბა-თუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტე-ტი”	236-243
ანოტაცია ნაშრომში განხილულია აჭარის სამუსიკო ხელოვნების, ქორე-ოგრაფიის, თეატრალური ხელოვნების, არქიტექტურისა და სახ-ვითი ხელოვნების ისტორიის საკითხები: რეგიონის საგუნდო ხე-ლოვნება, მუსიკალური ფოლკლორი, სამუსიკო სასწავლებელთა და საოპერო დასის ისტორია; განხილულია ეროვნული საცეკვაო ნიმუშები, საბალეტო ხელოვნების ისტორია; ბათუმში თეატრა-ლური დასის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხები; ბა-თუმის განაშენიანების თავისებურებები, სახვითი ხელოვნების, აჭარის მხატვრობისა და ქანდაკების ისტორიული განვითარების ხაზი.					
30	**მაია ჭიჭი-ლეიშვილი**	**სხალთის საეკლე-სიო კომპლექსი, –** კრ.: აჭარა – ტურის-ტულ-მხარეთ-მცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბა-თუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტე-ტი”	400-403
ანოტაცია ნაშრომში განხილულია სხალთის საეკლესიო კომპლექსში შე-					

მავალი ნაგებობების ხუროთმოძღვრება, კედლის მხატვრობა. წარმოჩენილია სხალთის ტაძრის არქიტექტურისა და ფრესკების მხატვრული თავისებურებები და მათი მნიშვნელოვნა ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიაში. სხალთის არქიტექტურა XIII საუკუნის შუა წლებით თარიღდება, მისი არქიტექტურული გადაწყვეტა თავის ეპოქასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი ნიჭისა და დახვეწილი მხატვრული გემოვნების გამოხატულებაა. სხალთის მხატვრობა მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების საფუძველზე სხალთის მოხატულობის თარიღს XIV-XV საუკუნეების მიჯნით თარიღდება, ვრცელი, განვითარებული იკონოგრაფიული პროგრამითა და გააზრებული კომპოზიციური გადაწყვეტით გამორჩეული მოხახულობს იგი ე.წ. პალეოლოგოსური სტილის ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშია, რომელიც საქართველოსა და ბიზანტიაში განსწავლული ოსტატების მიერ უნდა იყოს შესრულებული.				
31	**მაია ჭიჭილეიშვილი**	**ბათუმის ერთი სახლის ისტორია, –** კრ.: თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	II	ქუთაისი, გამომც. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	405-408
ანოტაცია ნაშრომში განხილულია XX საუკუნის 10-იან წლებში აგებული ცნობილი მრეწველის ნიკოლოზ საბაშვილის სახლი, რომელიც ძველი ბათუმის არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული					

ნიმუშია. სამსართულიანი, რენესანსულ-ბაროკული სტილის პომპეზური შენობა, მის მიმდებარე მასშტაბურ ნაგებობებთან ერთად მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქალაქის ისტორიული ნაწილის ურბანულ სახეს. ქუჩათა გადაკვეთაზე მდგარ ნაგებობას გამორჩეულ იერს არქიტექტურული ელემენტების (რუსტიკა, კორინთული ნახევარსვეტები, პილასტრები, დიდი ზომის კრონშტეინებს დაყრდნობილი ქვის ბალუსტრადიანი აივნები) და პლასტიკური დეკორის განსაკუთრებული სიუხვე – ერკერის საყრდენი ატლანტების ფიგურები და თაღოვან ფრონტონებში ჩასმული მუზარადიანი ტიტანების მონუმენტური თავები ანიჭებს. სწორედ ადგილმდებარეობის, სივრცისა და მასშტაბის მაორგანიზებელი მნიშვნელობის, ფასადის მწყობრი კომპოზიციური სტრუქტურის, უხვად ნაძერწი ორნამენტული ელემენტებისა და სკულპტურული დეკორის წყალობით ნაგებობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი ბათუმის განაშენიანებაში. ნ. საბაშვილის საცხოვრებელი სახლის სკულპტურებით შემკობა ცნობილი ქართველი მოქანდაკის – სერაფიმე პოლოლიკაშვილის (1870-1918) სახელთანაა დაკავშირებული.					
32	**მაია ჭიჭილეიშვილი**	**ძველი ბათუმის ქუჩების განაშენიანება (მემედ აბაშიძის გამზირი),** – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	308-323
ანოტაცია					

ნაშრომში განხილულია მ. აბაშიძის ქუჩის განაშენიანება, რომლის დიდი ნაწილი ავთენტურობით გამორჩეულ ანსამბლს წარმოადგენს. ქუჩის ურბანული ქსოვილი XIX-XXI საუკუნის არქიტექტურის განვითარების ყველა ეტაპს შეიცავს. ქუჩის კულტურული მემკვიდრეობის თითოეული ძეგლი, ისევე როგორც მთლიანი ანსამბლი, დასაცავ ფასეულობას წარმოადგენს.					
33	**მაია ჭიჭილეიშვილი**	**ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის შენობის არქიტექტურა, –** კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები	I(VI)	ბათუმი, გამომც. "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"	78-86
ანოტაცია ნაშრომში შესწავლილია XX საუკუნის დასაწყისში აგებული შენობის არქიტექტურა, რომელშიც ბათუმის ნავთობინდუსტრიაში მოღვაწე შვედ მეწარმეებს, ლუდვიგ, ემანუელ და ალფრედ ნობელებს თავისი „ბათუმის კანტორა" ჰქონდათ გახსნილი. ასიმეტრიული გეგმის მქონე შენობა ხასიათდება მაღალი კოშკისა და სწორკუთხა მოცულობების შერწყმით. ვიწრო თაღოვანი სარკმლებით დანაწევრებული სამიარუსიანი კოშკი იმპოზანტურობასა და შუა საუკუნეებრივ იერს ანიჭებს ნაგებობას. 2007 წლიდან, შენობაში განთავსებულია ტექნოლოგიური მუზეუმი.					
34	**მაია ჭიჭილეიშვილი**	**ბათუმის ბულვარის ისტორია (XIX-XX**	VII	თბილისი, გამომც. „უნი-	49-56

		სს-ის მიჯნა), – კრ.: ხელოვნებათ-მცოდნეობითი ეტი-უდები		ვერსალი“	

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ბათუმის ბულვარის ჩამოყალიბებისა და განვითარების პირველი პერიოდი. XIX-XX საუკუნეების მიჯ-ნაზე ჩამოყალიბებული იყო ბულვარის ძირითადი სტრუქტურა, გეგმარება, გამწვანების ხასიათი, ფუნქცია. მის გეგმარებას ახასი-ათებს რეგულირებული წყობა, გამწვანებული მონაკვეთების და-ყოფა ქალაქის მომიჯნავე კვარტლების პარალელურად, შესასვლე-ლი ღერძების განთავსება ზღვაზე გამავალი ქუჩების ხაზზე. მის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს მცენარეული საფარი, საგანგე-ბოდ მოწყობილი სივრცეები წყნარი დასვენებისა და სპორტული აქტივობებისათვის. ბულვარის გეგმარება და საპარკო სტრუქტუ-რა თითქმის დღემდეა შენარჩუნებული.

35	**ოლეგ ჯიბაშვილი** (თანაავტ.: ისტ.მეცნ. დოქტ. ბიჭიკო დიასამიძე)	**აჭარა VI-XIX საუკუნეებში** კრ.: აჭარა - ტურის-ტულ-მხარეთ-მცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბა-თუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტე-ტი”	29-37

ანოტაცია

სტატიაში გაშუქებულია აჭარის ისტორიის ფეოდალური ხანა (V-X სს. – ადრეფეოდალური ხანა, XI ს. - XVI ს.-ის შუა წლები – განვითარებული შუა საუკუნეები, XVI ს.-ის II ნახევრიდან 1877-

1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომამდე – ოსმალთა ბატონობის ხანა). ყურადღება გამახვილებულია თითოეული ქვე-ეტაპის მნიშვნელოვან მომენტებზე, მათ შორის, XIX ს.-ში ოსმალთა წინააღმდეგ გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და მის ლიდერებზე. კრებულის სპეციფიკიდან გამომდინარე, სათანადო ადგილი აქვს დათმობილი აღნიშნული საუკუნეებით დათარიღებულ საფორტიფიკაციო და ქრისტიანულ საეკლესიო ნაგებობებს, ქვის თაღოვან ხიდებსა თუ ისტორიისა და კულტურის სხვა ძეგლებს.					
36	**ოლეგ ჯიბაშვილი**	**ქედის მუნიციპალიტეტი** კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთ-მცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	317-339
ანოტაცია სტატიაში განხილულია ქედის მუნიციპალიტეტის მდებარეობა, საზღვრები, ადმინისტრაციული მოწყობა, ფლორა, ფაუნა, ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, ისტორია, სახალხო დღესასწაულები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, საკურორტო ადგილები, ბუნების ღირსშესანიშნაობანი, ტურისტული მარშრუტები და ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი თვალსაზრისით საინტერესო სხვა ობიექტები თუ საკითხები.					
37	**ოლეგ ჯიბაშვილი**	**შუახევის მუნიციპალიტეტი** კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთ-		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის	340-368

		მცოდნეობითი რესურსები		სახელმწიფო უნივერსიტეტი”	

ანოტაცია

სტატიაში განხილულია შუახევის მუნიციპალიტეტის მდებარეობა, საზღვრები, ადმინისტრაციული მოწყობა, ფლორა, ფაუნა, ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, ისტორია, სახალხო დღესასწაულები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, საკურორტო ადგილები, ბუნების ღირსშესანიშნაობანი, ტურისტული მარშრუტები და ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი თვალსაზრისით საინტერესო სხვა ობიექტები თუ საკითხები.

38	**ოლეგ ჯიბაშვილი**	**ჯანდაცვის განვითარების ისტორიიდან ქედის მუნიციპალიტეტში,** – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	218-234

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა ქედის მუნიციპალიტეტის ფარგლებში დროის სხვადასხვა მონაკვეთში. სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის მონაცემებზე დაყრდნობით თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები ჯანდაცვის განვითარების დინამიკა, სამედიცინო დაწესებულებათა და პერსონალის ეტაპობრივი ზრდა როგორც რაოდენობრივი, ისე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროფესიული მომზადების დონის თვალსაზრისით. გაშუქებულია, აგრეთვე, ზოგიერთი ქედელი

მედიკოსის საქმიანობა.					
39	**ოლეგ ჯიბაშვილი** (თანაავტ.: ისტ. დოქ. ხათუნა დიასამიძე)	**1878 წლის აგვისტოს დღეები ბათუმში,** – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	257-263

ანოტაცია

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ბათუმი, თავისი მოხერხებული გეოსტრატეგიული მდებარეობითა და პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობით, ადრიდანვე იქცევდა რუსეთის მზარდი სახელმწიფოს ყურადღებას. XIX საუკუნის მანძილზე ოსმალეთთან გადახდილი არაერთი წარმატებული ომისა, რუსეთმა ვერაფრით შესძლო ბათუმის დაუფლება. ეს მხოლოდ 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად მოხერხდა. ოსმალეთი დამარცხდა და იძულებული გახდა რუსეთისათვის ზავი შეეთავაზებინა. 1878 წ. 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს ზავით რუსეთმა ოსმალეთისაგან სერიოზული პოლიტიკური და ტერიტორიული დათმობები მიიღო, მათ შორის, ბათუმიც.

ნათქვამია, რომ რუსეთის წარმატებებმა შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოები, ისინი საქმეში ჩაერივნენ და სცადეს მისი გამარჯვების გაქარწყლება. ყველაზე მეტად ინგლისი აქტიურობდა. ინგლისურ და რუსულ წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ დიდი ბრიტანეთი ცდილობდა ბათუმის სანჯაყში ადგილობრივი

მოსახლეობის ანტირუსული აჯანყების პროვოცირებაც მოეხდინა. ამით წაქეზებული ოსმალეთი ახალი ომისათვის სამზადისს შეუდგა. ასეთ ვითარებაში რუსეთი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ბერლინის კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას. ბერლინის კონგრესზე (1878 წ.-ის 1 (13) ივნისი – 1 (13) ივლისი) რუსეთმა შეძლო სან-სტეფანოს ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შენარჩუნება. ინგლისის თანხმობით და ბერლინის ტრაქტატის ძალით, მასვე დარჩა ბათუმიც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პეტერბურგში ბოლო მომენტამდე არ სჯეროდათ ოსმალთაგან ბათუმის დათმობის შესაძლებლობისა. სტატიაში დასაბუთებულია, რომ ბათუმის რუსეთის ფარგლებში დარჩენა როტშილდების გავლენიანი გვარის ჩარევამ განაპირობა. მათ ბათუმთან დაკავშირებით თავისი ეკონომიკური ინტერესები გააჩნდათ. მითითებულია, რომ ბათუმში რუსეთის საჯარისო ნაწილები სამი მხრიდან შევიდნენ: 25 აგვისტოს (6 სექტემბერს) ქობულეთის მხრიდან – კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილის ნ. სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით; 30 აგვისტოს (11 სექტემბერს) – ართვინის გზით ჭოროხზე გამოვლით გენერალ კ. კომაროვის, ხოლო 2 (14) სექტემბერს ახალციხის გზით ზემო აჭარის გავლით – გენერალ ტრეიტერის ხელმძღვანელობით. ბათუმის თურქულმა ხელისუფლებამ ქალაქი საზეიმო ვითარებაში გადასცა რუსეთის წარმომადგენლობას.				
40	**ოლეგ ჯიბაშვილი**	**მკვლელობა, რომელმაც შეცვალა საქართველოს ბედი,** – საქართველოს	II	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის	58-69

		მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის **მაცნე** (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია)		სტამბა	

ანოტაცია

ნაშრომში ლევან ბატონიშვილის (ერეკლე მეფისა და დარეჯან დედოფლის უფროსი ვაჟი) დაღუპვის დრო და მიზეზები შესწავლილია დოკუმენტურ მასალებსა და თვითმხილველთა გადმოცემებზე დაყრდნობით, აგრეთვე, ქართლ-კახეთის სამეფოს ირგვლივ XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის შექმნილი პოლიტიკური ვითარების გაანალიზების საფუძველზე.

დასაბუთებულია, რომ ირანისა და ოსმალეთის დასუსტების ფონზე, XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე ქართლ-კახეთის სამეფო პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა. ამავე პერიოდში ამიერკავკასიაში (და შემდეგ ახლო აღმოსავლეთის სიღრმეში) შემოსვლისა და დამკვიდრების მიზნით სულ უფრო მეტად აქტიურდება რუსეთის იმპერია. რუსულ დიპლომატიას სჭირდებოდა, რომ ერეკლე II-ს თავისი ნებით ეთხოვა მფარველობა იმპერატრიცა ეკატერინესათვის, რაც რუსეთს დასახული მიზნის მიღწევას გაუადვილებდა. წინა წლებში რუსეთზე გულგატეხილი ქართლ-კახეთის მეფე კი ასეთ ინიციატივას არ იჩენდა. მაშინ რუსმა პოლიტიკოსებმა ერეკლეს მორჩილებაში მოსაყვანად ფარული და აშკარა ზემოქ-

მედების სხვადასხვა საშუალება გამოიყენეს. ავტორი აღნიშნული ვითარების ფონზე განიხილავს ლევანის დაღუპვის ფაქტს და გამოთქვამს დასაბუთებულ მოსაზრებას, რომ ბატონიშვილი ქართული სახელმწიფოებრიობის მტრებმა მოწამლეს და ამ მკვლელობის ორგანიზატორები მაშინდელი რუსეთის პოლიტიკურ წრეებში არიან საძებნი. სწორედ მისმა სიკვდილმა გატეხა მორალურად მოხუცი მეფე ერეკლე და დაადებინა რუსეთთან მფარველობითი ხელშეკრულება (გეორგიევსკის ტრაქტატი), რამაც განსაზღვრა კიდეც საქართველოს შემდგომი ბედი. ნაშრომში, ასევე, დასაბუთებულია, რომ ლევან ბატონიშვილი დაიღუპა 1782 წლის თებერვლის დასაწყისში და არა მკვლევართა უმრავლესობის მიერ აღიარებულ 1781 წელს.					
41	**ოლეგ ჯიბაშვილი** (თანაავტ.: ისტ.მეცნ. დოქტ. ბიჭიკო დიასამიძე)	**ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების 2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში,** – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები	I (VI)	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	136-201
ანოტაცია					

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით შედგენილ ანგარიშში წარმოდგენილია განყოფილების მეცნიერი თანამშრომლების მიერ შესრულებული წლიური ნაშრომების (გარდამავალი პროექტის მიმდინარე ეტაპის) ერთიანი ვრცელი ანალიზი (ანოტაცია), ასევე, წლის მანძილზე გამოქვეყნებული ნაშრომების (წიგნები, სტატიები), სამეცნიერო კონფერენციებზე (საერთაშორისო, ადგილობრივი) გამოტანილი მოხსენებების და ჩატარებული საველე ექსპედიციების აღწერა-ანოტაციები, განხილულია განყოფილების წევრთა მიერ შესრულებული სხვა აქტივობები (საორგანიზაციო და სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა, სატელევიზიო და რადიოგადაცემებში მონაწილეობა, სასწავლო პროცესებში ჩართულობა და სხვ.)					
42	**ოლეგ ჯიბაშვილი** (თანაავტ.: ისტ.მეცნ. დოქტ. ბიჭიკო დიასამიძე)	**შუახევის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 11-13 სექტემბერს ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციის ანგარიში, –** კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები	I (VI)	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	202-246
ანოტაცია					

ანგარიშში შეჯამებულია შედეგები ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ჩატარებული ისტორიულ-არქეოლოგიური დაზვერვითი ექსპედიციისა, რომელიც მოეწყო შუახევის მუნიციპალიტეტში (**ჭვანის** და **მარეთის** ხეობებში) შემდეგი მარშრუტით: **ბათუმი-ჭვანა-წყლისაყარი-შუახევი-უჩამბა-ტბეთი-შუახევი-ოლადაური-შუბანი-ბათუმი.**

ნათქვამია, რომ ექსპედიციამ მიზნად დაისახა აღნიშნულ ხეობებში არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების მონახულება, სადღეისო მდგომარეობის ფიქსირება და დამატებითი ინფორმაციების მოპოვება მათზე; გარდა ამისა, ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო ახალი ობიექტების აღმოჩენა-აღნუსხვა, საინტერესო თქმულება-გადმოცემების, ტოპონიმიკის ნიმუშების, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი და სხვა მასალების მოძიება-შეკრება.

აღნიშნულია, რომ საექსპედიციო ჯგუფმა წარმატებით გაართვა თავი დასახული ამოცანების შესრულებას. შეგროვდა საჭირო ინფორმაცია, განხორციელდა ფოტო-გადაღებები.

განსაკუთრებით, ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტებზე, რომ ოფიციალურად პირველად იქნა დაფიქსირებული აჭარისწყლის ხეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობის, კერძოდ, **მახალაკიძეების ციხის** მდებარეობა და მდგომარეობა, და რომ ასევე პირველად დაფიქსირდა ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მცირე მოვაკებული ადგილი სახელწოდებით – **რაბათი.** რაბათი მცირე სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს ეწოდებოდა და ასეთი ტიპის დასახლებები შუა საუკუნეებში აჭარისწყლის ხეობის არაერთი ციხის გვერდით არსებობდა, თუმცა, დღევანდლამდე მხოლოდ მახალაკიძეების ციხის ძირთან მდება-

რე ადგილმა შემოინახა ეს ტოპონიმი. მითითებულია, აგრეთვე, რომ ექსპედიციამ ბევრი სხვა საინტერესო ნიუანსი დააფიქსირა. მოპოვებული ფოტომასალით შეივსო ინსტიტუტის ფოტოარქივი. გამოიკვეთა სამომავლო გეგმები და სამუშაო მიმართულებები.					
43	**ირინე ვარშალომიძე**	**კირმანეული თეთრი სოფელ აჭყვისთავიდან, –** სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VI	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	266-269
ანოტაცია ნაშრომი ეძღვნება 2014 წელს აჭყვისთავში (ქობულეთი) ნაეკლესიარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ კირმანეული თეთრს (13-14 სს), შესავალში ავტორს მოხმობილი აქვს ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის, კერძოდ მონღოლთა ბატონობის, დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გადმოსვლის მიზეზები, ურთიერთობა ტრაპიზონის სამეფოსთან. განხილულია ჩვენში ტრაპიზონის ასპრების მიმოქცევისა და მათი პოპულარობის ასპექტები, კირმანეული თეთრის ემისიისა ლეგალურობისა და ემიტენტეს საკითხები, აჭყვისთავში აღიშნული ნუმიზმატიკური ძეგლის დალექვის					

მიზეზები.					
44	**ირინე ვარშალო-მიძე**	**ბიზანტიური მონეტა ბათუმის შემოგარენიდან** – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	264-266

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია 2015 წელს ბათუმში, მწვანე კონცხის დასახლებაში, შემთხვევით აღმოჩენილი სპილენძის მონეტა. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ესაა ბიზანტიის იმპერატორ იოანე ციმისხეს (969-976წწ) სახელით მოჭრილი ბიზანტიური საფასე. მიმოხილულია საქართველო ბიზანტიის ურთიერთობები IV საუკუნიდან, ბიზანტიური ფულების ჩვენში შემოსვლის მიზეზები და გზები, მეათე საუკუნის დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევა, მასში ბიზანტიური ფულის დომინანტური როლი, აჭარის ზღვისპირა ზოლის აქტიური ჩართულობა ბიზანტიასთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და ა.შ.

II. 2. პუბლიკაციები უცხოეთში:

სტატიები

#	ავტორი/ ავტორე-ბი	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის, კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემ-ლობა	გვერ-დების რაო-დენობა
1	**Nino Inaishvili**	**Archaeological Sites in Environment of Batumi,–** Proceedings of the Symposium on *City Ports from the Eagean to the Black Sea. Mediaval-Modern Networks.* Eds. Flora Karagiani-Ufuk Kocabas.		Istanbul	93-107

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უმთავრესი არქეოლოგიური ძეგლები. აღნიშნულ ძეგლებზე არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა, რომ სანაპირო ზოლი და მისი მიმდებარე ტერიტორია დასახლებული იყო ადრეული ბრინჯაოს პერიოდიდან. ყველა დასახლება მდებარეობდა მდინარეების შესართავებთან. ამან დიდი როლი ითამაშა მათ განვითარებაში, რადგან მდინარეების შესართავები გამოიყენებოდა როგორც ნავსადგურები. ამ ადგილებში ბერძნული კოლონიების წარმოშობა დაფიქსირებულია ძვ.წ. VI საუკუნის და-

სასრულიდან. ქობულეთი-ფიჭვნარი იყო ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ურბანული კოლონიური დასახლება კლასიკურ და ელინისტურ ხანაში. სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამო გონიო-აფსაროსმა შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა რომაულ პერიოდში, ხოლო პეტრა-ციხისძირმა – ადრეულ ბიზანტიურ ხანაში. ფიზიკური გეოგრაფიის წყალობით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო პონტოს სამყაროს ნაწილი იყო და შესაბამისად მოქცეული იყო ბერძნული, რომაული და ბიზანტიური გავლენის სფეროში.					
2	**Nino Inaishvili** (coauthor Marine Giorgadze)	**The Colchis Black Sea Littoral in the Archaic and Classical Periods, –** Historika. Studi de Storia greca e romana. *Great is the Power of the Sea in the Greek World of the Archaic and Classical Period*. Eds. G.Cuniberti, G.Daverio Rocchi and J.Roy with collaboration A. Bartzoka.	V	Turino ISSN 2240-774X e-ISSN 2039-4985, ISBN 978-88-6789-071-2	151-165

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ბიჭიკო დიასამიძე**	**დასავლურ ქართული ეკლესია და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესი**	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი"– VIII; 2016 წლის13-14 მაისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია IX-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრების (ბიჭვინთა, სებასტოპოლისი, ფაზისი, პეტრა...) გაძლიერება-გაერთიანებისა და აფხაზთა საკათალიკოსოს წარმოშობის საკითხი, ამასთან, ნაჩვენებია ის პოზიტიური ფუნქცია, რაც აქაურმა ეკლესიამ ითამაშა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების პროცესში. ახსნილია მეათე საუკუნეში ე.წ. ,,ძველ" საეპისკოპოსოთა ,,ახლებით" ჩანაცვლების მიზეზი: ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლებას გაადვილებოდა ,,აფხაზთა საკათალიკოსოს" მცხეთისადმი დაქვემდებარება, მისგან ქვეყნის გაერთიანებაში.

2	**ბიჭიკო დიასამიძე**	**ცისფერყანწელები და 1914-1920 წლების პოლიტიკური მოვლენები ბათუმში**	"ცისფერყანწელთა" ლიტერატურული დაჯგუფების შექმნიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის17-18 ივნისი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ნაშრომში გაანალიზებულია ცისფერყანწელთა მოღვაწეობის პირველი პერიოდი (1917-1920 წწ) და პოლიტიკური ვითარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აჭარა-ბათუმში ნაჩვენებია ცისფერყანწელთა ცნობილი წარმომადგენლების (პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე) აქტიური მონაწილეობა აჭარაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში, მათი მწვავე გამოხმაურება ლექსებითაც.			
3	**ბიჭიკო დიასამიძე**	**ქალაქ ბათუმის ხელახალი დაბადება**	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა" – VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ნაშრომში წარმოდგენილი ქალაქ ბათუმის საქალაქო			

ცხოვრების განვითარების ეტაპები ანტიკური პერიოდიდან დაწყებული და განსაკუთრებით ხაზგასმულია და ახსნილი ბათუმის საქალაქო ცხოვრებაში განხორციელებული ცვლილებების არსი XIX საუკუნეში. სტატიაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ქალაქის განვითარებაში ახალ ტენდენციებს XXI საუკუნეში, როცა ქალაქი გააზრებულ იქნა, როგორც მსხვილი კულტურულ-საგანმანათლებლო, სანავსადგურო და ტურისტული ცენტრი. ჩამოყალიბებულია ქალაქის განვითარების ახალი კონცეფცია უახლეს 8-10 წლის განმავლობაში, რომელიც ითვალისწინებს გონიო-ფიჭვნარის 30 კილომეტრიანი მონაკვეთის ერთიან ტურისტულ ზონად გარდაქმნას.

4	**ბიჭიკო დიასამიძე**	**საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციები რუსთველის ხანაში**	შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 20 ოქტომბერი; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია XII საუკუნის ბოლო მეოთხედის (რუსთაველის ხანა) სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციები, რომლებმაც ქვეყანა ერთის მხრივ, ახლო აღმოსავლეთის უდიდეს და უმძლავრეს ქვეყნად აქცია და შექმნა პირობები კულტურის, განათლების, მეცნიერების განვითარებისათვის, მაგრამ მეორე მხრივ ქვეყ-

ნის განვითარების დონეს აღარ შეესაბამებოდა მმართველობის სისტემა, რაც რეფორმებს და გარდაქმნებს მოითხოვდა. ამ წინააღმდეგობას ქვეყანაში ღრმა კრიზისი და საბოლოოდ მონღოლ-თათართა წინაშე მორჩილების გამოცხადება მოჰყვა.			
5	**ბიჭიკო დიასამიძე**	**აჭარა ვახუშტი ბატონიშვილის შრომებში**	ვახუშტი ბატონიშვილის დაბადებიდან 320 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 7 ოქტომბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ნაშრომში ვახუშტი ბატონიშვილის შრომებზე, ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განსხვავებული შეხედულებანი, ეთნოგრაფიული აჭარის საზღვრებისადმი და გაკეთებულია დასკვნა, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული აჭარა მოიცავდა არა მარტო აჭარისწყლის ხეობას, როგორც ზოგიერთი ავტორი ამტკიცებდა, არამედ აჭარისწყლის ხეობასთან ერთად ბათუმ-ქობულეთის მხარეებსაც, ანუ თანამედროვე აჭარის ტერიტორიას.			
6	**ოთარ თურმანიძე**	**ქართული სამართლის საკითხები ივანე ჯავახიშვილის**	ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 5 მაისი,

		შრომებში	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია მოხსენებაში განხილულია ღვაწლმოსილი მეცნიერის ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართული სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლაში. ნაშრომში გაანალიზებულია ივანე ჯავახიშვილის კვლევა-ძიების მიღწევები, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები, მეცნიერულადაა შეფასებული მისი წვლილი ქართული სახელმწიფოსა და სამართლის საკითხების შესწავლაში.			
7	**ოთარ თურმანიძე**	**ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ისტორია**	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა”–VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია მოხსენებაში განხილულია ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების დაარსების მიზანი და მნიშვნელობა ცარიზმის მიერ მხარის კოლონიურ ათვისებაში. ნაშრომში შესწავლილია საზოგადოების სტრუქტურები, მართვის ფორმები. განხილულია ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ისეთი დანაყოფები, როგორიცაა სანერგეები, სასაწყობო მეურნეობა, მეტეოროლოგიური სადგურები, ბოტანიკური ბაღი და სხვა. ჯეროვნადაა შეფასებული ა. კრასნოვის დამსახუ-			

რება ბოტანიკური ბაღის დაარსებაში, მისი კავშირგაბმულობანი მსოფლიოს შესაბამის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებთან.			
8	**ოთარ თურმანიძე**	**საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა და სასულიერო პირების რეპრესიები აჭარაში**	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო“ (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია); 2016 წლის 15-16 სექტემბერი; აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო
ანოტაცია მოხსენებაში გაშუქებულია აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის თავისებურებანი, სასულიერო პირების საქმიანობა და ხელისუფლების მიერ მათ მიმართ განხორციელებული რეპრესიები, ნაჩვენებია ამ რეპრესიების შედეგები.			
9	**ოთარ თურმანიძე**	**დიმიტრი ბაქრაძე საადგილმამულო ურთიერთობის საკითხები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში**	დიმიტრი ბაქრაძის დაბადებიდან 190 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 24 ნოემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

<table>
<tr><td colspan="4">ანოტაცია
მოხსენებაში განხილულია დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საადგილმამულო ურთიერთობის შესწავლაში. ხაზგასმულია იმის შესახებ, რომ დიმიტრი ბაქრაძემ არა მარტო ზოგადად შეისწავლა მიწათმფლობელობის ოსმალური ფორმები, არამედ ბათუმისა და ყარსის ოლქებში მათი ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა. ამასთან, გამოიკვლია საადგილმამულო გადასახადების სახეები და გააკეთა შესაბამისი დასკვნები.</td></tr>
<tr><td>10</td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>ქართული ასომთავრული, საკრალური პოეზია</td><td>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი” – VIII;
2016 წლის13-14 მაისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია
აღნიშნული ნაშრომი წაკითხული იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ჩვენი სულიერების ბალავარი“ პლენარულ სხდომაზე. მასში ლაპარაკია ქართულ ასომთავრულში ჩადებულ საკრალურ საიდუმლოზე. გახსნილია ქართული ასომთავრული ანბანის წრით გამოხატულ სისტემაში ვარსკვლავის ჩასმის ნამდვილი არსი და საიდუმლო, რის შედეგადაც მიღებული იქნა უჩა ოქროპირიძის „დაიცევი“ სისტემა თავისი 5 (ხუთი) კვირეულით, რომელთაგან პირველის, მასში ჩახატული ორი ჯვრის მეშვეობით წაკითხული (8 რვა) ასო ნიშნის, შინაარსი ასეთია: „აე გზა ელი“, ანუ „აე</td></tr>
</table>

გზა უფლისა“ (ა-ე |გ-ზ-ა| ე-ლი = არსთა საწყისის წმინდა ენა| მიწიერი ზენა არსი| წმინდა ენის სულიერი სავანე (ამ შემთხ-ვევაში უფალი იესო ქრისტე - უ. ო.)			
11	**უჩა ოქროპირიძე**	**კიდევ ერთ-ხელ ბრესტის ზავის, მოსკო-ვისა და ყარ-სის ხელშეკ-რულებების შესახებ**	საერთაშორისო სამეცნიე-რო კონფერენცია „ბათუ-მი – წარსული და თანა-მედროვეობა” – VII; 2016 წლის 2-3 სექტემბე-რი; ბათუმის შოთა რუს-თაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომი წაკითხული იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ პლენარულ სხდომაზე, რისი მიზეზიც იყო ამ ბოლო დროს ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებისა და მასთან დაკავშირებული საკითხებისადმი განსაკუთრე-ბით გაზრდილი ინტერესი. მოხსენებაში არის რეალური მცდელობა, ერთი კონფერენციის ფარგლებში, შესაძლო პასუ-ხი გაეცეს აღნიშნული მოვლენების ირგვლივ ხელოვნურად შექმნილ აჟიოტაჟს და მათით არაჯანსაღი მანიპულირების მცდელობებს ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწი-ფოებრიობის არაკეთილმოსურნეთა მხრიდან. მასში მოყვანი-ლი ისტორიული ფაქტების, ისტორიული დოკუმენტებისა და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების სა-ფუძველზე ხაზგასმულია მსგავსი მცდელობათა სრული უნაყოფობა.

12	**უჩა ოქროპირიძე**	**ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები ივანე ჯავახიშვილის შრომებში**	ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 5 მაისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ანოტაცია მოხსენება წარდგენილი და წაკითხული იქნა თანამედროვე ქართული ისტორიული მეცნიერების ფუძემდებლის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე. მოხსენებაში განხილულია ივანე ჯავახიშვილის ის უდიდესი ღვაწლი და მაღალკვალიფიციური კვლევის შედეგები ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხების შესწავლის საქმეში, რამაც, ფაქტიურად, სათავე დაუდო ქართულ მეცნიერებაში ამ საინტერესო მიმართულების მეცნიერულ კვლევას.			
13	**უჩა ოქროპირიძე**	**დიმიტრი ბაქრაძე და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები**	დიმიტრი ბაქრაძის დაბადებიდან 190 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 24 ნოემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია მოხსენება წაკითხული იქნა დიმიტრი ბაქრაძის 190-ე			

წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე. მასში ასახულია დიმიტრი ბაქრაძის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესასწავლად გაწეული დიდი მუშაობა, განსაკუთრებით კი მისი დამსახურება და წვლილი იმდროინდელი ლაზისტანის პრობლემის წინ წამოწევასა და კინტრიშის უბნის ყველანაირი ასპექტით შესწავლაში.			
14	**მაია ჭიჭილეიშვილი**	**ბათუმის ერთი სახლის ისტორია**	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“; 2016 წლის 19-20 მაისი; ქუთაისი;

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია XX საუკუნის 10-იან წლებში აგებული ცნობილი მრეწველის ნიკოლოზ საბაშვილის სახლი, რომელიც ძველი ბათუმის არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. სამსართულიანი, რენესანსულ-ბაროკული სტილის პომპეზური შენობა, მის მიმდებარე მასშტაბურ ნაგებობებთან ერთად მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქალაქის ისტორიული ნაწილის ურბანულ სახეს. ქუჩათა გადაკვეთაზე მდგარ ნაგებობას გამორჩეულ იერს არქიტექტურული ელემენტების (რუსტიკა, კორინთული ნახევარსვეტები, პილასტრები, დიდი ზომის კრონშტეინებს დაყრდნობილი ქვის ბალუსტრადიანი აივნები) და პლასტიკური დეკორის განსაკუთრებული სიუხვე - ერკერის საყრდენი ატლანტების ფიგურები და თაღოვან ფრონტონებში ჩასმული მუზარადიანი ტიტანების მონუმენტური თავები ანიჭებს. სწორედ ადგილ-

მდებარეობის, სივრცისა და მასშტაბის მაორგანიზებელი მნიშვნელობის, ფასადის მწყობრი კომპოზიციური სტრუქტურის, უხვად ნაძერწი ორნამენტული ელემენტებისა და სკულპტურული დეკორის წყალობით ნაგებობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი ბათუმის განაშენიანებაში. ნ. საბაშვილის საცხოვრებელი სახლის სკულპტურებით შემკობა ცნობილი ქართველი მოქანდაკის - სერაფიმე პოლოლიკაშვილის (1870-1918) სახელთანაა დაკავშირებული.			
15	**მაია ჭიჭილეიშვილი**	**ძველი ბათუმის ქუჩების განაშენიანება (მემედ აბაშიძის გამზირი)**	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა” – VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია მოხსენება შეეხება, ბათუმში მ. აბაშიძისა და კ. გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე, ქართველი მრეწველის ნიკოლოზ საბაშვილის სახლის ისტორიასა და არქიტექტურას. შენობის ქანადაკებებით შემკობაში ცნობილ ქართველ მოქანდაკეს, ქუთაისში მოღვაწე ოსტატს - სერაფიმე პოლოლიკაშვილს მიუღია მონაწილეობა.			
16	**ოლეგ ჯიბაშვილი** (თანამომხსენ.: ისტ. დოქტ. ხათუნა	**1878 წლის აგვისტოს დღეები ბათუმში**	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა” – VII; 2016 წლის 2-3 სექტემ-

	დიასამიძე)		ბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელ-მწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

მოხსენებაში აღინიშნა, რომ ბათუმი, თავისი მოხერხებული გეოსტრატეგიული მდებარეობითა და პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობით, ადრიდანვე იქცევდა რუსეთის მზარდი სახელმწიფოს ყურადღებას. XIX საუკუნის მანძილზე ოსმალეთთან გადახდილი არაერთი წარმატებული ომისა, რუსეთმა ვერაფრით შესძლო ბათუმის დაუფლება. ეს მხოლოდ 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად მოხერხდა. ოსმალეთი დამარცხდა და იძულებული გახდა რუსეთისათვის ზავი შეეთავაზებინა. 1878 წ. 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს ზავით რუსეთმა ოსმალეთისაგან სერიოზული პოლიტიკური და ტერიტორიული დათმობები მიიღო, მათ შორის, ბათუმიც.

ხაზი გაესვა, რომ რუსეთის წარმატებებმა შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოები, ისინი საქმეში ჩაერივნენ და სცადეს მისი გამარჯვების გაქარწყლება. ყველაზე მეტად ინგლისი აქტიურობდა. ინგლისურ და რუსულ წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენები იქნა, რომ დიდი ბრიტანეთი ცდილობდა ბათუმის სანჯაყში ადგილობრივი მოსახლეობის ანტირუსული აჯანყების პროვოცირებაც მოეხდინა. ამით წაქეზებული ოსმალეთი ახალი ომისათვის სამზადისს შეუდგა. ასეთ ვითარებაში რუსეთი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ბერლინის კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს ხელშეკ-რულების გადასინჯვას.

ბერლინის კონგრესზე (1878 წ.-ის 1 (13) ივნისი – 1 (13) ივ-

ლისი) რუსეთმა შეძლო სან-სტეფანოს ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შენარჩუნება. ინგლისის თანხმობით და ბერლინის ტრაქტატის ძალით, მასვე დარჩა ბათუმიც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პეტერბურგში ბოლო მომენტამდე არ სჯეროდათ ოსმალთაგან ბათუმის დათმობის შესაძლებლობისა. მოხსენებაში დასაბუთდა, რომ ბათუმის რუსეთის ფარგლებში დარჩენა როტშილდების გავლენიანი გვარის ჩარევამ განაპირობა. მათ ბათუმთან დაკავშირებით თავისი ეკონომიკური ინტერესები გააჩნდათ. დასასრულს, მიეთითა, რომ ბათუმში რუსეთის საჯარისო ნაწილები სამი მხრიდან შევიდნენ: 25 აგვისტოს (6 სექტემბერს) ქობულეთის მხრიდან – კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილის ნ. სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით; 30 აგვისტოს (11 სექტემბერს) – ართვინის გზით ჭოროხზე გამოვლით გენერალ კ. კომაროვის, ხოლო 2 (14) სექტემბერს ახალციხის გზით ზემო აჭარის გავლით – გენერალ ტრეიტერის ხელმძღვანელობით. ბათუმის თურქულმა ხელისუფლებამ ქალაქი საზეიმო ვითარებაში გადასცა რუსეთის წარმომადგენლობას.			
17	**ირინე ვარშალომიძე**	**ბიზანტიური მონეტა ბათუმის შემოგარენიდან**	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა” – VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

<table>
<tr><td colspan="4">ანოტაცია
მოხსენებაში განხილული იყო 2015 წელს ბათუმში, მწვანე კონცხის დასახლებაში, შემთხვევით აღმოჩენილი სპილენძის მონეტა. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ესაა ბიზანტიის იმპერატორ იოანე ციმისხეს (969-976წწ) სახელით მოჭრილი ბიზანტიური საფასე. მიმოხილულია საქართველო ბიზანტიის ურთიერთობები IV საუკუნიდან, ბიზანტიური ფულების ჩვეში შემოსვლის მიზეზები და გზები, მეათე საუკუნის დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევა, მასში ბიზანტიური ფულის დომინანტური როლი, აჭარის ზღვისპირა ზოლის აქტიური ჩართულობა ბიზატიასტან სავაჭრო-ეკოომიკურ ურთიერთობებში და ა.შ.</td></tr>
<tr><td>16</td><td>ირინე ვარშალომიძე</td><td>კირმანეული თეთრი სოფელ აჭყვისთავიდან</td><td>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო“ (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია); 2016 წლის 15-16 სექტემბერი; აჭარის არ მთავროზის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია
მოხსენება ეძღვნებოდა 2014 წელს აჭყვისთავში (ქობულეთი) ნაეკლესიარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ კირმანეულ თეთრს (XIII-XIV სს). შესავალში ავტორს გაშუქებული აქვს საქართველოს ისტორიის ამ ეტაპზე, კერძოდ მონღოლთა ბატონობის პერიოდში, დავით ნარინის დასავლეთ საქართვე-</td></tr>
</table>

ლოში გადმოსვლის მიზეზები, ურთიერთობა ტრაპიზონის სამეფოსთან. განხილულია ჩვენში ტრაპიზონის ასპრების მიმოქცევისა და მათი პოპულარობის მიზეზები, კირმანეული თეთრის ემისიისა, ლეგალურობისა და ემიტენტეს საკითხები, აჭყვისთავში აღიშნული ნუმიზმატიკური ძეგლის დალექვის მიზეზები.

სხვა აქტივობები

ბიჭიკო დიასამიძე

მთავარი რედაქტორი კრებულების:

- ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VIII, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 452 გვ.;
- ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VII, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 465 გვ.;
- ‘’სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“, I(VI), გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი;
- ,,აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 404 გვ.;
- ,,რუსთაველი და ,,ოქროს ხანის“ საქართველო“, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 120 გვ.;

სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო
კომიტეტის თავმჯდომარე:

საერთაშორისო:

- 2016 წლის 13-14 მაისი – ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“;
- 2016 წლის 2-3 სექტემბერი – ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“;

ადგილობრივი:

- 2016 წლის 5 მაისი – ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 20 ოქტომბერი – შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 7 ნოემბერი – ვახუშტი ბატონიშვილის დაბადებიდან 320 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 24 ნოემბერი – დიმიტრი ბაქრაძის დაბადებიდან 190 წლისთავისადმი მიძღვნილი;

საველე ექსპედიციებისადმი ხელმძღვანელობა:

- 2016 წლის 27-28 ივნისი – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჭახლისწყლის ხეობაში;
- 2016 წლის 3 ნოემბერი – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ყოროლისწყლის ხეობაში;

საგაზეთო წერილების გამოქვეყნება:

- 2016 წლის აპრილი – ,,სახელოვანი მეცნიერი და მოღვაწე“ (ივანე ჯავახიშვილი – 140), გაზ. ,,ბათუმის უნივერსიტეტი“, №4;
- 2016 წლის ოქტომბერი – ,,სახელი მისის მარად დარჩება“ (სიმონ ზაზაძის გარდაცვალების გამო), ავტორთა კოლექტივთან ერთად, გაზ. ,,ბათუმის უნივერსიტეტი“, №10;

სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში მონაწილეობა:

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი;
- კითხულობს ლექციების კურსს ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის მაგისტრანტებთან საქართველოს ისტორიაში;
- 2016 წლისს 9 ივნისი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივესიტეტის ფოიეში აჭარის მატერიალური და კულტურის ძეგლების ფოტო-გამოფენის და წიგნის ,,აჭარის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“-ს წარდგენის ორგანიზება;

საჯარო გამოსვლა:

- 2016 წლის 18 მარტი – ტელეარხ ,,ობიექტივში“ გამოსვლა (მაია ჭიჭილეიშვილთან და ოლეგ ჯიბაშვილთან ერთად) ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;

ნინო ინაიშვილი

კრებულების სარედაქციო კოლეგიის წევრი:

- ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VIII, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 452 გვ.;
- ,,აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 404 გვ.;

რეცენზირება:

- რეცენზია კრებულზე – ,,ბათუმი წარსული და თანამედ-

როვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VII, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 465 გვ.;

სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი:

საერთაშორისო:

- 2016 წლის 13-14 მაისი – ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“;
- 2016 წლის 2-3 სექტემბერი – ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“;

ადგილობრივი:

- 2016 წლის 5 მაისი – ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 20 ოქტომბერი – შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 7 ნოემბერი – ვახუშტი ბატონიშვილის დაბადებიდან 320 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 24 ნოემბერი – დიმიტრი ბაქრაძის დაბადებიდან 190 წლისთავისადმი მიძღვნილი;

2016–2017 წლებში ბილკენტის უნივერსიტეტის (ანკარა, თურქეთი) ხელოვნებისა და არქიტექტურის ფაკულტეტის ინიციატივით ტარდება კონფერენციების სერია თემაზე: „ანატოლიის მდინარეები დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის: ღერძები და საზღვრები (ადამიანისა და გარემოს გეოგრაფიული, ეკონომიკური და კულტურული ინტერაქცია ანტიკურ ხანაში)“. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი არის ამ კონფერენციების ერთ-ერთი ორგანიზატორი. ბათუმში კონფერენცია ჩატარდება 2017

წლის 4-7 აპრილს.

ამა წლის 17-20 ნოემბერს ანკარაში, ბილკენტის უნივერსიტეტში ჩატარდა პირველი კონფერენცია, რომელზედაც ნ. ინაიშვილი მიწვეული იყო როგორც საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის წარმომადგენელი.

2016 წლის 27 ივნისის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №98 ხელშეკრულების საფუძველზე ა(ა)იპ „ბათომმა“ (ხელმძღვანელი ნინო ინაიშვილი), „ბათუმის“ სატენდერო წინადადების საფუძველზე, სატენდერო განცხადება NSPA160017184, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიაწოდა პეტრას ციხეზე არქეოლოგიური გათხრების წარმოების მომსახურეობა, არქეოლოგიური გათხრების პროექტის (პროექტის ავტორი – ნინო ინაიშვილი) შესაბამისად. გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა სულ 24500 (ოცდაოთხი ათას ხუთასი) ლარი. არქეოლოგიური გათხრების წარმოებისა და ანგარიშის მიწოდების ვადები: 2016 წლის 27 ივნისიდან 2016 წლის 25 სექტემბრამდე.

2016 წელს პეტრას ციხეზე პეტრა-ციხისძირის II ეტაპის სარესტავრაციო–საკონსერვაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ციხის ოთხ უბანზე განხორციელდა არქეოლოგიური გათხრები (ექსპედიციის ხელმძღვანელი – დავით მინდორაშვილი). I უბანი (ფართობი 8x17 მ) მდებარეობდა ციხის სამხრეთ კარიბჭესთან, ზღუდის ორმაგი კედლის ტერიტორიაზე. აქ შესწავლილ იქნა ციტადელის სამხრეთი ფერდობი, სადაც დიდი რაოდენობით გამოვლინდა ზღუდის კედლების ნანგრევები. დაქანებულ ფერდზე სამუშაოები წარმოებდა 1–1,60 მეტრ სიღრმეებზე. გათხრების შედეგად გამოიკვეთა მანამდე მიწით დაფარული კედ-

ლების კონტურები. სრული სახით გამოჩნდა აღმოსავლეთი ზღუდის კედელში არსებული თაღოვანი ნაგებობები. განათხარი არტეფაქტებიდან აღსანიშნავია VI საუკუნით დათარიღებული ამფორები, ასევე VI ს–ის სპილენძის მონეტა და სხვ.

გათხრების II უბანი მდებარეობდა შიდა ციხის აღმოსავლეთ კარიბჭესთან, რომელიც ციხის ადრეულ ნაგებობათა ჯგუფს მიეკუთვნება და VI ს-ით თარიღდება. გათხრები წარმოებდა კარიბჭის ჩრდილოეთით მიმდებარე ტერიტორიაზე (ფართობი 6x5,50 მ). აქ მიწის ფენა აღებულ იქნა 1,30 მ სიღრმეზე. გათხრების შედეგად დადგინდა ციხის ცალკეული სამშენებლო პერიოდები. გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა მხოლოდ გვიანდელი შუა საუკუნეებისაა – თიხის ჭურჭელი, ჩიბუხი; სპილენძის ჯამი, რკინის ლურსმნები, ზარბაზნის ჭურვები.

III უბანი, სადაც ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა წარმოადგენს ციხის აღმოსავლეთი კარიბჭის ჩრდილო-დასავლეთით მიმდებარე ტერასას (ფართობი 22x10 მ). აქ სამუშაოები რიგ ადგილას წარმოებდა 1,50 მ სიღრმეზე. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი 0,30 მ სიღრმეზე გაითხარა. გაიწმინდა გვიანდელი შუა საუკუნეების აბანოს ნანგრევები (12,5x8,40 მ). აბანო აფეთქებულ-დანგრეული უნდა იყოს რუსეთ-თურქეთის ომის დროს, კერძოდ 1878 წელს, რუსეთის ჯარის საარტილერიო ჭურვებით. აბანოს ტერიტორიაზე გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ძირითადად გვიანდელი შუა საუკუნეების კერამიკითაა წარმოდგენილი.

IV უბანი მდებარეობდა ციხის დასავლეთი ფერდობის ძირას, რკინიგზასა და ზღვის სანაპიროს შორის. აღნიშნულ ტერიტორიაზე გაიწმინდა ბაზალტის ფლეთილი ქვითა და აგურით კირხსნარზე ნაგები მძლავრი კედლები. შესაძლოა ეს ადგი-

ლი წარმოადგენდა ციხის დასავლეთი ფერდის ადვილად მისადგომ ტერიტორიას და ამის გამო მოხდა ამ ადგილის კედლებით გამაგრება. არც ისაა გამორიცხული, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში ციხეს ამ მხრიდან ჰქონდა ერთ-ერთი შემოსასვლელი. გაწმენდის პროცესში გამოვლინდა VI ს-ის კრამიტებისა და ამფორების ნატეხები.

2016 წლის 5 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №130 ხელშეკრულების საფუძველზე ა(ა)იპ „ბათომმა“ (ხელმძღვანელი ნინო ინაიშვილი), „ბათომის“ სატენდერო წინადადების საფუძველზე, სატენდერო განცხადება NSPA160000519, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიაწოდა ხიხანის ციხეზე არქეოლოგიური გათხრების წარმოების მომსახურეობა, არქეოლოგიური გათხრების პროექტის შესაბამისად. გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა სულ 19400 (ცხრამეტი ათას ოთხასი) ლარი. არქეოლოგიური გათხრების წარმოებისა და ანგარიშის მიწოდების ვადები: 2016 წლის 5 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე.

გიორგი თავამაიშვილი

კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი:

- ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VII, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 465 გვ.;

ოთარ თურმანიძე

კრებულების სარედაქციო კოლეგიის წევრი:

- ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VIII, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 452 გვ.;
- ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VII, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 465 გვ.;
- ,,აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 404 გვ.;

სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი:

საერთაშორისო:

- 2016 წლის 13-14 მაისი – ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“;
- 2016 წლის 2-3 სექტემბერი – ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“;

ადგილობრივი:

- 2016 წლის 5 მაისი – ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 20 ოქტომბერი – შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 7 ნოემბერი – ვახუშტი ბატონიშვილის დაბადებიდან 320 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 24 ნოემბერი – დიმიტრი ბაქრაძის დაბადებიდან 190 წლისთავისადმი მიძღვნილი;

უჩა ოქროპირიძე

კრებულების სარედაქციო კოლეგიის წევრი:

- ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VIII, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 452 გვ.;
- ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VII, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 465 გვ.;
- ,,აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 404 გვ.;
- „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ (თსუ-ს ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების კრებული), გამომც. „უნივერსალი“, თბილისი,
- „ამირანი“ (საერთაშორისო ინტერნეტ-ჟურნალი), http://www.caucasology.com/amirani–geo.php

სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი:

საერთაშორისო:

- 2016 წლის 13-14 მაისი – ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“;
- 2016 წლის 2-3 სექტემბერი – ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“;

ადგილობრივი:

- 2016 წლის 5 მაისი – ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან

140 წლისთავისადმი მიძღვნილი;

- 2016 წლის 20 ოქტომბერი – შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 7 ნოემბერი – ვახუშტი ბატონიშვილის დაბადებიდან 320 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 24 ნოემბერი – დიმიტრი ბაქრაძის დაბადებიდან 190 წლისთავისადმი მიძღვნილი;

საველე ექსპედიციებში მონაწილეობა:

- 2016 წლის 27-28 ივნისი – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჭახლისწყლის ხეობაში (ხელ.-ლი ბიჭიკო დიასამიძე)
- 2016 წლის 3 ნოემბერი – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ყოროლისწყლის ხეობაში (ხელ.-ლი ბიჭიკო დიასამიძე)

რეცენზირება:

- 2016 წლის 7 ივნისი – რეცენზია გაუკეთა ისტორიის დოქტორის ხარისხის მაძიებლის **ავთანდილ დიასამიძის** საკვალიფიკაციო ნაშრომს – **„გრიგოლ გურიელი – საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობისათვის მებრძოლი“;**

სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში მონაწილეობა:

- საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მიჰყავს ლექციების კურსი საქართველოს ისტორიაში (უძველესი დროიდან დღემდე), მუშაობს მო-

სამზადებელ ჯგუფებთან საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიებში;

- მონაწილეობდა (ოლეგ ჯიბაშვილთან ერთად) სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ქ. ბათუმის სკოლების მოსწავლეებისათვის ორგანიზებულ ინტელექტუალურ თამაშებში **"სად? რა? როდის?"**, რომლებიც მიეძღვნა **"დავითობისა"** (ჩატარდა 8 თებერვალს) და **"თამარობის"** (ჩატარდა 16 მაისს) დღესასწაულებს – **ჟიურის წევრი;**
- 2016 წლის 22-23 სექტემბერი – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ცენტრში წაიკითხა საჯარო ლექციები თემებზე: „დავით აღმაშენებელი" და „ყარსის ხელშეკრულება";

დასაბეჭდად აქვს გამზადებული სქელტანიანი ნაშრომი „კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი" (452 გვერდი); მ/წელს ხშირად ბეჭდავდა საგაზეთო სტატიებს სხვადასხვა საკითხებზე. აქვს საკუთარი გვერდი „Unews.ge ინტერნეტ საიტზე, რომელზედაც განთავსებულია მისი 30-ზე მეტი ნაშრომი და სტატია ისტორიისა თუ თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე, რომელიც წლის განმავლობაში წაიკითხა 10 ათასზე მეტმა მომხმარებელმა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე. არის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და აქტიურად მონაწილეობს მის მუშაობაში.

მაია ჭიჭილეიშვილი

კრებულების სარედაქციო კოლეგიის წევრი:

- „ჩვენი სულიერების ბალავარი" (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VIII, გამომც. „უნივერ-

სალი“, თბილისი, 452 გვ.;

- ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VII, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 465 გვ.;
- ,,აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 404 გვ.;

სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი:

საერთაშორისო:

- 2016 წლის 13-14 მაისი – ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“;
- 2016 წლის 2-3 სექტემბერი – ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“;

ადგილობრივი:

- 2016 წლის 5 მაისი – ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 20 ოქტომბერი – შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 7 ნოემბერი – ვახუშტი ბატონიშვილის დაბადებიდან 320 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 24 ნოემბერი – დიმიტრი ბაქრაძის დაბადებიდან 190 წლისთავისადმი მიძღვნილი;

საჯარო გამოსვლა:

- 2016 წლის 18 თებერვალი – არასამთავრობო ორგანიზაციების ორგანიზებული შეხვედრა. მოხსენება „ბათუმის ბულვარის ისტორია“;

- 2016 წლის 18 მარტი – ტელეარხ ,,ობიექტივში“ გამოსვლა (ბიჭიკო დიასამიძესთან და ოლეგ ჯიბაშვილთან ერთად) ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;
- 2016 წლის 14-15 სექტემბერი – მონაწილეობდა პეტრაციხისძირის რესტავრაცია-რეაბილიტაციისა და ინფრასტურქტურის მოწყობის საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენცია-დისკუსიაში (ჩაქვი, სასტუმრო ოაზისი);

ელექტრონული ენციკლოპედიისათვის „საქართველო“ მოამზადა ორი სტატია: „სხალთის სამონასტრო კომპლექსი“ და „დანდალოს ხიდი“;

ოლეგ ჯიბაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი კრებულების:

- ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VIII, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 452 გვ.;
- ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VII, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 465 გვ.;
- ‘’სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“, I(VI), გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი;
- ,,აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 404 გვ.;

– ,,რუსთაველი და ,,ოქროს ხანის“ საქართველო“, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 120 გვ.;

სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი:

საერთაშორისო:

– 2016 წლის 13-14 მაისი – ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“;
– 2016 წლის 2-3 სექტემბერი – ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“;

ადგილობრივი:

– 2016 წლის 5 მაისი – ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი;
– 2016 წლის 20 ოქტომბერი – შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილი;
– 2016 წლის 7 ნოემბერი – ვახუშტი ბატონიშვილის დაბადებიდან 320 წლისთავისადმი მიძღვნილი;
– 2016 წლის 24 ნოემბერი – დიმიტრი ბაქრაძის დაბადებიდან 190 წლისთავისადმი მიძღვნილი;

საველე ექსპედიციებში მონაწილეობა:

– 2016 წლის 27-28 ივნისი – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჭახლისწყლის ხეობაში (ხელ.-ლი ბიჭიკო დიასამიძე)
– 2016 წლის 3 ნოემბერი – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ყოროლისწყლის ხეობაში (ხელ.-ლი ბიჭიკო დიასამიძე)

რეცენზირება:

– 2016 წლის 28 ივნისი – რეცენზია ბათუმის შოთა რუს-

თაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტ **გუგული კუკულაძის** მიერ აპრობაციისათვის წარდგენილ სადოქტორო ნაშრომზე – **„საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბძოლის პროცესში 1918-1920 წწ. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო)“;**

სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში მონაწილეობა:

- საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მიჰყავს ლექციების კურსი საქართველოს ისტორიაში (უძველესი დროიდან დღემდე);
- მიწვეული ლექტორის სტატუსით კითხულობს ლექციების კურსს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიაში (უძველესი დროიდან დღემდე);
- მონაწილეობდა (უჩა ოქროპირიძესთან ერთად) სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ქ. ბათუმის სკოლების მოსწავლეებისათვის ორგანიზებულ ინტელექტუალურ თამაშებში **“სად? რა? როდის?”,** რომლებიც მიეძღვნა **“დავითობისა”** (ჩატარდა 8 თებერვალს) და **“თამარობის”** (ჩატარდა 16 მაისს) დღესასწაულებს – **ჟიურის წევრი;**
- 2016 წლის 22-23 სექტემბერი – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ცენტრში წაიკითხა საჯარო ლექციები თემებზე: „დავით აღმაშენებელი“ და „გეორგიევსკის ტრაქტატი“;

საჯარო გამოსვლები:

- 2016 წლის 18 მარტი – ტელეარხ ,,ობიექტივში“ გამოსვლა (ბიჭიკო დიასამიძესთან და მაია ჭიჭილეიშვილთან ერთად) ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

ირინე ვარშალომიძე

კრებულების სარედაქციო კოლეგიის წევრი:

- ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VIII, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 452 გვ.;
- ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VII, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 465 გვ.;
- ,,აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 404 გვ.;

სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი:

საერთაშორისო:

- 2016 წლის 13-14 მაისი – ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“;
- 2016 წლის 2-3 სექტემბერი – ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“;

ადგილობრივი:

- 2016 წლის 5 მაისი – ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან

140 წლისთავისადმი მიძღვნილი;

- 2016 წლის 20 ოქტომბერი – შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 7 ნოემბერი – ვახუშტი ბატონიშვილის დაბადებიდან 320 წლისთავისადმი მიძღვნილი;
- 2016 წლის 24 ნოემბერი – დიმიტრი ბაქრაძის დაბადებიდან 190 წლისთავისადმი მიძღვნილი;

უჩა ოქროპირიძე

მაჭახლის ხეობაში ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციის ანგარიში

2016 წლის 27-28 ივლისს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილებამ ჩაატარა წლიური გეგმით გათვალისწინებული კომპლექსური ექსპედიცია **მაჭახლის ხეობაში.** აღნიშნული ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ: **ბიჭიკო დიასამიძე** (ექპედიციის ხელ-ლი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი), **უჩა ოქროპირიძე** (ისტორიის დოქტორი, ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი), **ოლეგ ჯიბაშვილი** (ამავე განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი), **სულხან მამულაძე** (ამავე განყ-ის სპეციალისტი (არქეოლოგი, ბსუ-ს მაგისტრანტი,), **ჯემალ ვარშალომიძე** (ისტორიის დოქტორი, ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი), **ჯემალ მიქელაძე** (ისტორიის დოქტორი, ამავე განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი, მხატვარ-არქიტექტორი), **ზურაბ ნაგერვაძე** (სოფ. აჭარის აღმართის 9-წლიანი საჯარო სკოლის დირექტორი, ისტორიკოსი), **ჯონი კოპინაძე** (მძღოლი).

ექსპედიციის პირველ დღეს, 2016 წლის 27 ივლისს, ბათუმიდან გავედით დილის 9 საათზე. ჭოროხზე გადასასვლელ მირვეთის დაკიდულ ხიდთან დაგვხდა ექსპედიციის ადგილობრივი მეგზური, სოფ. აჭარის აღმართის 9-წლიანი სკოლის დირექტორი ზურაბ ნაგერვაძე, რომელიც ჩვენი ექსპედიციის მუშაობის 2 დღის განმავლობაში გვერდიდან არ მოგვშორებია, ჩვენთან ერთად მონაწილეობდა კონსულტაციებში და გვაკვალიანებდა ადგილზე შესასწავლი ისტორიულ-კულტურული დანიშნულების ობიექტების შერჩევის დროს.

უპირველეს ყოვლისა, ავედით სოფელ ზემო **ჩხუტუნეთში**, სადაც მოვინახულეთ ამ სოფლის ყოფილ უმშვენიერეს **მეჩეთში** (მეჩეთი, ადგილობრივთა გადმოცემით, აშენებულია ლაზი ოსტატის მიერ, რომლის ვინაობაც, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის) განთავსებული, საკმაოდ მდიდრული ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალით მოწყობილი **მუზეუმი,** რომელშიც გადავიღეთ ადგილობრივი ყოფის ამსახველი მასალები.



ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებულმა, ორნამენტებითა და ჩუქურთმებით მორთულმა მეჩეთის ინტერიერის არქიტექტურულმა დეტალებმა (მეჩეთი შედგება 3 იარუსისაგან და თითქმის მთლიანად ჩუქურთმებითა და ორნამენტებითაა დაფარული). მეჩეთის გუმბათის ცენტრში განთავსებულ ორნამენტში ჩა-

ტანებულია ჯვრის გამოსახულება. ჯვრებია გამოსახული აგრეთვე გუმბათის საყრდენად გამოყენებული კონსტრუქციის ოთხივე კუთხის აღმნიშვნელ ფრაგმენტებში.

ექსპედიციის წევრთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მეჩეთის ერთ-ერთი უმთავრესი დეტალის, მინბარის (ჰუდბე) კედლის თითქმის ძირში გამოსახულმა ორნამენტირებული დოქის და მასში ჩახატული ბორჯღალის კომპლექსმა, რომელსაც გვერდიდან სიცოცხლის ხის ასევე ორნამენტირებული გამოსახულება ამშვენებს.



ჩვენ მიერ (უ. ოქროპირიძე) გამოითქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული კომპლექტი (სიცოცხლის ხის გამოკლებით), შეიძლება წარმოადგენდეს ამ მეჩეთის ამშენებელი, ზემოთ მოხსენიებული უცნობი ლაზი ოსტატის საიდენტიფიკაციო ნიშანს, ე. წ. „დამღას“, რომელშიც იგი, შეიძლება მისდა უნებურადაც, უბრალოდ,

თავის რწმენაში ქვეშეცნეულად შემორჩენილ საკუთარ ქართულ ეროვნულ იდენტობას აფიქსირებს.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს ზემო ჩხუტუნეთის ყოფილი მეჩეთის ინტერიერის ორნამენტირება-მოხატვაში ქართული ქრისტიანული ხელოვნებისა და მისთვის დამახასიათებელ ატრიბუტთა, თუმცა შეფარულად, მაგრამ მაინც ჭარბი გამოყენება, ვიდრე ეს დამახასიათებელია საქართველოს სხვა რეგიონების მუსლიმანური სალოცავებისათვის (აღნიშნული ე. წ. „დამღა“, ჯვრები თუ ჯვრიანი ვარდულები, ერთმანეთში გადაწნული ქრისტიანული სიმბოლოები და სხვა).



ამავე სოფელში, **ძნელიეთის უბანში,** ანტონ ძნელაძის საცხოვრებელი სახლის მახლობლად ვნახეთ და დავაფიქსირეთ ძველი ფეოდალური საქართველოს პერიოდისთვის დამახასიათებელი **მცირე აკლდამის** ტიპის ნაგებობა, რომელიც შეუსწავლელია და დღემდე **მარნის** სახელით მოიხსენიება. მაგრამ მისი ინტერიერის ყურადღებით დათვალიერებისას მარნისთვის დამახასიათებელი რაიმე ატრიბუტი ვერ შევნიშნეთ. ამასთან, ნაგებობას ეტყობა ახლახან მისი შიგნიდან გამაგრების მცდელობის აშკარა კვალი, რის გამოც ნაგებობის ადრინდელი იერსახე, სავარაუდოდ წაიშალა. ამიტომაც ექსპედიციის წევრები საბოლოოდ ვერ შევთანხმდით, თუ რა დანიშნულების უნდა ყოფილიყო აღნიშნული მცირე ზომის სათავსო (მასალა მისი მოცულობისა და სათანადო ჩანახაზები ინახება ჯ, მიქელაძესთან).



ნაგებობა გადაღებულია ვიდეო და ფოტოსურათების სახით. გამოითქვა ვარაუდები, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო ბერის ჩვეულებრივი სამლოცველო კელია (ბ. დიასამიძე), ან აკლდამა, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ქალაქ ჟინვალში ადრე არსებული აკლდამის (რომელიც ახლა წყლით არის დაფარული) მცირე ზომის ანალოგად (უ. ოქროპირიძე), ან სოფ. ზენდიდის (IX-X სს), ბაბუჩოღლების (ქედის მუნიციპალიტეტი) და მირვეთის (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) ეკლესიათა ნაშთების მსგავს სალოცავად; ან კიდევ, შეიძლება ეს ყოფილიყო, როგორც ახლა ეძახიან, საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსო - მარანი ან „მაცივარი“ (ჯ. მიქელაძე, ზ. ნაგერვაძე).

აქვე, **ზ. ჩხუტუნეთში** მოვინახულეთ, ვიდეო და ფოტომასალის სახით გადავიღეთ **ჩხერის ღელეზე** აგებული ქართული ასომთავრულის მრგვლოვანი ასო-ნიშან Ი-ს ფორმის **თაღოვანი ხიდი.** იგი სოფ. ჩხუტუნეთს აკავშირებს სასაზღვრო სოფლებთან - გორგაძეთსა და ქავთარეთთან, საიდანაც უკვე გადადის ამჟამად თურქეთის საზღვრებში მოქცეულ სოფ. ხერთვისში და გრძელდება ტაო-კლარჯეთისაკენ. მოვახდინეთ მისი ყოველმხრივი აზომვა და იქვე ხიდთან არსებული უმშვენიერესი ჩანჩქერის ფოტო და ვიდეოგადაღება.

ამავე სოფლის **ძნელიეთის უბნის** ქვემო ნაწილში (ადგილი **ჭონჭყო)**, ვნახეთ და შევისწავლეთ საკმაოდ დიდი მოცულობის (მისი ზუსტი აღწერილობა და აზომვები გაკეთდა ჯ. მიქელაძის მიერ, ო. ჯიბაშვილის დახმარებით, და ინახება მასთან; მოხდა აღნიშნული ობიექტის ვიდეო და ფოტოფიქსაცია - უ ოქრო-პირიძე, ჯ. ვარშალომიძე) თლილი, მოზრდილი ქვებით ნაშენი **საწნახელი**, რომელიც ამჟამად **ნაგერვაძეების საწნახლის** სახე-ლით არის ცნობილი (ცნობა მოგვაწოდა ზ. ნაგერვაძემ). ამავე სოფელში, როგორც თავის ნაშრომში – „მაჭახლის ხეობა“ –ეთ-ნოლოგი, ისტორიის მეცნ. დოქტორი ნ. კახიძე აღნიშნავს, ყოფი-ლა კიდევ 3 ასეთი დიდი ზომის საწნახელი: **მერეს, საჭინკურიას და ჯანავრას** (იქვე, გვ. 45)

ადგილზე მოპოვებული მასალისა და სხვა მოცემულობათა საფუძველზე, ძეგლის დანიშნულებასა და მის შესაძლო ასაკზე ექსპედიციის წევრების მიერ გამოითქვა ვარაუდები. მხატვარ-არქიტექტორის, ისტორიის დოქტორის ჯ. მიქელაძის აზრით, მშენებლობის სტილისა და მასზე გამოყენებული დუღაბის მიხედვით, აღნიშნული საწნახლის ასაკი შეიძლება ახ. წ. აღ-ის VII საუკუნემდე ჩავიდეს, აქვე მის მახლობლად კი შეიძლება არსებობდეს მარანი და სხვა დამხმარე სათავსოებიც.

ჯ. ვარშალომიძის აზრით, ამ ობიექტის ირგვლივ სავარაუ-დოა გაშენებული ყოფილიყო ადგილობრივი ყურძნის ჯიშის მაღლარი ვენახი, ან კიდევ ხილის ბაღები, რომლის ნაყოფთა დასაწურავადაც გამოიყენებდნენ აღნიშნულ საწნახელს...

ჩვენ (უ. ოქროპირიძე) გამოვთქვით შემდეგი ვარაუდი: აქ ასეთი დიდი ზომის საწნახლის არსებობამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ამ საწნახელში დაწურული საკმაოდ დიდი რაოდენობის ღვინოს უნდა ჰქონოდა სავაჭრო-სასაქონლო, ან კიდევ ძველ წარმართულ კულტთან დაკავშირებული რიტუალების მომსახურების დანიშნულება (ამას გვაფიქრებინებს ის, რომ საწნახელი მოთავსებულია მასზე ზემოდან სახურავივით გადმოხურული მასიური კლდის ქვეშ, რომელიც მას წვიმისაგან საიმედოდ იცავს). საწნახლის ახლოს ჩამომდინარე წყაროს წყლის ნაშთითა და ქვა-ღორღის ჩამონაშალით დაფარული ტერიტორია შეიძლება ადრე წარმოადგენდა ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშითა და წყაროს წყლით შემკულ მოზრდილ ბაქანს, სადაც შესაძლებელია ტარდებოდა უძველესი ქართული რელიგიური რიტუალები - წარმართული, ან კიდევ, დასაშვებია, ქრისტიანულიც. აქვე, მახლობლად, სავარაუდოა სათანადო საკულტო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთების

არსებობაც, რაც ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის გასუფთავების შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს (მიმდებარე ტერიტორია დაფარულია ხშირი მცენარეული საფარითა და ჩამონაშალი ქვაღორღით). აქვე გზის პირას ვნახეთ და გადავიღეთ **კარიმანას ჩანჩქერი.**

ბოლო ობიექტი, რომელზეც ამ დღეს ექსპედიციის წევრებმა ყურადღება შევაჩერეთ, იყო **ყალი-ვაკეს ციხე,** რომელზე ასულებმაც მოვახდინეთ მისი ვიდეო და ფოტოფიქსაცია. განსაკუთრებული ყურადღება აქ მიიქცია ციხის ძირში ჩამომდინარე მდინარის ნაპირზე ჩამავალმა **გვირაბის** ნაშთებმა, რომლის არსებობამ გვიბიძგა ანალოგია გაგვეკეთებინა ციხე-გოჯის ამავე

დანიშნულების გვირაბთან და გამოგვეთქვა ვარაუდი აღნიშ-ნული საფორტიფიკაციო ნაგებობის მნიშვნელოვან სტრატეგი-ულ დანიშნულებაზე. ამით ექსპედიციის პირველი დღე დას-რულდა.

2016 წლის 28 ივლისს, დილის 9[10] საათზე, ექსპედიცია იმავე შემადგენლობით გავედით ბათუმიდან. გადავედით ჭოროხის მეორე სანაპიროზე და ვნახეთ XVIII საუკუნეში აგებული **მირ-ვეთის თაღოვანი ხიდი,** რომელიც აშენებულია მირვეთის დიდ ღელეზე, მისი ჭოროხთან შეერთების ახლოს. ხიდი შესანიშნა-ვად გამოიყურება და აშკარად ეტყობა მასზე სულ ახლახან ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების კვალი. ხიდი მრგვლოვან-თაღოვანი მოხაზულობისაა და როგორც ჩანს, მდ. ჭოროხის გაყოლებით მიმავალი უძველესი საკომუნიკაციო გზის ნაწილს წარმოადგენდა.

გავიარეთ ადრე ბზის კორომებით გამშვენებული (ე. წ. ბზის ხეივანი), ახლა კი უკვე მთლიანად გადამხმარი ბზის ნაშთებით საშინელებათა ფილმს დამსგავსებული **მირვეთის ჩანჩქერისაკენ მიმავალი გზა;** მოვინახულეთ, ვიდეოსა და ფოტოებზე აღვბეჭდეთ და ეს ულამაზესი ჩანჩქერი და მისი შემოგარენი (უ.

ოქროპირიძე, ჯ. მიქელაძე, ზ. ნაგერვაძე), აღნიშნული გზის პირას მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოსთან არსებული უძველესი **ეკლესიის ნანგრევებითურთ**. ეკლესიის ნაშთები აზომეს ო. ჯიბაშვილმა და ს. მამულაძემ, ხოლო მისი ჩანახატები გააკეთა ჯ. მიქელაძემ. აქვე გადავიღე (უ. ოქროპირიძე) თანამედროვე ბეტონით აშენებული **წისქვილი**, მისი შიდა ინტერიერით. ყველას განსაკუთრებით დაგვწყვიტა გული აქ ადრე არსებული უნიკალური ბზის კორომების გახმობა-განადგურების სურათმა (ამერიკული პეპელას მიერ), რაც ამ ადგილებს საშინელებათა ფილმებში ნანახი ტყის იერსახეს აძლევს. განადგურების სურათი, მართლაც საშინელი და ტრაგიკულია...

ამ საშინელი სურათის შემდეგ ხასიათი შედარებით გამოგვიკეთა მდ. მაჭახლისა და ჭოროხის შესართავის მახლობლად მთაზე წამომართულმა **გვარას** (**კისერას** - ბ. დიასამიძე, ზ.

ჭიჭინაძეზე დაყრდნობით) ციხის, შედარებით უკეთ შემონახულმა, კარგი მისასვლელი გზითა საექსკურსიო ჩასასვლელი კიბითა და ბილიკით უზრუნველყოფილმა, ნაშთების ნახვამ. მოხდა ციხის ვიდეო და ფოტოგადაღება, ხოლო მისი აზომვა და შედარებით მოკლე აღწერა მოახდინა მკვლევარმა ჯ. მიქელაძემ.

ციხის მოზრდილი ქონგური (მისი სიმაღლე 4-დან 10-12 მეტრის ფარგლებში მერყეობდა) და მისი ზედა ნაწილი, ჩვენ მიერ ექსპედიციის დროს ნანახი ვაკი ყალეს ციხის ნაშთებთან შედარებით, კარგად გამოიყურება. ქონგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის საძირკვლიდან (ახლანდელი ქვა-ღორღისა და ნანგრევების ფონზე) თითქმის 1 მეტრის სიმაღლეზე გამოსახულია კარგად შემონახული **ჯვრის ფიგურა** (დაახლოებით 45 სმ სიმაღლისა და 33 სმ სიგანის).

სოფელ **სინდიეთში** მოვინახულეთ **ძველი ციხის** ნაშთები, რომელსაც ადგილობრივები **წულუკიძეების ციხის** სახელით მოიხსენიებდნენ. ამჟამად მის მიდამოებში მოსახლეობს **დავით ძნელაძე**, რომელმაც მოგვაწოდა ადრე მის მიერ გადაღებული აღნიშნული ციხის ფოტო სურათები. ამავე პიროვნებამ მოგვითხრო საკმაოდ საინტერესო ამბები მაჭახლის ხეობაში გავრცელებულ უძველეს გვართა და მათ შორის ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდში განვითარებულ ურთიერთობათა შესახებ. მანვე მოგვაწოდა მეტად საინტერესო საკუთარი ვერსიები „მაჭახელას“ თოფის ნამდვილ შემქმნელებზე და რეგიონში მისი წარმოების ისტორიაზე (თითქმის 39-წუთიანი საუბრის მაგნიტოფონზე ჩანაწერი ექსპედიციის მასალებს თან ერთვის. ჩაიწერა უ. ოქროპირიძემ).

შემდეგ ავედით სოფ. **აჭარის აღმართის** ცენტრში მდებარე **დაკიდული საცალფეხო ხიდის** მახლობლად, სადაც მოვახდინეთ აქვე ადრე არსებული **თაღოვანი ხიდის** შემორჩენილი **აღმოსავლეთი ბურჯის** და მეორე ნაპირზე დარჩენილი უმნიშვნელო ნაშთების ფოტო გადაღება და დღეს არსებული მდგომარეობის ფიქსაცია (უ. ოქროპირიძე, ჯ, მიქელაძე და ზ. ნაგერვაძე). სოფლის მცხოვრებლებმა, აღნიშნული ადგილიდან ზემოთ, დაახლოებით ნახევარ კილომეტრში, მიგვითითეს იქ ადრე არსებული სხვა **თაღოვანი ხიდის** ნაშთების არსებობაზე, რომლის დათვალიერება-ფიქსაცია მოულოდნელად დაწყებული წვიმის გამო ვეღარ მოვახერხეთ.



აქედან ექსპედიცია ავიდა **მდ. სკურდიდის** ულამაზესი ხეობის უმშვენიერეს სოფელ **სკურდიდში**. აქ რამაზ და ნაზიმ

ძნელაძეების სამოსახლოთა მახლობლად ჯ. ვარშალომიძემ დაათვალიერა, აღწერა და ფოტოფიქსაცია გაუკეთა იქ არსებულ, უკვე მიტოვებულ **მეჩეთს,** რომელიც შეიძლება აგებული იყოს, მისი აზრით, სადღაც მე-20 საუკუნის პირველ ოცწლეულში, რადგან მასზე მაჭახლის ხეობის სხვა მეჩეთებისათვის დამახასიათებელი ჩუქურთმები და ოსტატთა მიერ გამოყენებული მხატვრული ორნამენტული ხელოვნების ნიმუშები საერთოდ არ ფიქსირდება (უფრო სრულად იხ. ჯ. ვარშალომიძის აღნიშნული ექსპედიციის პირად ანგარიშში).

ექსპედიციის დანარჩენმა წევრებმა ვნახეთ, გადავიღეთ და შესაძლებლობის ფარგლებში შევისწავლეთ ამავე სამოსახლოთა ზემოთ, 250-300 მეტრში არსებული, ექსპედიციის ყველა წევრის საერთო შეთანხმებული აზრით, **ძველი სამოსახლოს ნაშთები** (ადგილის სახელი **ქედის კალო**, ადგილობრივთა გადმოცემით, **„ზენგინის (მდიდრის) სახლი“**), რომლის ნანგრევები და მის ირგვლივ ამოშენებული ყორეები საკმაოდ დიდ ფართობზეა განლაგებული. მათზე ამოსულმა ბალახმა და მცენარეულმა საფარმა საშუალება არ მოგვცა მისი ნორმალურად გადაღება-დაფიქსირებისა.

სამოსახლოს ზემო ნაწილში მოთავსებულია მასიურ ქვაში ამოკვეთილი (ჩამურის მსგავსად) ძველი **საცეხველის** კარგად შემონახული ნაწილი (ფრაგმენტი), რომლის სიღრმეა 63 სმ, ზედაპირის ხვრელის რადიუსი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 42 სმ, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 44 სმ-ია, მისი გარშემოწერილობა კი დაახლოებით 1 მეტრი და 6 სანტიმეტრი.

ამით ექსპედიციამ გეგმით გათვალისწინებული თავისი სამუშაო დაასრულა; მაგრამ ექსპედიციის მასალების მიხედვით, მის წევრთა მიერ ნანახისა და განცდილის შედეგად შექმნილი საერთო განწყობა, საშუალებას გვაძლევს გამოთქვათ მომავალზე გათვლილი კეთილგანწყობით ნაკარნახევი რამდენიმე სურვილი და ამ საქმით დაინტერესებულ სტრუქტურებსაც მივცეთ სათანადო რეკომენდაცია.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ ექსპედიციის დროს შესწავლილი ისტორიული ძეგლების აბსოლუტური უმრავლესობა სრულიად მოუვლელი, შეუსწავლელი და უყურადღებოდ მიტოვებულია. მათ უმრავლესობას ძეგლთან მისასვლელი ნორმალური გზაც კი არა აქვს (ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისია გვარას ციხე, რომელსაც ამის გამო მნახველიც ბლომად ჰყავს). განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული სოფ. ჩხუტუნეთის მონუმენტურ საწნახელთან ჩასასვლელი ბილიკი. აქ და სხვა ძეგლებზეც მისასვლელი ნორმალური გზისა და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობის შემთხვევაში, რომელშიც ჩართული იქნება შესაბამისი თვალსაჩინოება ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ვიდეო და აუდიომასალის სახით, შეიძლება გაკეთდეს შესანიშნავი ტურისტული მარშრუტები და ისინი ჩართული იქნენ უკვე არსებულ ღვინის ტურებში. მით უმეტეს, რომ რეგიონში დაფიქსირებული მრავალი საწნახლის მონუმენტური ძეგლი კიდევ უფრო გაამყარებს და საფუძვლიანს გახდის წარმოდგენას საქართველოზე, როგორც ღვინის უძველეს სამშობლოზე (ეს იქნება ამის დამადასტურებელი უდიდესი რეალური, თვალხილული ფაქტორი).

სხვადასხვა ისტორიულ-კულტურული თუ სტრატეგიული დანიშნულების ძველი ძეგლების მცენარეული საფარისა და

ტყე-ბუჩქნარისაგან გასუფთავების, სათანადოდ მოწყობის, განათებებისა და გადასახედების გაკეთების (მაგალითად, ოკაცეს კანიონის მსგავსად), იქ მისასვლელი გზებისა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის პირობებში, აღნიშნული რეგიონი (და არა მარტო ეს) გადაიქცევა მეტად საინტერესო ტურისტული მარშრუტების ოაზისად, რომელსაც მისი მეტად ღრმა, უძველესი და უდიდესი შინაარსის გამო მნახველი არასდროს მოაკლდება. ჩვენი აზრით, ეს არის მეტად მნიშვნელოვანი რესურსი მხარის კულტურული და სოციალ-ეკონომიკური გარდაუვალი დაწინაურების გზაზე.

ირაკლი ბარამიძე

რეცენზია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ემერიტუსი პროფესორის - ბიჭიკო დიასამიძის წიგნზე „სამი ისტორიული მხარე ერთი თანამედროვე მუნიციპალიტეტის ფარგლებში“

ახლახან მკითხველმა მიიღო პროფ. ბ. დიასამიძის წიგნი „სამი ისტორიული მხარე ერთი თანამედროვე მუნიციპალიტეტის ფარგლებში“ (ბათუმი, გამომც. „თეგი“, 2017, 60 გვ., რედ. ისტ. მეცნ. დოქტ. ნოდარ კახიძე). მასში შესწავლილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემავალი ისტორიული მხარეების: ბათუმის, გონიო-მარადიდის და მაჭახლის ხეობის წარსული სოციალური-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ჭრილში. აღნიშნული მუნიციპალიტეტი მართლაც საინტერესოა თავისი ისტორიული წარსულით და გეოგრაფიული მდებარეობით. მასზე გადიოდა მნიშვნელოვანი ადგილობრივი თუ სერთაშორისო სავაჭრო-სამიმოსვლო გზები, რაც მას ყველა ეპოქაში, მიუხედავად ადმინისტრაციული საზღვრების ხშირი ცვლისა, უნარჩუნებდა მიმზიდველობას.

წიგნის შესავალშივე ავტორი სამართლიანად იზიარებს გავრცელებულ შეხედულებას, რომ ამ რაიონს (მუნიციპალიტეტს) მასში შემავალი ისტორიული მხარეების დასახელებების გათვალისწინებით, სახელწოდება ბათუმი უფრო მოერგებოდა (შეიცვალა 1970 წ.), ვიდრე ხელვაჩაური.

წიგნი მცირე ფორმატისაა, თუმცა ინფორმაციულად დატვირთული. მასში მოხმობილია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, არის შესაბამისი რუკები და სტატისტიკური აღწერის მონაცემები ცხრილების სახით. პირველ თავში საუბარია აღნიშნული მხარეების ისტორიაზე, ისტორიულ გეოგრაფიაზე უძველესი დროიდან მე-10 საუკუნემდე. ავტორს მეცნიერულად დასაბუთებულად მიაჩნია შეხედულება, რომ ისტორიული აჭარა შიდამთიან აჭარასთან ერთად მოიცავდა ბათუმ-ქობულეთის ზღვისპირეთსაც, ანუ ტერიტორიას თანამედროვე ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში.

პროფ. ბ. დიასამიძე იყენებს მრავალფეროვან საისტორიო წყაროებს, მათ შორის, არქეოლოგიურ მონაცემებსაც, რაზე დაყრდნობითაც შენიშნავს, რომ კახბრის დაბლობი უძველესი პერიოდიდან, ნეოლითიდან ყოფილა ათვისებული, განსაკუთრებით ინტენსიურად კი ბრინჯაოს ხანიდან. ამაზე მიუთითებს სწორედ ამ მიდამოებში აღმოჩენილი არაერთი განძი. ავტორი საგანგებოდ ჩერდება ყოროლისწყლის შესართავთან ქალაქური დასახლების წარმოშობაზე და სხვადასხვა ავტორთა მოშველიებით აღნიშნავს, რომ ბათუმის ისტორია 2500 წელს მოითვლის.

ავტორი ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით გვიჩვენებს, რომ საკვლევი რეგიონი ძვ. წ. IV საუკუნემდე კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაშია, შემდეგ – იბერიის, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ექცევა რომის გავლენაში, სტრატეგიულ პოზიციას იკავებს ირან-ბიზანტიის დაპირისპირებაში, არაბთა ბატონობის წიაღში კი საკუთარი წვლილი შეაქვს ერთიანი ქართული მონარქიის შექმნაში ციხეების, გზებისა და ხიდების მშენებლობით. აქვე გარკვეული ადგილი უჭირავს ქრისტიანობის შემოსვლა-დამკვიდრების საკითხს, რომელიც ავტორის სპეციალური კვლევის საგანია.

მეორე თავში მიმოხილულია ხელვაჩაურის მუნიციპილიტეტის ისტორიული მხარეები საქართველოს ერთიანობის ხანაში (XI-XVI სს. – უნდა იყოს XI-XV სს. – ი.ბ.). ეს პერიოდი განსაკუთრებით წარმატებული იყო ბათუმისთვის, რომელიც წარმოადგენდა რიცხვმრავალ ქალაქს. განსაკუთრებული ცენტრი იყო გონიოც. ავტორი საგანგებოდ ჩერდება მაჭახელ-მიჭიხიანზე და პ. ინგოროყვას მოსაზრებისაგან განსხვავებით თვლის, რომ ეს ხეობა ეთნოგრაფიულად უფრო აჭარის შემადგენელ ნაწილად შეიძლება იქნას მიჩნეული, ვიდრე შავშეთის.

ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა საკვლევ რეგიონზე ოსმალთა ბატონობის ხანას. როგორც ცნობილია, აქ მათი გავლენა ერთდროულად არ დამყარებულა. ოსმალებმა ჯერ დაიპყრეს ლაზეთი და გონიო-მაჭახელი, შემდეგ კი აჭარისწყლის ხეობა და ბათუმის მხარე და სამი ადმინისტრაციული ერთეული შეადგინეს (ბათუმის, მაჭახლისა და გონიოს კაზები). ავტორი მოლკედ მიმოიხილავს თითოეულს და აღნიშნავს, რომ ასეთ ვითარებაშიც აქაურები ინარჩუნებდნენ ეროვნულ მახსოვრობას, ენას და ცხოვრობდნენ წინაპართა ტრადიციებით.

მომდევნო თავი 1878-1921 წლების პერიოდს ეხება. მხარის ადმინისტრაციულ დაყოფასთან ერთად აქვეა მოყვანილი საინტერესო დემოგრაფიული სტატისტიკა, XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის აღწერის მასალები სოფლებისა და იქ მცხოვრებთა რაოდენობის ეროვნებისა და სქესის მითითებით.

1921-1990 წლებს შორის პერიოდში ადმინისტრაციულ დაყოფაში შეტანილ ცვლილებებზეა საუბარი მომდევნო თავში. ბოლოს კი წარმოდგენილია 2002 და 2014 წლების სტატისტიკური აღწერის მასალები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ხელვაჩაურის მოსახლეობის რაოდენობა უკანასკნელ ხანს საგრძნობ-

ლად შემცირდა ქალაქ ბათუმის საზღვრების გაზრდის გამო. ავტორის აზრით, ქალაქის ურბანული განვითარების ტემპისა და ტენდენციების გათვალისწინებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხარჯზე ბათუმის ტერიტორიული გაფართოება მართებული ნაბიჯია.

ნაშრომი მთავრდება შემაჯამებელი დასკვნებით, თან ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია და რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

წიგნი საინტერესოდ იკითხება. დაწერილია ავტორისათვის ჩვეული მეცნიერული სიმართლითა და კეთილსინდისიერებით. ვფიქრობთ, იგი კარგ სამსახურს გაუწევს შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ 2017 წელს გამოცემული წიგნები



„ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტომი IX, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2017, 534 გვ.

კრებულში წარმოდგენილია საინტერესო მასალები ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის, რელიგიისა და კულტურის, ეროვნული ცნობიერებისა და ფასეულობების, კულტურათა დიალოგის, სწავლა-აღზრდისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სულ დაიბეჭდა 59 სამეცნიერო სტატია.

„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტომი VIII, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2017, 429 გვ.

ტრადიციულად, კრებულში წარმოდგენილია ქალაქ ბათუმის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის,

არქიტექტურის, ტოპონიმიის, თანამედროვე ქალაქური ყოფისა და კულტურის, დემოგრაფიის, კონფესიური ვითარების, ტურიზმის განვითარებისა და სხვა საკითხები, რომლებიც უთუოდ დააინტერესებს ქ. ბათუმის ისტორიის მკვლევრებსა და მკითხველთა ფართო წრეს. სულ დაიბეჭდა 42 სამეცნიერო სტატია.



ბიჭიკო დიასამიძე – **„სამი ისტორიული მხარე ერთი თანამედროვე მუნიციპალიტეტის ფარგლებში“**, გამომც. „თეგი“, ბათუმი, 2017, 60 გვ.

ნაშრომში შესწავლილია თანამედროვე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემავალი ისტორიული მხარეების: ბათუმის, გონიო-მარადიდის და მაჭახლის ხეობის წარსული. დახასიათებულია საუკუნეების მანძილზე მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის მდგომარეობა და მათი დაახლოება-გაერთიანების საფუძვლები ბოლო საუკუნეებში (XIX-XX-XXI სს). ნაშრომი კარგ სამსახურს გაუწევს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ამ რეგიონის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ 2017 წელს ჩატარებული ღონისძიებები

- 2017 წლის 29 მაისს, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის და ბსუ-ს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კათედრის ერთობლივი ძალისხმევით, უნივერსიტეტში ჩატარდა ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მალხაზ სიორიძის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა (ბათუმი, თბილისი, ქუთაისი, ახალციხე) და უცხოეთის (პოლონეთი, უკრაინა) სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებმა.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტიდან კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ ინსტიტუტის დირექტორი, ისტ. დოქტ. როინ მალაყმაძე და ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების წევრები: მთავარი მეცნიერი თანამშრომლები – ბიჭიკო დიასამიძე, გიორგი თავამაიშვილი, ოთარ თურმანიძე; უფროსი მეცნიერი თანამშრომლები – მაია ჭიჭილეიშვილი და ოლეგ ჯიბაშვილი.

bsu.e

bsu.edu.

- 2017 წლის 15-16 ივნისს, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინ-სტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების და ბსუ-ს ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრის თანამ-შრომლობით, ჩატარდა ტრადიციული, რიგით IX საერთაშო-რისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავა-რი“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ წარმომად-გენლები ბათუმის, თბილისის, ქუთაისის, გორის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებიდან, აგრეთვე, სტუმრები პოლონეთიდან (შჩეცინი), ბულგარეთიდან (სოფია), მოლდოვადან (კიშინიოვი) და სომხეთიდან (ერევანი). სამეცნიერო ფორუმის მუშაობა დადებითად შეფასდა. გამოიცა კონფერენციის მასალების კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი - IX“ (534 გვ.).

- 2017 წლის 14-19 ივლისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა, დირექტორის - ისტორიის დოქტორ როინ მალაყმაძის ხელმძღვანელობით, ჩაატარეს კომპლექსური საველე ექსპედიცია ქობულეთის მუნიციპალიტეტში. ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილებიდან ექსპედიციაში მონაწილეობდნენ მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი უჩა ოქროპირიძე და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი მაია ჭიჭილეიშვილი.

ექსპედიციამ შეისწავლა კინტრიშისა და ჩაქვისწყლის ხეობები. ექსპედიციის წევრებმა ჩაიწერეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მასალები, დღემდე შემორჩენილი უძველესი ქართული ტოპონიმები. მოინახულეს ეკლესიები (სამება, კვირიკე, დაგვა, ცხემვანი), ასევე ეკლესიათა ნაშთები (სამება, ხინო), საფორტიფიკაციო ნაგებობები და და თაღოვანი ხიდები. განხორციელდა მატერიალური კულტურის ძეგლების ფოტო და ვიდეოგადაღებები.

ექსპედიციამ ნაყოფიერად იმუშავა. შეგროვდა საინტერესო და ღირებული საველე მასალა, რაც აქტიურად იქნება გამოყენებული შემდგომ სამეცნიერო კვლევებში.

- 2017 წლის 1-2 სექტემბერს, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების თაოსნობით, ჩატარდა კიდევ ერთი ტრადიციული საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ – VIII, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მკვლევრები საქართველოს წამყვანი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებიდან (თბილისი, ქუთაისი, გორი, ახალციხე, ბათუმი) და უცხოეთიდან (პოლონეთი). კონფერენცია საინტერესოდ წარიმართა, გაშუქდა ბათუმთან დაკავშირებული მნიშვნელო-ვანი საკითხები. გამოიცა კონფერენციის მასალების კრებული „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა – VIII“ (429 გვ.).

მეგობრის ხსოვნას

ორი წელი გავიდა, რაც ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი სიმონ გოგიტიძე.

სიმონ გოგიტიძე დაიბადა 1954 წლის 8 თებერვალს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეში და სანამ ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი გახდებოდა, უბრალო და შინაარსიანი ცხოვრება განვლო.

ბატონი სიმონი მოულოდნელად შემოიჭრა ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში და დროის სულ მცირე მონაკვეთში ძველი ქართული საისტორიო გეოგრაფიის ცნობილი და აღიარებული მკვლევარი გახდა. მოკლე ხანში მან შექმნა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები ქართული სახელმწიფოს წარმოშობის, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების, მისი სახელმწიფო რელიგიად აღიარებისა და მისი განმტკიცების მიმართულებით, ამასთან, თავისი წვლილი შეიტანა ქრისტიანობის სახელმწიფო

რელიგიად გამოცხადების საბოლოო თარიღის დადგენაშიც. ამ მხრივ საინტერესოა მისი ნაშრომები - „ფარნავაზი და არიან-ქართლის ლოკალიზაცია“, „მირიან მეფე და ქართლის ცხოვრება“, „ქრისტიანობის გავრცელება დიდაჭარაში“ და სხვა. მანვე დაგვიტოვა უმნიშვნელოვანესი ნაშრომები საქართველოს უძველესი საისტორიო გეოგრაფიის კარდინალურ საკითხებზე, მოხაზა რა აღნიშნული პერიოდის „ქართულ ქვეყანათა“ სავარაუდო ისტორიული ადგილმდებარეობანი და შესაძლო გეოგრაფიული საზღვრები. ამ მხრივ აღსანიშნავია მის მიერ ერთმანეთის მიყოლებით გამოცემული მონოგრაფიები და ისტორიული სტატიები: „ხაიასა, სომხური თუ ქართული სამყარო?“, „ქაშქაბეშლა: აფხაზურ (აფსუა)-ადიღეური თუ ქართველური მოდგმა?“, „დაიაენ-დიაოხი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის)“, „ტერმინების ხაიასასა და აცის წარმომავლობა და მათი ურთიერთმიმართება“, „ხაიასას ეთნიკური კუთვნილება“ და სხვანი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სიმონ გოგიტიძის მიერ ძველი ურარტუს სამეფოს მოსახლეობისა და სამეფო დინასტიის ეთნიკური კუთვნილების დასადგენად გაწეული დიდი და მრავალმხრივი მუშაობა. ამასთან, ურარტუს ქვეყნისა და მოსახლეობის თუ სამეფო დინასტიების, აგრეთვე, ხაიასასა და აცის ქვეყანათა ქართულ (სვანურ) გარემოსთან უშუალო კავშირისა და ამ ისტორიული ვერსიის მეცნიერული დამტკიცების წარმატებული ცდანი, რითაც ფაქტობრივად ხელი შეუწყო აღნიშნულ საკითხთა კვლევის ამ მიმართულებით გაღრმავებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართულ ისტორიულ მეცნიერების ამ დარგში თავისი ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი კვლევის პერიოდში, სიმონ გოგიტიძემ შეძლო მასში თავისი წონადი წვლილი შეეტანა, მრავალი სიახლეებითა და მეცნიერული ნოვაციე-

ბით დატვირთული ხაზი გაეტარებინა. მაგრამ ნაადრევმა გარ-დაცვალებამ მას საშუალება არ მისცა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა, ყველაფერ ამისათვის ერთ დიდ, სქელტანიან ნაშრომში მოეყარა თავი და გამოეცა მონოგრაფიად, რომელიც ამ დარგის მკვლევართა ერთ-ერთ სამაგიდო წიგნად შეიძლება ქცეულიყო.

სიმონ გოგიტიძე ინსტიტუტის თანამშრომელთა შორის გამოირჩეოდა ყურადღებით მთელი კოლექტივისა თუ მის ცალკეულ წევრთა მიმართ, – მათდამი ინდივიდუალური მიდ-გომით, პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვის ორიგინა-ლური ფორმებით, რის გამოც ინსტიტუტის თანამშრომელთა შორის თავადაც დამსახურებული სიყვარულითა და ავტორიტე-ტით სარგებლობდა.

მისი ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ნიკო ბერძენი-შვილის ინსტიტუტის კოლექტივის წევრთა შორის.

ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
თანამშრომელთა სახელით, ამავე ინსტიტუტის
ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი
უჩა ოქროპირიძე

ავტორები – Authors

ასლანიძე აბესალომი (ბათუმი, საქართველო)

ფილოსოფიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინ-სტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების სპეციალისტი

Aslanidze Abesalom (Batumi, Georgia)

PhD in Philosophy, Specialist of Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

ბარამიძე ირაკლი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

Baramidze Irakli (Batumi, Georgia)

PhD in History, Associate Professor, Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University

გიორგაძე პაატა (თბილისი, საქართველო)

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საი-ჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

Giorgadze Paata (Tbilisi, Georgia)

Doctor of Technical Sciences, Academician of Georgian Engi-neering Academy, Professor of Georgian Technical University

დიასამიძე ბიჭიკო (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი

Diasamidze Bichiko (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor Emeritus, Head of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

ვარშალომიძე ირინე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

Varshalomidze Irine (Batumi, Georgia)

PhD in History, Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

თურმანიძე ოთარი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Turmanidze Otari (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Principal Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

ოქროპირიძე უჩა (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Okropiridze Ucha (Batumi, Georgia)

PhD in History, Principal Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

ჯიბაშვილი ოლეგი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

Jibashvili Olegi (Batumi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.11.2010
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 10.7
ტირაჟი 100

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35